



31 მაისი, ორშაბათი, 2010 წ. №20 (2101)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

## ჯილდო უნივერსიტეტელს

26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ ცერემონიაზე ქართულ მეცნიერებაში განუვლი ღვაწლისთვის საქართველოს პრეზიდენტმა ბრწყინვალეების საპრეზიდენტო ორდენით დააჯილდოვა აკადემიკოსი, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის პროფესორი და საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტის დირექტორი ლევან ალექსიძე, ეროვნული პრემიებით — ბირთვული კვლევების ევროპულ ცენტრში (CERN, ქ. ჟენევა) ქართული ჯგუფის ხელმძღვანელი, თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერ-თანამშრომელი ჯემალ ხუბუა, თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანი ალექსანდრე ცისკარიძე და თსუ-ის პროფესორი, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ნეირომედიცინის სამეცნიერო კლინიკური ცენტრის დირექტორი რომან შაქარიშვილი.



ლევან ალექსიძე:

„ეს ჯილდო დიდი პატივია პრეზიდენტის მხრიდან. მაღლობას ვუხდით მას ამისთვის. ეს, ალბათ, შედეგია ჩემი მრავალწლიანი მოღვაწეობისა, რომლის ძირითადი ამოცანა იყო საერთაშორისო სამართლის ქართული სკოლის შექმნა, რაც წარმატებით დაგვირგვინდა“.




ჯემალ ხუბუა:

„ამ ყველაფრის უკან არის გაერთიანებული ქართული კოლექტივის ერთობლივი შრომა. ვგულშემატკივრობდნენ ჟენევიდან, დუბნიდან, თუ რამდენად მიაქცევდა საქართველო ყურადღებას ჩვენს მოღვაწეობას. დღეს უკვე საქართველოს საზოგადოებამ სათანადო შეფასება მისცა ჩვენს წვლილს აღიარებულ ექსპერიმენტში“.



ალექსანდრე ცისკარიძე:

„პრეზიდენტის ჯილდო დიდი პატივია ჩემთვის. ერთი, რაც შემძლია ვთქვა, რომ ჩემს ცოდნას და გამოცდილებას კვლავ გამოვიყენებ თსუ-ში მედიცინის ფაკულტეტის განვითარებისა და ქვეყანაში უმაღლესი სამედიცინო განათლებისა და მედიცინის დარგის სრულყოფისათვის“.



რომან შაქარიშვილი:

„ეს ჯილდო ნიშნავს ბოლო ათეული წლის მანძილზე ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევებისა და 4 მსხვილმასშტაბიანი საერთაშორისო კონფერენციის მნიშვნელობის აღიარებას. ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი საქართველოში ინსულტის დაძლევის ეროვნული პროგრამის შემუშავებისკენ“.

## არჩევნებში „ერთიანმა სტუდენტურმა მოძრაობამ“ გაიმარჯვა

18 მაისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის რიგით მესამე მონვევის არჩევნები გაიმართა. არჩევნებში 3 სტუდენტური ორგანიზაციის — „ერთიანი სტუდენტური მოძრაობის“, „სტუდენტური ერთობისა“ და „პირველების“ მიერ წარდგენილი კანდიდატები მონაწილეობდნენ. 2010 წლის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში „ერთიანმა სტუდენტურმა მოძრაობამ“ სრული უპირატესობით — 96 %-ით გაიმარჯვა. შესაბამისად მათ 110 ადგილიდან 106 — მოიპოვეს, სამი ადგილი დაიკავეს დამოუკიდებელმა კანდიდატებმა, ხოლო მოძრაობა „სტუდენტური ერთობიდან“ კი მხოლოდ ერთი დელეგატი გავიდა.

### ნატო ოზოლაძე

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებმა ყოველგვარი დარღვევებისა და ექსცესების გარეშე ჩაიარა. ცენტრალური საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, 18 მაისს, დარეგისტრირებული 17 561 ამომრჩევლიდან, საკუთარი არჩევანი 6 482-მა დააფიქსირა, რაც საერთო რაოდენობის 37 %-ს უდრის. საარჩევნო წესდების მიხედვით, არჩევნები ჩატარებულად ჩაითვლება, თუ მასში მონაწილეობას სტუდენტების 10% მიიღებს. აღსანიშნავია, რომ წინა არჩევნებთან შედარებით წელს ამომრჩეველთა ყველაზე დიდი აქტივობა დაფიქსირდა. სტუდენტები სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებს გაცილებით მეტი პასუხისმგებლობა

ბით მოეკიდნენ. მათ ჩვენთან საუბრისას განაცხადეს, რომ აუცი-



ლებელია, ყველა სტუდენტმა ხმის მიცემის უფლება გამოიყენოს და საკუთარი ნვლილი შეიტანოს თვითმმართველობის ფორმირებაში. იმედი აქვთ, რომ მათი არჩეული დელეგატები დანაპირებს შეასრულებენ, სტუდენტურ ცხოვრებას გაცილებით საინტერესოს გახდიან და სტუდენტების უფლებებს დაიცავენ.

„კარგად არ ვიცი, თუ როგორი სტუდენტური თვითმმართველობა ჰყავდა უნივერსიტეტს აქამდე, რადგან ცოტა ხნის წინ გადმოვედი

თსუ-ში სასწავლებლად, თუმცა ბევრი ჩემი თანაკურსელი მათი მუშაობით მეტ-ნაკლებად კმაყოფილია. ამიტომ ვფიქრობ, რომ არჩევნების შემდეგ ვითარება უკეთესობისკენ შეიცვლება“, — გვითხრა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტმა თამარ მაჭავარიანმა.

„წინა მონვევის სტუდენტური თვითმმართველობის მუშაობითაც კმაყოფილი ვიყავი, სწორედ ამის გამო იმედი მაქვს, რომ მომავალიც ბევრ საინტერესო პროექტს შემოგვთავაზებენ“, — აღნიშნა იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტმა მანანა გოცაძემ.

თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების საერთაშორისოდ ჩასატარებლად ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ საუბნო-საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში თბილისის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების შეყვანა გადაწყვიტა. მათ სპეციალურად მოიწვიეს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, კავკასიის ბიზნეს სკოლის, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და სოხუმის უნივერსიტეტის თვითმმართველობების წევრები.

80-6 გვერდი

## EMSA TSU

აპ-7-10 აპ.

სტუდენტურ თვითმმართველობას ახალი პრეზიდენტი ჰყავს

აპ-2 გვერდი

თსუ-ის კანცლარის ანგარიში

აპ-3 გვერდი

ოქსფორდის პროფესორის ლექციაები დოქტორანტებისთვის

აპ-4 გვერდი

თსუ-ის სტუდენტი — საქართველოს ჩემპიონი მშვილდოსნობაში

აპ-5 გვერდი

ქალთა თასის გათავაზება თსუ-მ მოიგო

აპ-5 აპ.

ქართული ფიზიოლოგიის „სამოცინაელი“

აპ-11-12 აპ.

სტუდენტის ჩანაწერი ტარტუს უნივერსიტეტის კარიბჭამდე მისაცლილად

აპ-13 გვერდი

## აგაპი

აპ-14-15 აპ.



# სტუდენტურ თვითმმართველობას ახალი პრეზიდენტი ჰყავს

თსუ-ის ახლად არჩეულ სტუდენტურ თვითმმართველობას ახალი პრეზიდენტი ჰყავს. შიდა კენჭისყრის შედეგების მიხედვით, დღევანდელმა „ერთიანი სტუდენტური მოძრაობის“ მიერ წარდგენილი კანდიდატი **დაჩი გუზაძე** აირჩიეს. ახალი პრეზიდენტის მუშაობის ძირითადი პრიორიტეტი სტუდენტთა უფლებების დაცვა იქნება. დაინიშნება სტუდენტური გაზეთების გამოცემა, რისთვისაც კონკურსი უკვე გამოცხადდა. დაჩი გუზაძე წინა მოწვევის სტუდენტურ თვითმმართველობის მუშაობაშიც აქტიურად იყო ჩართული. იგი კულტურის დეპარტამენტის წარმომადგენელი გახლდათ. ახალ ამბულაში მისი უკეთესი გაცნობის მიზნით გთავაზობთ ინტერვიუს, რომელიც სტუდენტური თვითმმართველობის ახალი პრეზიდენტის მიზნებს წარმოაჩენს.

— რა იქნება თსუ-ის ახალი სტუდენტური თვითმმართველობის მუშაობის პრიორიტეტი, რომელი მიმართულებით გეგმათ მუშაობის გააქტიურებას?

ჩვენ გავაგრძელებთ იმ საქმიანობას, რაც გიორგი შამათავას პრეზიდენტობის პერიოდში გვქონდა დაწყებული. ბოლო ორი წლის განმავლობაში განათლების, კულტურისა და სპორტის მიმართულებით საკმაოდ ბევრი პროექტი განხორციელდა. სამომავლოდ გვგეგვამთ ღონისძიებების ჩატარების მასშტაბების გაზრდას. სტუდენტების საგანმანათლებლო პროექტების მომზადება ჩვენთვის პრიორიტეტული გახდება, რაც ინტელექტუალური შეჯიბრებების, სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციების, შედეგებითი ხასიათის ღონისძიებებისა და ა.შ. გამართვას გულისხმობს. რაც ყველაზე მთავარია, განსაკუთრებით გააქტიურდება სტუდენტური თვითმმართველობის სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის მუშაობა, რომელიც ბოლო წლების განმავლობაში ბოლომდე ვერ ახორციელებდა თავის ფუნქციებს. ამის მიზეზი თავად სტუდენტების პასიურობაც იყო. სწორედ ამის გამო ვაპირებთ სტუდენტთა უფლებების შესახებ უკეთეს ინფორმირებისთვის გარკვეული ღონისძიებების გატარებას: დაგეგმავთ საინფორმაციო ბროშურებსა და პლაკატებს, სადაც ჩამოწერილი იქნება სტუდენტების უფლებები და მათ უნივერსიტეტში გაავრცელებთ. თვითმმართველობის სტუდენტთა უფლებების დაცვის დეპარტამენტი იქნება ერთგვარი მედიატორი სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის. დეპარტამენტი დაკომპლექტდება იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებით და ისინი ყველა შემოსულ განაცხადზე შესაბამის რეაგირებას მოახდენენ. სტუდენტის უფლებების უხეში დარღვევის შემთხვევაში ინფორმირებული იქნება დეკანატიც და რექტორიც.

— ხართ თუ არა აკადემიური არჩევნებში მონაწილე სტუდენტების აქტიურობით?

2010 წლის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები რიგითი მესამეა. ამომრჩევლების ასეთი დიდი აქტიურობა არც ერთ სხვა არჩევნებზე არ დაფიქსირებულა.



დაჩი გუზაძე

ხმის მისაცემად, დაახლოებით, 7 000 სტუდენტი გამოცხადდა, რაც საერთო რაოდენობის 38%-ს შეადგენს. ეს მონაცემები კი იმას ნიშნავს, რომ სტუდენტები დაინტერესებულნი არიან თვითმმართველობის საქმიანობით და დელეგატების ვინაობით. ეს, ერთი მხრივ, გიორგი შამათავას დამსახურებაცაა. მისი პრეზიდენტობის პერიოდში ყველა სტუდენტი კარგად იყო ინფორმირებული თვითმმართველობის მუშაობის შესახებ და ბევრი საინტერესო პროექტიც განხორციელდა.

— თქვენს აზრით, არჩევნების შედეგები თსუ-ის სტუდენტების დამოკიდებულებას „ერთიანი სტუდენტური მოძრაობის“ მიმართ ზუსტად ასახავს?

— არჩევნებზე მოსული ამომრჩევლებისა და „ერთიანი სტუდენტური მოძრაობის“ მიერ მოგროვებული ხმების რაოდენობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, სტუდენტები დადებითად არიან განწყობილი ჩვენს მიმართ. „ერთიანი სტუდენტური მოძრაობის“ წევრები უკვე ორი წელია თვითმმართველობაში საქმიანობენ. შესაბამისად, სტუდენტებმა იცოდნენ — თუ ვის და რატომ აძლევდნენ ხმას. „ერთიანი სტუდენტური მოძრაობას“ მხარი ამომრჩეველთა 95%-ზე მეტმა დაუ-

კონკურსი და ის სამი პროექტი, რომელიც დადგინდა კრიტერიუმებს დააკმაყოფილებს, დაფინანსდება. სამიდან ერთი გაზეთი აუცილებლად იქნება სამეცნიერო-სამეცნიერო ხასიათის, მეორე გაზეთი სტუდენტურ ცხოვრებაზე დაწერს, რაც შეეხება მესამეს, ამ შემთხვევაში, გვინდა, იქნება სტუდენტებმა შემოგვთავაზონ. მთავარია, რომ ძირითად კრიტერიუმებს არ ეწინააღმდეგებოდეს, ანუ სახელი აუცილებლად ქართულენოვანი უნდა ჰქონდეს და არ უნდა ეხებოდეს პოლიტიკას!

ჩვენი მიზანია, რომ სტუდენტები ორიენტირებულნი იყვნენ სხვადასხვა სახის ახალ-გაზრდულ ღონისძიებებზე. მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან შედარებით საქართველოში ყველაზე პოლიტიზირებული სტუდენტობაა. გვინდა, მათი ყურადღება სხვა სახის მოვლენებზე გადავიტანოთ, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სტუდენტს საკუთარი ქვეყნის ბედი არ ადევლებდეს და პოლიტიკურ მოვლენებს არ ეცნობოდეს. გვინდა, უნივერსიტეტში გამოიცეს სტუდენტური გაზეთები, რომელიც იქნება აპოლიტიკური და, შესაბამისად, ვერც სტუდენტურ თვითმმართველობას დასდებენ ბრალს, რომ იგი რომელიმე პოლიტიკური პარტიის ინტერესებს იცავს. სტუდენტურ თვითმმართველობას წლების განმავლობაში სწამებდნენ ცილს, რომ რომელიცა პოლიტიკური ჯგუფის მხარდამჭერი იყო. გიორგი შამათავას პრეზიდენტობის პერიოდში ეს ხმები მიხედდა და თუ ჩვენ ახლა პოლიტიკური მინარსის გაზეთის გამოშვებას დაინიშნებთ, ჭორები შესაძლოა ისევ გავრცელდეს.

— საკმაოდ ბევრი სტუდენტი მონაწილეობს გაცვლით პროგრამებში. თსუ-ის თვითმმართველობა მათ ხარჯებს ნაწილობრივ აფინანსებს. წელს რა რაოდენობის თანხა გამოყო თვითმმართველობისთვის უნივერსიტეტმა და თუ შეძლებთ გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტების სრულ დაფინანსებას?

სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტი თსუ-ის ბიუჯეტის 1%-ს შეადგენს. წელს ჩვენი დაფინანსება 250 000 ლარით განისაზღვრა. გაცვლით პროგრამებში ძალიან ბევრი სტუდენტი მონაწილეობს და ამ თანხით ჩვენ ვერ შევძლებთ მათ სრულ დაკმაყოფილებას, ამიტომ ვაფინანსებთ ნაწილობრივ. სამაგიეროდ მათ შუამდგომლობას ვუწვევთ ფაკულტეტების დეკანატებთან, სადაც არსებობს ნიჭიერ სტუდენტთა დაფინანსების ფონდი. რამდენადაც ვიცი, სტუდენტებს ხარჯების ნაწილს ისინი უნაზღაურებენ. თუ უნივერსიტეტის ბიუჯეტის გაზრდის შემთხვევაში გაიზარდება ჩვენი დაფინანსებაც, რა თქმა უნდა, ვითარება შეიცვლება, თუმცა ეს მარტივი პროცედურა არ არის.

## ფაკულტეტი

# დეკანის არჩევნები სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტმა 14 მაისს დეკანი აირჩია.

ფაკულტეტის საბჭოში 58 პროფესორი და 14 სტუდენტი გაერთიანებული. არჩევნებში მათგან 65 მონაწილეობდა. წარდგენილი 3 კანდიდატიდან ხმათა უმრავლესობა — 58,5% მიიღო სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრულმა პროფესორმა ნოდარ ბელქანიამ, რომელიც თითქმის სამი წელი ასრულებდა დეკანის მოვალეობას. იგი კარგად იცნობს ფაკულტეტზე არსებულ პრობლემებს და სამეცნიერო მუშაობის გააქტიურების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, ამიტომ მისი საარჩევნო პროგრამა პრაგმატული და ამომრჩევლებისთვის მეტად მისაღები აღმოჩნდა.

პროფესორ ნოდარ ბელქანიას საარჩევნო პროგრამა ორიენტირებულია სწავლების დასავლურ მეთოდებზე და მიზნად ისახავს სტუდენტთათვის კომფორტული სასწავლო გარემოს შექმნას, სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში პროფესორ-მასწავლებელთა მსაქმიანობის ჩართვას. საარჩევნო პროგრამაში, ასევე, მითითებულია, რომ დეკანის მიზანია ფაკულტეტმა მჭიდრო ურთიერთობები დაამყაროს უცხოეთის წარმომადგენელ უნივერსიტეტებთან და შესაბამის ფაკულტეტ-

ებთან, რათა პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის საშუალება მიეცეთ. ახლად არჩეული დეკანი მიიჩნევს, რომ კოლეგებისა და სტუდენტების არჩევანი ნაწილობრივ საარჩევნო პროგრამით იყო განპირობებული, ნაწილობრივ კი, ამ არჩევანში მისმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ ითამაშა გარკვეული როლი.

„ჩვენი ფაკულტეტი საკმაოდ რთული და, ამავე დროს, საინტერესოა, რადგან 7 სრულიად განსხვავებული მიმართულების განხორციელება. ეს მიმართულებები წლების განმავლობაში ცალ-ცალკე ფუნქციონირებდა და მათი ინტეგრაცია ერთი ფაკულტეტის ფარგლებში რთული აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ რეფორმირების პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა, მინდა აღვნიშნო, რომ ორი-სამი წლის წინანდელთან შედარებით ფაკულტეტი გაიზარდა და განვითარდა. გაუმჯობესდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა: ამუშავდა რამდენიმე კომპიუტერული ცენტრი, ფაკულტეტს აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა, შეიქმნა სტუდენტთა სწავლებისა და პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის ზრდისთვის უფრო ხელსაყრელი გარემო. ცხადია, ჯერ ვერ დავიტრიალებთ, რომ აბსოლუტური კომფორტი გვაქვს, მაგრამ წინსვლა სასწავ-

ლო გარემოს გაუმჯობესების თვალსაზრისით, უკვე ხელშესახება,“ — განაცხადა ბატონმა ნოდარ ბელქანიამ ჩვენთან საუბარში.

მისი აზრით, უნივერსიტეტის ყველა სამსახური სტუდენტზე და მის მომსახურებაზე უნდა იყოს ორიენტირებული, რათა მან დრო არ დაკარგოს დოკუმენტების მოძიებაზე, ცხრილების შედგენასა და სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე. ამ მხრივ ბატონ ნოდარ ბელქანიას წარმატებული ნაბიჯად მიაჩნია სტუდენტთა მომსახურების ცენტრების ამუშავება. რაც შეეხება პროფესორ-მასწავლებლებს, დეკანის აზრით, უნივერსიტეტმა უნდა მისცეთ მათ პროფესიული ზრდის და განვითარების საშუალება.

„ყველაზე მთავარი, რაც ჩემს საარჩევნო პროგრამაშიც არის საზგასამულო, გახლავთ კონტაქტის დამყარება უცხოეთის წარმომადგენელ უნივერსიტეტებთან და შესაბამის ფაკულტეტებთან. ჩვენ ამ კუთხით ახლაც ვმუშაობთ, სემესტრის განმავლობაში თითქმის ყველა მიმართულებაზე იკითხება რამდენიმე კურსი უცხოელი პროფესორების მიერ, მაგრამ გვინდა უფრო ინტენსიური გახდეს ეს კონტაქტები, რათა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შეეძლოთ გამოცდილების მიღება და სხვადასხვა გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა. ეს თბილი-



სის სახელმწიფო უნივერსიტეტს კიდევ უფრო დაახლოვებს დასავლური განათლების სტანდარტებთან. ძალიან მინდა, რომ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ძლიერი განათლების კერა გახდეს. ამისთვის კი ენერჯის არ დავიშვებ,“ — ბრძანა ახლად არჩეულმა დეკანმა.



# ტსუ-ის კანცლერის ანგარიში

24 მაისს ტსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე ტსუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა რომან ხარბედიამ ადმინისტრაციის მიერ 2009 წელს განხორციელებული მუშაობის ანგარიში წარმოადგინა.

2009 წელს ტსუ-ის ადმინისტრაცია საქმიანობას წარმართავდა ბიუჯეტის შედგენა-შესრულების, ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშების, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების, პერსონალის და მატერიალური რესურსების მართვის, სასწავლო და სამეცნიერო პროცესების ორგანიზაციის, ხარისხის უზრუნველყოფის, სამეცნიერო კვლევების გადამამუშავების, საგარეო ურთიერთობების განვითარების და სხვა მიმართულებებით.

## მანი ტორაძე

წინა წლებთან განსხვავებით, 2009 წლის ბიუჯეტში, ფაქტობრივად ბიუჯეტისთვის ცალკე გამოყოფილ თანხებს: ძირითადი შტატის აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციული და მომსახურე პერსონალის, კონტრაქტით და საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურების, აგრეთვე მივლინების, სასწავლო პრაქტიკის, სამეცნიერო ექსპედიციების, ბიბლიოთეკის წიგნები ფონდის შექმნის და სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის სხვა ხარჯებს, დაემატა აკადემიური პერსონალის ხელფასზე დანამატი, სამეცნიერო ხარჯები, წარმომადგენლობითი ხარჯები, ნიჭიერ სტუდენტთა წახალისების ფონდი და სტიპენდიები.

2009 წლის ბიუჯეტში სახელფასო დანამატის თანხა დაემატა შრომის ანაზღაურების ფონდს და განაწილდა ფაქტობრივად მიერ რანჟირებულ აკადემიურ პერსონალზე ხელფასებთან ერთად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული რანჟირების წესით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ემერტუსის ხარჯებმა საანგარიშგებო წელს თითქმის ორმოცი ათასი ლარი შეადგინა, ხოლო მიმდინარე წლის ბიუჯეტში ამ მიზნით 120 ათასამდე ლარია გათვალისწინებული.

2009 წლის ბიუჯეტში, სხვადასხვა საუნივერსიტეტო სტრუქტურული ღონისძიებებისათვის გამოყოფილი იყო 200 ათასი ლარი. გამოყოფილ თანხებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით, განკარგავდა ტსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის ძალისხმევით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ „საუნივერსიტეტო ინფრასტრუქტურის პროგრამის ფარგლებში“ უნივერსიტეტს გამოუყო 836 132

ლარი, რომელიც გათვალისწინებული იყო X, XI, კორპუსებში სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად, ბიბლიოთეკის გათბობის მოწყობის და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფუნდისთვის მიმართულებისათვის ინვენტარის შესაძენად. ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის გამოყოფილი ასიგნებების საკასო ხარჯმა შეადგინა 755 707 ლარი.

სწორი ფინანსური მენეჯმენტის განხორციელების, ფინანსური რესურსების დაზოგვისა და ხარჯების ოპტიმიზაციის, ასევე, სახსრების ეკონომიისა და შემოსავლების ზრდის ხარჯზე 2009 წლის ბიუჯეტში შესაძენელი გახდა ორი მილიონი ლარის გათვალისწინება აკადემიური პერსონალის საბაზო ხელფასის დიფერენცირებული მატებისათვის.

2009 წელს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების მომსახურებას, მათი შესრულების მიმდინარეობის შესახებ კვარტალური და წლიური ანგარიშგებების მომზადებას, სათანადო ფონდებსა და დონორ ორგანიზაციებში წარდგენას. 2009 წელს უნივერსიტეტში ერთდროულად მუშაუდებოდა 112 საგრანტო პროექტი. მათ შორის: 57 — ეროვნული სამეცნიერო ფონდის, 19 — რუსთაველის ფონდის და 36 — საერთაშორისო.

შეფერხებების გარეშე ფინანსდებოდა მნიშვნელოვანი სამეცნიერო კონფერენციები, სიმპოზიუმები, საიუბილეო ღონისძიებები და სხვა. მოწინავე სტუდენტები უზრუნველყოფილი იყვნენ 150 ლარის სტიპენდიით. სულ 570 წარჩინებულ სტუდენტზე გაიცა სტიპენდია, მათ შორის 280 სტუდენტზე უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან. ასევე მაგისტრანტთა მნიშვნელოვანი ნაწილი, თითქმის 30% -ზე მეტი, უნივერსიტეტის სახსრებით იქნა დაფინანსებული.

2007 წელს დაიწყო და საანგარიშგებო წელს ძირითადად დასრულდა ინვენტარიზაციის მეტად პრომატევადი და რთული პროცესი. აღწერილი ქონება შესაბამისობაში იქნა მოყვანილი ბუღალტრულ დოკუმენტაციაში.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ სერიოზული მუშაობა გასწავა 2010 წლის ბიუჯეტის პროექტის მომზადების, განხილვის და დასამტკიცებლად დროულად წარდგენისათვის.

2009 წელი გამორჩეულია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შევსებისა და განახლების კუთხით. I კორპუსში სარემონტო სამუშაოების გამო, აუცილებელი გახდა კორპუსის დაცლა და მასში განთავსებული სასწავლო-აკადემიური კონტინენტის და ადმინისტრაციის სამსახურების გადაყვანა და განთავსება სხვა კორპუსებში.

ფაქტობრივად, უნივერსიტეტში მთელი წლის განმავლობაში არ შეჩერებულა სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2009 წელს პირველად განხორციელდა VIII კორპუსის გაზიფიცირება და დამონტაჟდა გათბობის სისტემა. ასევე, ბიბლიოთეკის კორპუსში დამონტაჟდა გათბობის სისტემა, გაკეთდა ახალი ქერი, ფართი შეივსო საჭირო ინვენტარით და მოეწყო საგამოცდო ცენტრი 1200 სტუდენტზე.

უნივერსიტეტში სულ უფრო იხვეწება ურთიერთთანამშრომლობა სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის. საანგარიშგებო წელს კიდევ უფრო გააქტიურდა და გაღრმავდა უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობები და შემოქმედებითი კავშირები. პარტნიორ უნივერსიტეტებთან და ორგანიზაციებთან გაფორმდა 18 ხელშეკრულება. წარმატებით ხორციელდებოდა ტსუ-ის ტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა მობილობის ხელშეწყობა. ამ მიზნით ორგანიზებულ იქნა 12 კონკურსი. ტსუ-ში გაცვლითი პროგრამით მიღებულია 10 საზღვარგარეთული უნივერსიტეტი — 1 პროფესორი, 3 დოქტორანტი, 16 მაგისტრანტი და ბაკალავრი. კოორდინირებულია 11 საგანმანათლებლო პროგრამა და 5 საერთაშორისო პროექტი, მინიჭებულია 8 საპატიო დოქტორის ტიტული. მოეწყო 6 საგანმანათლებლო ღონისძიება, მათ შორის, ტსუ-ის ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის

ინგლისური ენის შესწავლის პროექტი — „ინგლისური პროფესიული მიზნებისათვის“ — ბრიტანეთის საბჭოსთან თანამშრომლობით.



მომზადებულია ტსუ-ის რექტორის, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის 21 საქმიანი ვიზიტი უცხოეთში, ორგანიზებულია 38 უცხოური დელეგაციის და წარმომადგენლის მიღება ტსუ-ში.

ინტენსიურად მიმდინარეობდა საზოგადოებასთან ურთიერთობა, როგორც შიდა საუნივერსიტეტო, ასევე, სახელისუფლებო სტრუქტურებთან, სასწავლო/სამეცნიერო დაწესებულებებთან, მასმედიასთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვადასხვა დაწესებულებებთან.

შემოქმედებითად და ნაყოფიერად იმუშავა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციამ. გაზეთმა კიდევ უფრო გააფართოვა თავისი სტრატეგია სტუდენტური ინიციატივების, ღონისძიებების, ახალგაზრდული შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობის და საქმიანობების გაშუქებით. უნდა აღინიშნოს, რომ კვლავ პრობლემად რჩება გაზეთის საუნივერსიტეტო სივრცის გარეთ გაგანა და საზოგადოების ფართო წრეებში გავრცელება.

# ესტატი ხმალაძის სახელობის სტიპენდიატები

ველინგტონის ვიქტორიას უნივერსიტეტის პროფესორმა ესტატე ხმალაძემ ტსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე, საქართველოში და, კერძოდ, ტსუ-ში მათემატიკისა და ფიზიკის დარგების ხელშეწყობის მიზნით თავისი სახელობის სტიპენდია დააარსა, რომლის მოსაპოვებლად კონკურსი 2009 წლის ნოემბერში გამოცხადდა. ესტატე ხმალაძის სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისიის გადაწყვეტილებით 2009-2010 სასწავლო წლის სტიპენდიები დაენიშნათ ამავე ფაკულტეტის I კურსის მაგისტრანტს ბიძინა აბესაძეს და II კურსის მაგისტრანტს ბესიკ ჩიქვინიძეს. 5 მაისს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა რამაზ ბოჭორიშვილმა და აკადემიკოსმა ნიკო ვახანიამ გამარჯვებულ სტუდენტებს სტიპენდიები (1000 დოლარის ექვივალენტი ლარებში) საზეიმო ვითარებაში გადასცეს და მათ წარმატებები უსურვეს.

## შურთხია ბაროშვილი

„ესტატე ხმალაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია, რომელიც წლების მანძილზე მუშაობდა ჩვენთან, შემდეგ კი სამეცნიერო მოღვაწეობა საზღვარგარეთ გააგრძელა. სასიამოვნოა, რომ მას და სხვა ჩვენს კოლეგებს, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობენ საზღვარგარეთ, სურვილი აქვთ — ხელი შეუწყონ და წახალისონ ახალგაზრდა მეცნიერები. ბატონმა ესტატემ ეს ინიციატივა, თავდაპირველად, ტსუ-ის რექტორს, ბატონ გიორგი ხუბუას გადაცნო და დაპირებისამებრ, განახორციელა. აღსანიშნავია, რომ ფინანსური მხარდაჭერის სურვილი გამოთქვა პროფესორმა კალისტრატე კახიანიამაც, რომელიც ამჟამად აშშ-ში მუშაობს. ახალგაზრდებს შეეახსენებ, რომ ეს ჯოღლო მათ უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებთ. მინდა, წარმატებები ეუსურვო მათ სამეცნიერო საქმიანობაში“, — აღნიშნა რამაზ ბოჭორიშვილმა. სტიპენდიების გადაცემის ცერემონიაზე აკადემიკოსმა ნიკო ვახანიამ აღნიშნა, რომ ტსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ახალგაზრდა მეცნიერების წახალისების მიზნით სტიპენდიების დაწესება კარგი ინიციატივაა და მას მიმდევრები უკვე გამოუჩნდნენ.

რა წარმატებისთვის გადაეცათ ახალგაზრდა მეცნიერებს ეს საპატიო ჯილდო? რაზე მუშაობენ ამჟამად ისინი და რას გეგმავენ სამომავლოდ თავიანთი პროფესიონალიზმის ასამაღლებლად? — ამაზე თავად ესტატე ხმალაძის სახელობის სტიპენდიების ღირსეული მფლობელები მოგვითხრობენ:

ბესიკ ჩიქვინიძე, ტსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის მათემატიკის მიმართულების II კურსის მაგისტრანტი:



— ესტატე ხმალაძის სახელობის სტიპენდიის მიღება ჩემთვის დიდი სტიმულია. სამწუხაროდ, დღეს, არა მარტო საქართველოში, მთელ მსოფლიოში, ახალგაზრდების მხრიდან ზუსტ და საბუნებისმეტყველო დარგების მიმართ ინტერესი არც თუ ისე დიდია. ამიტომ ვთვლი, რომ ასეთი წახალისება და მხარდაჭერა ძალიან მნიშვნელოვანია.

ამჟამად ჩემი ხელმძღვანელის მიხედვით მანიას დახმარებით სამაგისტრო ნაშრომზე — „ამონივრული გენერატორიანი შექცეული სტოქასტურ-დიფერენციალური განტოლების ამოხსნა“ ვმუშაობ, რომელიც ჩემი პირველი კვლევითი სამუშაო იქნება. მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ მინდა მეცნიერებაში გავაგრძელო ჩემი მოღვაწეობა, კერძოდ,

მათემატიკის მიმართულებით. ვთვლი, რომ ამ სფეროში გასაკეთებელი კიდევ ბევრია, მთავარი მანძი ამ პროფესიისადმი განსაკუთრებული სიყვარულია. მათემატიკა ბავშვობიდან მიყვარდა, ალბათ იმიტომ, რომ მამა მათემატიკოსია. ზურაბ ვახანიას სახელობის საავტორო სკოლაშიც მათემატიკა უფრო სიღრმისეულად ისწავლედი.

საზღვარგარეთ სწავლის გაგრძელებაზე, სიმართლე გითხრათ, არ ვოცნებობ, ამის აუცილებლობა ვერ ვხედავ, შეიძლება დროებით წავიდე, მაგრამ, რა თქმა უნდა, დავბრუნდები. სპეციალისტების დონე ალბათობის თეორიაში საქართველოშიც ძალიან მაღალია.

სწავლის გარდა ფოტოგრაფია მიმატაცებს. ძირითადად პეიზაჟებს ვიღებ და ეს დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ქართულ საბრძოლო ხელოვნებაზე დავდიოდი, მაგრამ ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო თავი დავანებე, თავისუფალ დროს კი ბუნებაში გასეირნება მირჩევნია.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ თუ ოდესმე მეც გავხდები დიდი და წარმატებული მეცნიერი, აუცილებლად მივბაძვ ბატონ ესტატე ხმალაძეს და სიამოვნებით დავეხმარები ახალგაზრდა მეცნიერებს.

ბიძინა აბესაძე, ტსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის I კურსის მაგისტრანტი:

— ბედნიერი ვარ, რომ ესტატე ხმალაძის



სტიპენდიის მიმნიჭებელმა კომისიამ გამარჯვებულად დამასახელა. ჩემს მადლიერებას, ალბათ, ისევ სწავლით გამოვხატავ. ყოველთვის განვიცდიდი, რომ ზუსტი და საბუნებისმეტყველო დარგები ბოლო დროს არც ისე პოპულარულად ითვლება, ამიტომ ასეთი ქმედებები სახელმწიფოს, უნივერსიტეტის თუ კერძო პირების მხრიდან დიდი შემობრუნების დასაწყისი გახდება.

ჩემი სპეციალობა, თეორიული ფიზიკა, პერსპექტიული დარგია იმ თვალსაზრისით, რომ მის განვითარებას არ სჭირდება დიდი ლაბორატორიები და ექსპერიმენტების ჩატარება. სწავლაში მეხმარებიან ჩემი ხელმძღვანელები: ანზორ ხელაშვილი და ალექსანდრე კვინიხიძე. ამჟამად ვმუშაობ ნაშრომზე „ნუკლონებს შორის ურთიერთქმედება ეფექტური ველის თეორიის მიხედვით“. ვფიქრობთ, რომ წელს ამ საკითხთან დაკავშირებით მოვახერხებ სტატიის გამოცემას. მაგისტრატურის დამთავრების შემდეგ დოქტორანტურაში ჩავაბარებ, სწავლის გაგრძელება საზღვარგარეთ მინდა. როგორც ყველა ფიზიკოსი, ვოცნებობ ბრთვეული კვლევების ევროპულ ცენტრში მოხვედრაზე, სადაც უდიდესი ამარჯობელია აკადემიური და მთელი მსოფლიოს საუკეთესო ფიზიკოსები იქ დიდ აღმოჩენებს ატარებენ.

ჩემი მეგობრის მგავსად, ფიზიკა სკოლის პერიოდშიდან მიყვარდა. ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკურ გიმნაზიაში ფიზიკას საუკეთესო პედაგოგი თამაზ ბარდაველიძე მასწავლიდა.

სანამ უნივერსიტეტში ჩავაბარებდი, საავტორო ინსტიტუტში ვსწავლობდი, შემდეგ სამი წელი საავტორო ქარხანაში ვმუშაობდი.

ამჟამად სწავლის პარალელურად ვმუშაობ კიდევ გამოცემლობაში „თორი“, მათემატიკის ტესტებს ვადავებ გამოცემებისთვის. თავისუფალი დრო თითქმის არა მაქვს. ადრე გატაცებული ვიყავი თარგმანით, ვთარგმნე კრილოვის იგავ-არაკები, მიყვარს 70-იანი წლების ქართული მუსიკა, რომელსაც ხშირად ვუსმენ. სამწუხაროდ, ვერ ვიცილი კინოთეატრებში სასიარულოდ. ჯერჯერობით მთლიანად გატაცებული ვარ ფიზიკით. იმედია, გავამართლებ ესტატე ხმალაძის სტიპენდიის სახელს.



# ახალი სადოქტორო პროგრამები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი წლიდან წლამდე ზრდის საერთაშორისო სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების რაოდენობას, რაც ამ პროგრამებზე სწავლის გაგრძელების მსურველთა დიდ დაინტერესებას იწვევს.

2010-2011 სასწავლო წლიდან უნივერსიტეტში ახალი საერთაშორისო სადოქტორო პროგრამები — „საერთაშორისო ურთიერთობები“ და „გენდერის კვლევა“ ამუშავდება. პროგრამების პრეზენტაცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 11 მაისს გაიმართა.

## მაია ტორაძე

აღნიშნული სადოქტორო პროგრამები წარმოადგენს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ 2004-2009 წლებში განხორციელებული პროექტის — „სოციალურ მეცნიერებათა მხარდაჭერა“ გაგრძელებას. მათი ფორმატი და შინაარსი მთლიანად შეესაბამება სადოქტორო სწავლების დასავლურ სტანდარტებს. პროგრამები განხორციელდება სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი ლია საზოგადოების ინსტიტუტის უმაღლესი განათლების მხარდაჭერის პროგრამის (HESP, OSI) მიერ დაფინანსებული პროექტის — „სადოქტორო პროგრამების განვითარება თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე“ ფარგლებში.

აღსანიშნავია, რომ ახალი სადოქტორო პროგრამები ხელს შეუწყობს საქართველოში სოციალური მეცნიერებების განვითარებას და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციას. პროგრამებს უხელმძღვანელებენ: „გენდერის კვლევაში“ — რათგერის უნივერსიტეტის (აშშ) და ცენტრალური

ევროპის უნივერსიტეტის (უნგრეთი) უცხოელი და ქართველი სუპერვიზორები: ჯოანა რეგულსკა და თამარ ცხადაძე; „საერთაშორისო ურთიერთობებში“ — ოქსფორდის (დიდი ბრიტანეთი) უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ნილ მაკფარლინი.

პრეზენტაციაში მონაწილეობდნენ თსუ-ის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა, თსუ-ის პროფესორი მარინე ჩიტაშვილი, ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი ნილ



მაკფარლინი, მოუნტ ჰოლიოკის კოლეჯის (აშშ) პროფესორი სტივენ ჯონსი, თსუ-ის ასოცირებული პროფესორი თამარ ცხადაძე.

პროფესორმა მარინე ჩიტაშვილმა საზოგადოებას შეახსენა სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ 2004 წლიდან განხორციელებული პროექტები და აღნიშნა, რომ ამ ხნის განმავლობაში ცენტრმა სერიოზული მუშაობა ჩაატარა სახელმძღვანელოების თარგმნისა და ლექსიკონების შედგენის კუთხით. ცენტრში შექმნილია 22 ახალი სამაგისტრო პროგრამის გაფართოებული სილაბუსი, რომელიც მთლიანად სწავლების დასავლურ პრინციპებზეა აგებული.

როგორც პროფესორმა მარინე ჩიტაშვილმა განაცხადა, 2011-2012 წლისთვის იგეგმება სამაგისტრო და სადოქტორო სწავლებების საერთაშორისო სკოლის შექმნა, რომელიც გაერთიანებს თსუ-ში არსებულ შემდეგ პროგრამებს: „ტრანსფორმაცია სამხრეთ კავკასიაში“, „გენდერის კვლევა“ და „საერთაშორისო ურთიერთობები“. 2012 წლისთვის გაიზარდა სოციალურ მეცნიერებებში ონლაინ საერთაშორისო ჟურნალის დაარსებაც. ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორმა ნილ მაკფარლინიმა თავის გამოსვლაში კმაყოფილება გამოთქვა ჩატარებული მუშაობის გამო და აღნიშნა, რომ სადოქტორო პროგრამა „საერთაშორისო ურთიერთობები“ ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციას და საერთაშორისო ურთიერ-

ობების მაღალი დონის სპეციალისტების მომზადებას.

პროფესორმა თამარ ცხადაძემ საზოგადოებას გააცნო სადოქტორო პროგრამა „გენდერის კვლევის“ კურიკულუმი. აღნიშნა, რომ იგი დაემყარება სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ სამაგისტრო პროგრამას. ჩაბარების მსურველთათვის წინაპირობა არ იქნება საბაკალავრო და სამაგისტრო ხარისხი გენდერის კვლევაში. პოტენციური დოქტორანტი შეიძლება ფლობდნენ ხარისხის ნებისმიერ დარგში.

თსუ-ის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ განაცხადა, რომ აღნიშნული სადოქტორო პროგრამები კარგი გამოწვევაა სხვა უნივერსიტეტის ფაკულტეტებისა და მიმართულებებისთვის, რადგან ყველა პროფესორ-მასწავლებელმა უნდა იზრუნოს უცხოეთის ნამყვან უნივერსიტეტებთან ერთობლივი სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების შექმნაზე.

„საერთაშორისო პროგრამები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს წარმოაჩენს როგორც სანდო და სერიოზულ პარტნიორს, აქ ყველა წინაპირობაა იმისთვის, რომ წლიდან წლამდე ერთმანეთზე უკეთესი საერთაშორისო სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამები გვექმნოდეს, რაც უნივერსიტეტის პრესტიჟს სასიცოცხლოდ წაადგება“, — განაცხადა რექტორმა.

ახალ სადოქტორო პროგრამებზე სწავლა 2010 წლის სექტემბრიდან დაიწყება.

# ოქსფორდის პროფესორის ლექცია

## დოქტორანტიებისთვის

სოციალურ მეცნიერებათა ცენტრის მიერ ორგანიზებული საჯარო ლექციების ციკლის ფარგლებში 11, 13 და 14 მაისს გაეროს აუდიტორიაში შედგა ოქსფორდის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ ნილ მაკფარლინის საჯარო ლექცია თემაზე: „რუსეთი და ევროპის უსაფრთხოება“, „ინტერვენციის პრობლემა საერთაშორისო ურთიერთობებში“ და „სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების შესახებ“. ლექციაზე დასწრება ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო. პროფესორი მაკფარლინი ცნობილი ექსპერტია კოფიში საბჭოთა კავშირის რეგიონში მიმდინარე ტრანსფორმაციის საკითხებში. პროფესორი თავის კვლევებში განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს სამხრეთ კავკასიის რეგიონში მიმდინარე პროცესებზე. იგი აგრეთვე იკვლევს პოსტ-კომუნისტურ სახელმწიფოებში საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობას, სამოქალაქო კონფლიქტების მოგვარებასა და პოლიტიკური და ეკონომიკური ტრანსფორმაციის საკითხებს. საჯარო ლექციაზე წარმოდგენილ საკითხებში პროფესორმა ნილ მაკფარლინიმა გამოხატა მხოლოდ საკუთარი სამეცნიერო ხედვა. ლექციის შემდეგ დისკუსია გაიმართა.



მაკფარლინი წაიკითხავს ინგლისურენოვან კურსებს დოქტორანტებისთვის. ამ პროგრამის ფარგლებში მსოფლიოში ყველაზე მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტების მოზიდვას ემსახურება ქართველი დოქტორანტი მომზადდება. თითოეული დოქტორანტი საერთაშორისო ურთიერთობების თემატიკაზე ინდივიდუალურად შერჩეულ საკითხებს დაამუშავებს. მაკფარლინი მათთვის სპეციალურად წაიკითხავს ლექციებს ე.წ. კვლევის დიზაინთან დაკავშირებით, რისი ცოდნაც, ზურაბ დავითაშვი-

ლის თქმით, სამეცნიერო ნაშრომის დასაწერად აუცილებელია. როგორც საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელი, იგი დაინტერესებულია ამ 6 დოქტორანტის საპროფესოროდ მომზადებით, რომლებიც სამუშაოდ უნივერსიტეტში დარჩებიან. მისი თქმით, ჯერ კიდევ მაშინ, როცა თსუ-ში საერთაშორისო ურთიერთობების კათედრა არსებობდა, მის ოქსფორდის უნივერსიტეტთან თანამშრომლობას ჩაეყარა საფუძველი. ოქსფორდის უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, ბატონმა მაკფარლინიმა ოქსფორდის უნივერსიტეტში 2 ქართველი დოქტორანტი მოამზადა. თსუ-ის კურსდამთავრებული ნატო საბანაძე პირველი ქართველი დოქტორია საერთაშორისო ურთიერთობებში, რომელმაც სადოქტორო დისერტაცია ოქსფორდის უნივერსიტეტში დაიცვა და ხარისხი ამ უნივერსიტეტში მოიპოვა. მაკფარლინის მიერ მომზადებული მეთე დოქტორანტი გიორგი ხელაშვილი კი ახლო მომავალში აპირებს სადოქტორო დისერტაციის ოქსფორდის უნივერსიტეტში დაცვას. ნილ მაკფარლინი სწორედ ამ მოტივაციით აგრძელებს უკვე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართველი დოქტორანტების მომზადებას, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით თსუ-ში გააგრძელებენ მოღვაწეობას.

# ახალგაზრდა მეცნიერთა კონფერენცია

სწავლისა და სწავლების თანამედროვე პრინციპები მაგისტრანტებისა და დოქტორანტების სამეცნიერო მუშაობის გააქტიურებას გულისხმობს. ამ მიზნით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტები და მიმართულებები სხვადასხვა სამეცნიერო ღონისძიებას გეგმავენ და ახორციელებენ. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სამეცნიერო კონფერენციები, რომელზეც ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებლები მაგისტრანტურისა და დოქტორანტურის სტუდენტთა სამეცნიერო კვლევებს ეცნობიან და აფასებენ.

## მაია ტორაძე

21 მაისს თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის ინიციატივით გაიმართა ახალგაზრდა მეცნიერთა და დოქტორანტთა სამეცნიერო კონფერენცია, რომელზეც გამომსჯელებმა 13 საინტერესო მოხსენება წარმოადგინეს. მოხსენებებმა თემატიკა მრავალფეროვანი იყო და მოიცავდა როგორც სოციოლოგიის, ასევე, ჟურნალისტიკის, საერთაშორისო ურთიერთობების, ფსიქოლოგიისა და პოლიტოლოგიის საკითხებს. კონფერენციის მონაწილეთა ინტერესი გამოიხატა მოხსენებებში: „საქართველოს იმიჯი დასავლეთის ქვეყნებში“ (ეკა დარბაიძე, თსუ-ის პოლიტიკურ მეცნიერებათა მიმართულების დოქტორანტი); „2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების საარჩევნო კამპანიის ძირითადი ტენდენციები“ (ლიკა თეთრაძე, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა მიმართულების დოქტორანტი); „პოლიტიკის

ველისა და ჟურნალისტიკის ველის შეხვედრის ადგილი: საქართველო ენერგოსექტორი ომის შემდგომ ქართულ პრესაში“ (ფლორა ესებუა, თსუ-ის სოციოლოგიის მიმართულების დოქტორანტი); „მორალური განვითარების თეორიები: პიაჟედან ნეოკოლბერგიანელამდე“ (ნათია მესტირიშვილი, თსუ-ის ფსიქოლოგიის მიმართულების დოქტორანტი); „სამართლის სტატისტიკის თავისებურებანი სამართლებრივი რეჟიმის უზრუნველყოფის საქმეში“ (ანა კუჭუხიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სოციალურ-პუმან-იტარული ფაკულტეტის სამართალმცოდნეობის მიმართულების დოქტორანტი); „2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდგომ ნაპოყენებული სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოების მოდელი“ (მაია მანჩხაშვილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი); „საპარლამენტო დემოკრატიის პრობლემები საქართველოში“ (ნანი მაჭარაშვილი, თსუ-ის ასოციირებული პროფესორი); პოსტსაბჭოთა კულტურული იდენტობა და შავი ზღვის აუზის

ქვეყნები“ (ნინო პოპიაშვილი, თსუ-ის ფილოლოგიის დოქტორი); „ისტორიის სწავლების პრობლემა ეთნიკურ უმცირესობებში“ (თამარ ქარაია, თსუ-ის პოლიტიკური მეცნიერების მიმართულების დოქტორანტი); „პოლიტიკური ინტეგრაცია ევროკავშირში“ (გიზო ჭელიძე, თსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების დოქტორანტი); „ქალთა არასამთავრობო ორგანიზაციები სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში“ (მაია ნურნუშია, თსუ-ის პოლიტიკური მეცნიერების მიმართულების დოქტორანტი). სამეცნიერო კონფერენცია ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა. ყველა მოხსენების დასასრულდ იმართებოდა დისკუსია, რომელშიც დამსწრე საზოგადოება აქტიურად იყო ჩართული.

კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა ამირან ბერძენიშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ ახალგაზრდა მეცნიერთა და დოქტორანტთა სამეცნიერო კონფერენციების გამართვას ყოველწლიური ხასიათი მიეცემა, რადგან ამგვარ ღონისძიებებზე კარგად ჩანს, რაზე მუშაობენ ახალგაზრდა კოლეგები, რა მიმართულებით ვითარდება მათი სამეცნიერო საქმიანობა.

ამ კონფერენციამ აჩვენა, რომ საკმაოდ დიდი პოტენციალი გვაქვს და კარგ მეცნიერებს ვზრდით. მიუხედავად იმისა, რომ სოციალური მეცნიერებები სპეციფიკური და

ცოტა იდეოლოგიზირებულია, ახალგაზრდები ამისგან თავისუფლები არიან და დღეს ძალიან საინტერესო, სიღრმისეული და, მართლაც, მეცნიერული კვლევები წარმოადგინეს. თუ ჩვენ გვინდა, რომ სახელმწიფოს სოციალური ინსტიტუტები კარგად ფუნქციონირებდეს, ამგვარ კვლევებს სათანადო ორგანიზება ყურადღება უნდა მიაქციონ, — განაცხადა ბატონმა ამირან ბერძენიშვილმა.

მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდა მეცნიერებმა და დოქტორანტებმა კონფერენციის მზადების პერიოდში საკმაო აქტივობა გამოიჩინეს, მას მაინც ახლდა ხარვეზი, რაც დამსწრე საზოგადოების რაოდენობრივ სიმცირეში გამოიხატებოდა. ამის თაობაზე გულისხმავი ბატონმა ამირან ბერძენიშვილმაც გამოთქვა: „მიუხედავად ჩემი მცდელობისა, რომ რაც შეიძლება მეტი ხალხი დასწრებოდა კონფერენციას, ძალიან ცოტამ გამოიჩინა ინტერესი. საწყენია, რომ ასეთი საინტერესო კონფერენცია მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებდა და მოხსენებები კვალიფიციურმა მსმენელმა არ მოისმინა. ეს ეხება როგორც ჩვენს მეცნიერებსა და პროფესორებს, ასევე იმ ინსტიტუტებს, რომელთა საქმიანობასაც ეხებოდა ეს კვლევები“, — განაცხადა მან და იმედი გამოთქვა, რომ მომავალ სამეცნიერო კონფერენციით მეტად დაინტერესდებიან როგორც თსუ-ის პროფესორები, ასევე, ის სოციალური ინსტიტუტები, რომელთა საქმიანობის შესახებაც იქნება წარმოდგენილი სამეცნიერო მოხსენებები.





თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის III კურსის სტუდენტმა, მშვილდოსანმა დავით ჭელიძემ ახალგაზრდებს შორის საქართველოს ჩემპიონატში, რომელიც 4-5 მაისს ქ. თბილისში გაიმართა, პირველი ადგილი მოიპოვა და საქართველოს ნაკრებში მოხვდა. ჩემპიონატში წარმატებით მოასპარეზე სტუდენტი ყველა შეჯიბრში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული მშვილდოსნობის კლუბის სახელით მონაწილეობს, რაც ერთგვარი პრესტიჟია უნივერსიტეტისთვის.

# თსუ-ის სტუდენტი — საქართველოს ჩემპიონი მშვილდოსნობაში

აღსანიშნავია, რომ 6-7 თებერვალს ქ. თბილისის პირველობაზე მშვილდოსნობაში იუნიორთა შორის დავით ჭელიძემ I ადგილი მოიპოვა, 19-21 თებერვალს ქ. თბილისის მერიის თასის ღია გათამაშებაზე მშვილდოსნობაში მეორე ადგილზე გავიდა (ტურნირი ჩატარდა საქართველოს მასშტაბით), ხოლო 9-10 აპრილს ღია ჩემპიონატზე ქ. ბათუმში მესამე ადგილი მოიპოვა. დავით ჭელიძის წარმატებებს აქტიურად ადევნებს თვალს საქართველოს ეროვნული მშვილდოსნობის ფედერაცია, რომელიც 3-4 ივნისს ბათუმში დაგეგმილ საქართველოს ჩემპიონატში დავით ჭელიძის წარმატებით ასპარეზობის შემთხვევაში მას ანტალიაში მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის მისაღებად მიაგლენს. ამ პერსპექტივის დიდი იმედი აქვს დავით ჭელიძის მწვრთნელს დავით თევდორაძეს, რომელიც აცხადებს, რომ მისი სახელოვანი მოსწავლე მსოფლიო ჩემპიონატზე აუცილებლად მოხვდება. როგორც გაირკვა, 2008 წელს ქ. ბათუმში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე

დავით ჭელიძემ სწორედ მისი მწვრთნელის დავით თევდორაძის დაჟინებული თხოვნით პირველად მიიღო მონაწილეობა და მას შემდეგ, რაც ამ თამაშებში დამყარებული შედეგები აჩვენა, სტუდენტი მშვილდოსნობამ გაიტაცა. „თუ ცხოვრებაში ხარ უმიზნო და მოდუნებული, ამ სპორტში ვერ იქნები წარმატებული. შენი გასაროლილი ათიანში უნდა მოხვდეს“, — ამბობს დავით ჭელიძე, რომელიც ამ ეტაპზე ასპარეზობისას 70 მეტრის დისტანციაზე ახერხებს ისრის ათიანში მორტყმას. აღსანიშნავია, რომ მასშტაბურ ტურნირებზე მონაწილეობის მისაღებად წარმატებულ მშვილდოსანს ძვირად ღირებული მშვილდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ რექტორის გიორგი ხუბუას მოთხოვნის საფუძველზე შეუძინა. „უნივერსიტეტის მშვილდოსანთა კლუბში ამ სპორტით დაინტერესებული 8 სტუდენტი გვყავს. მეტ იარაღს ვერ ვფლობთ, თორემ მსურველი უფრო მეტია. მივმართე საქართველოს ეროვნული მშ-

ვილდოსნობის ფედერაციას, რომელმაც წერილი მიწერა ჩვენს რექტორატს იარაღის შესაძენად. უნივერსიტეტმა შეგვიძინა მშვილდი, რითაც საქართველოს ჩემპიონატი მოვიგეთ და საქართველოში პირველი ნომერი გავხდით. უნივერსიტეტის რექტორი გვიპირდება, რომ ვარჯიშისთვის უნივერსიტეტის ტერიტორიაზე ადგილს გამოგვიყოფს და სასროლეთს გაგვიკეთებს“, — აცხადებს მშვილდოსანთა კლუბის მწვრთნელი დავით თევდორაძე. დავით ჭელიძემ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ფიზიკის მიმართულებაზე სწავლა კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის დამთავრების შემდეგ გააგრძელა და ფიზიკა-მათემატიკის მიმართულებით მოპოვებული არაერთი დიპლომის მფლობელი უნივერსიტეტშიც ასეთივე წარმატებით აგრძელებს სწავლას. „უკვე მეორე წელია, რაც ამ სპორტით ვარ დაკავებული და დიდი სურვილი მაქვს, ჩემი მიღწევებით გამარჯვება მოვუტანო როგორც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ასევე, საქართველოს“, — აღნიშნა დავით ჭელიძემ.

# ყველაზე მხიარულები და საზრიანები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხიარულოთა და საზრიანთა გუნდი „თსუ“ საქართველოს ჩემპიონატის გამარჯვებულია.

## შურთისა ბაროშვილი

17 მაისს პროფესიული კავშირების სასახლეში „მან-სან-კან“-ის საქართველოს ჩემპიონატის ფინალი გაიმართა. ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდები, გუნდი „ვიკინგები“ და სამედიცინო უნივერსიტეტის გუნდი „კოზანოსტრა“. ჩემპიონატში გამარჯვება თსუ-ის გუნდმა მოიპოვა და საჩუქრად მიიღო გარ-

დამავალი თასი, რომლის მფლობელი შარშანდელი ჩემპიონატის გამარჯვებული „ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“ გუნდი იყო. თსუ-ის გუნდის ხელმძღვანელის გიორგი კაპანაძის თქმით, ჩემპიონატი საქართველოს კავშირების ფედერაციის ორგანიზებით გაიმართა. მისი ინფორმაციით, თსუ-ის გუნდმა ყველა ეტაპი წარმატებით გაიარა და ფინალშიც ღირსეული წარსდგა. კონკურსი სამ ეტაპად მიმდინარეობდა: მისაღებად, სტეში და მუსიკალური ნომერი. თსუ-ის გუნდმა მისაღებად დიდი უპირატესობით, 12 ქულით მოიგო. „აღსანიშნავია, რომ თსუ-ში „მან-სან-კან“-ის ჩატარების ტრადიცია უკვე დიდი ხანია არსებობს. თსუ-ის გუნდს თავისი მიღწევებით რუსეთშიც კარგად იცნობენ. აღსანიშნავია,

რომ თსუ-ს 4 წლის მანძილზე „მან-სან-კან“-ის გუნდი არ ჰყავდა. ტრადიცია სტუდენტური თვითმმართველობის ყოფილი პრეზიდენტის გიორგი შამათავას ინიციატივითა და ხელშეწყობით აღდგა. თსუ-ის გუნდის ხელმძღვანელის გიორგი კაპანაძის ინფორმაციით, მომავალი წლიდან გუნდის შეადგენლობა გაიზარდება. გაიმართება შიდასახელმწიფო ჩემპიონატი, სადაც ყველა მსურველს შეეძლება მონაწილეობის მიღება. „გუნდის მიზანია, დამკვიდრდეს და პოპულარობა მოიპოვოს ქართულ შოუ ბიზნესში — ამის წინაპირობად შეიძლება ჩაითვალოს 1 ივნისს დაგეგმილი საქველმოქმედო კონცერტი, რომელიც პროფესიული კავშირების სასახლეში გაიმართება, სადაც თსუ-ის გუნდი სხვა ცნობილ შოუ



ბიზნესის წარმომადგენლებთან ერთად წარსდგება და საუკეთესო ნომრებს წარმოადგენს“, — განაცხადა გიორგი კაპანაძემ. მისი ინფორმაციით, საქველმოქმედო კონცერტის ორგანიზატორია ჯგუფი „სხვები“. კონცერტზე შემოსული თანხა მთლიანად საგურამოს ბავშვთა სახლს მოხმარდება.

# ქალთა თასის გათამაშება თსუ-მ მოიგო



## მარიამ ბაქიტაშვილი

20 მაისს დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატის ბოლო, მე-5 ტურის მატჩები კალათბურთში ქალთა გუნდებს შორის, რომელსაც თბილისმა უმასპინძლა. შეხვედრები საკალათბურთო აკადემიის დარბაზში გაიმართა და, ტრადიციულად, გუნდ „თსუ“-ის გამარჯვებით დამთავრდა. ასე რომ, შეიძლება ითქვას, ქალ კალათბურთელთა ნაკრები „თსუ“ ნაუგებელ სერიას აგრძელებს, თუმცა ჩემპიონატის პირველ ნახევარში, ზესტაფონის გუნდთან ნაგების გამო, გუნდი მეორე ადგილზე ჩამოქვეითდა. ტრავმირებული ლიდერების გამოჯანმრთელების შემდეგ უნივერსიტეტის გუნდმა ძალები აღიდგინა და ზედიზედ ორჯერ მოუგო მონაწილემდეგ ზესტაფონისა და ქუთაისის გუნდებს. კალათბურთის ფედერაციის გენმდივანმა მერაბ რატიშვილმა გუნდის კაპიტანს ნათია აბულაძეს, რომელიც თსუ-ის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტია, საჩემპიონო თასი გადასცა და გუნდი საქა-

რთველოს ეროვნული ჩემპიონატის ოქროს მედლებით დააჯილდოვა. მეორე ადგილზე გასულმა ზესტაფონის გუნდმა საქართველოს თასის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა და ჩემპიონ გუნდ „თსუ“-თან კვლავ იასპარეზა 25 მაისს საქართველოს თასის გათამაშების ფინალურ მატჩში, რომელიც სპორტის სასახლეში გაიმართა. საქართველოს თასი ისევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოიგო. რაც ეს ტიტული 2003 წლიდან თამაშდება, მას სხვა მფლობელთა თსუ-ს გარდა არ ჰყავს. ელდარ კაპანაძის განუთხილმა გუნდმა სპორტის სასახლეში „ზესტაფონს“ დაძაბულ ბრძოლაში 68:60 მოუგო. მატჩის საუკეთესო მოთამაშემ, გუნდის კაპიტანმა ნათია აბულაძემ საბოლოოდ 29 ქულა დააგროვა, რამაც დიდი წვლილი შეიტანა თამაშის მოგებაში. მატჩის დასრულების შემდეგ რექტორი გიორგი ხუბუა და სპორტისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელი ირაკლი ხარჯევანიძე მოედანზე ჩავიდნენ და გოგონებს თასის მოგება მიულოცეს.

# ვაჟ კალათბურთელთა გუნდი „თსუ“ პერცხლის მედალოსანია

19 მაისს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა „სუპერლიგა 2009-2010“-ის ფინალი კალათბურთში. ერთმანეთს ხვდებოდნენ ვაჟ კალათბურთელთა გუნდები: რუსთავის „ენერჯი ინვესტი“ და გუნდი „თსუ“, რომელიც 3 ქულით (92:95) დამარცხდა და ვერცხლის მედალოსანი გახდა, „ენერჯი ინვესტისთვის“ კი ეს მეოთხე ოქროს მედალია.

აპრილში გუნდმა „თსუ“-მ ნახევარფინალში აგრარული უნივერსიტეტის გუნდი დაამარცხა და ფინალში გადავიდა. როგორც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ნუგზარ ჭიჭიშვილმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, ამ წარმატებით ახალი ფურცელი ჩაინერა უნივერსიტეტის ისტორიაში. „ისეთი რესურსებით (ტრავმირებული იყო 4 კალათბურთელი, მათ შორის ნამყვანი მოთამაშეები გიორგი გაფრინდაშვილი, მიშა ფანჯულიძე და სხვები), როგორცაა გუნდი ფინალამდე მოვიდა, ეს პატივად წარმატება არ არის. სრული შემადგენლობით შეგვეძლო ოქროს მედლის მოგება. პირველი კორპუსის დარბაზის სარემონტო სამუშაოების გამო, ვარჯიში II კორპუსის მცირე ზომის დარბაზ-

ში გვიხდებოდა, რაც, დამეთანხმებით, პროფესიულ დონეზე მოსამზადებლად, არასახარბიელოა. თუმცა უნივერსიტეტის დახმარებით მოსამზადებელი პერიოდი ბათუმში გავიარეთ, ზამთარში კი ბაკურიანში ვიყავით შეკრებაზე, რაც, ასევე, დადებითად წაადგა გუნდს და, შეიძლება ითქვას, დიდი გავლენა მოახდინა ამ წარმატებაზეც. როცა პროფესიულ ლიგაში გამოდიხარ, საოცარად დონეზე მომზადებით ვერაფერს შეძლებ. „ენერჯი ინვესტს“ ორი უცხოელი მოთამაშე ჰყავს, ერთი ამერიკელი და ერთი აფრიკელი, ორიც საქართველოს ნაკრების მოთამაშე, თუმცა რუსთავში ერთი თამაში მოვუგეთ. ორჯერ ვითამაშეთ თასის ფინალი, საქართველოს ჩემპიონატის ფინალი უკვე მესამე იყო“, — თქვა ჩვენთან საუბარში ნუგზარ ჭიჭიშვილმა. გუნდი, ძირითადად, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებით არის დაკომპლექტებული. მათ შორის არიან თსუ-ის სტუდენტები: გიორგი კუჭავა და ირაკლი ივანიშვილი. უახლოეს მომავალში თსუ-ის მაღლივ კორპუსში გაიხსნება ახალგაზრდობის დარბაზი, სადაც ჩვენი კალათბურთელები ივარჯიშებენ.





# არჩევნებში „ერთიანმა სტუდენტურმა მოძრაობამ“ გაიმარჯვა

პირველი გვერდიდან

„ხმის მიცემის პროცედურამ მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. სტუდენტები უფრო დღის პირველ ნახევარში აქტიურობდნენ. ჩვენ თსუ-ის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შემოგვთავაზა, რომ ვყოფილიყავით საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრები და მონაწილეობა მიგველო სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების პროცესში, რასაც სიამოვნებით დავთანხმდით“, — განაცხადა თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე გახსნილი საარჩევნო უბნის თავმჯდომარემ, სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტმა გია სორდიამ.

2010 წლის სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებს სტუდენტური ორგანიზაციების მიერ წარდგენილი დამკვირვებლები აკვირდებოდნენ. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში საჩივრის შედგენის უფლება მათ საღამოს 6 საათამდე, ანუ კენჭის ყრის დასრულებამდე ჰქონდათ. თუმცა საარჩევნო კომისიის ინფორმაციით, მათთან არც ერთი მსგავსი შინაარსის დოკუმენტი არ შესულა.

„ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში არც ხმის მიცემის და არც ბიულეტენების დათვლის პროცესთან დაკავშირებით საჩივრები არ შემოსულა. შესაბამისად, არჩევნები ჩატარებულად გამოცხადდა. სულ დღეგატობის 211 კანდიდატი იყო წარდგენილი, სტუდენტებმა 110 წევრი აირჩიეს.“

არჩევნებზე დამკვირვებლის სტატუსის მისაღებად რეგისტრაცია გაიარეს ნორვეგიის

მმართველი პარტიის ახლგაზრდული ფრთის წარმომადგენლებმა, თუმცა ავიარების გააძვირების გამო დროულად ჩამოსვლა ვერ მოახერხეს და არჩევნებს ვერ დაესწრნენ“, — განაცხადა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დავით ღარსიამ.

ამ დროისათვის თსუ-ში ცესკო-მ მუშაობა უკვე დაასრულა და არჩევნებთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ახლად არჩეულ სტუდენტურ თვითმმართველობას გადასცა. 2010 წლის არჩევნებში მონაწილე სამი სტუდენტური მოძრაობიდან წინა საარჩევნო



პერიოდში ყველაზე მეტად „ერთიანი სტუდენტური მოძრაობა“ აქტიურობდა. მათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კორპუსებში სარეკლამო პლაკატები განათავსეს, გამართეს სამოქმედო პროგრამის პრეზენტაცია და წინასწარ წარადგინეს თვითმმართველობის პრეზიდენტობის საკუთარი კანდიდატიც.

სტუდენტურ არჩევნებს წინ უძღოდა საარჩევნო გამოკითხვა, რომელიც სტუდენტური გაზეთის „თსუ თაიმისი“ რედაქციამ ჩაატარა. სულ გამოკითხა 1371 სტუდენტი. მათგან 38%-ს მიაჩნია, რომ მესამე მოწვევის სტუდენტური თვითმმართველობა სტუდენტების გაცვლით პროექტებსა და საგარეო კონტაქტების გაფართოების უზრუნველყოფაზე უნდა იყოს ორიენტირებული. 28% ფიქრობს, რომ თვითმმართველობის პრიორიტეტი სტუდენტთა უფლებების დაცვა უნდა გახდეს, ანუ ეთანხმებიან არჩევნებში გამარჯვებული მოძრაობის საარჩევნო პროგრამას. ასევე, საინტერესოა, აღნიშნული კვლევის ერთ-ერთი კითხვაც, რომელიც თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის ვინაობას ეხება. შედეგი ასეთია: „ერთიანი სტუდენტური მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატს დაჩი გუბაძეს გამოკითხულთა 15%-მა დაუჭირა მხარი, ვიცე-პრეზიდენტობის კანდიდატს ირაკლი სამხარაძეს — 14%-მა. 22%-ს სურდა, რომ თვითმმართველობის პრეზიდენტის პოსტზე კვლავ გიორგი შამათავა ეხილა, თუმცა, როგორც ყველასთვის ცნობილია, მას არჩევნებში მონაწილეობა აღარ მიუღია.

## ქიმიკოსთა ოლიმპიადაში გამარჯვებული

ახლახან 2010 წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის საბოლოო შედეგები გამოქვეყნდა, სადაც მონაწილეობა მიიღო და გაიმარჯვა თსუ-ის ნორჩ ქიმიკოსთა სკოლის მსმენელმა, გივი ზალდასტანიშვილის სახელობის ამერიკული აკადემიის IX კლასის მოსწავლემ დავით ორჯონიკიძემ.

### თამარ მარუაშვილი

დავით ორჯონიკიძე უკვე ორი წელია, აქტიურად ესწრება თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტის“ ლექციებს და ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატის მაია რუსიას ხელმძღვანელობით თსუ-ის ნორჩ ქიმიკოსთა წრეში იღრმავებს ცოდნას ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში.

„დათო ძალიან შრომისმოყვარე და სწავლაზე ორიენტირებული მოსწავლეა. აღსანიშნავია, რომ სკოლაში, სადაც დათო სწავლობს, ქიმია X კლასიდან ისწავლება, დათო კი IX კლასის მოსწავლეა, მაგრამ „საბავშვო უნივერსიტეტის“ ლექციების მოსმენის შემდეგ ისე დაინტერესდა ამ საგნით, რომ ნორჩ ქიმიკოსთა სკოლაში განვერიანდა და დღეს ერთ-ერთი სამაგალითო მოსწავლეა. დათომ

შარშანაც მიიღო მონაწილეობა ოლიმპიადაში, მაგრამ ერთი მექანიკური შეცდომის გამო მესამე ადგილი დაიკავა. მჯერა, რომ იგი სულ მალე წარმატებული და პერსპექტიული მეცნიერი გახდება“, — განაცხადა თსუ-ის ზოგადი და არაორგანული ქიმიის მიმართულების ლაბორატორიის გამგემ, ქიმიის მეცნიერებათა კანდიდატმა, ქალბატონმა მაია რუსიამ.

თსუ-ის „საბავშვო უნივერსიტეტს“ უამრავი მსმენელი ყავს მთელი საქართველოს მასშტაბით და მოსწავლეთა დიდი ნაწილი წარმატებული და სამაგალითო სტუდენტი ხდება, რაც, რა თქმა უნდა, ამ უნივერსიტეტში მიღებული ცოდნისა და განათლების შედეგია. ეროვნულ სასწავლო ოლიმპიადაში გამარჯვებული დავით ორჯონიკიძეც მისი აქტიური მსმენელია და როგორც თვითონ აღნიშნავს, აქ მიღებულმა თეორიულმა და პრაქტიკულმა ცოდნამ გადააწყვეტინა სწავლის გასაგრძელებლად არჩევანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე შეეჩერებინა.

„მადლობას მოვასენებ თსუ-ის ხელმძღვანელობას სკოლის მოსწავლეებზე ზრუნვისთვის. უნივერსიტეტის კედლებში მიღებული ცოდნა სასკოლო საგანზე უფრო ღრმა და საფუძვლიან წარმოდგენას გვაძლევს და, რა თქმა უნდა, ინტერესიც უფრო იზრდება. აგრეთვე მინდა მადლობა გადავუხადო თსუ-ის ნორჩ ქიმიკოსთა სკოლის ხელმძღვანელს, ქალბატონ მაია რუსიას თავდაუზოგავი შრომისათვის. რომ არა მისი

მონდობა და ამ საგნით დაინტერესების საოცარი უნარი, დღეს ოლიმპიადის გამარჯვებული არ ვიქნებოდი. მართალია, სკოლაში ქიმიას ჯერ არ ვსწავლობ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მეცხრე კლასელმა მეათეკლასელბთან გავიმარჯვე. თუ ნორჩ ქიმიკოსთა სკოლა ტექნიკურად უფრო გამართული იქნება, უკეთესი შედეგების მიღწევაც შეიძლება... როცა სკოლის მოსწავლე სწავლის გასაგრძელებლად მოდის აქ, სასურველია მან სასკოლო სწავლებასთან შედარებით, თეორიული და პრაქტიკული სწავლებისა და კვლევების უფრო მაღალი დონე დაინახოს, რაც, რა თქმა უნდა, მოსწავლეების ინტერესს უფრო გაზრდის აღნიშნული უნივერსიტეტის და არჩეული საგნის მიმართ. თანამედროვე სწავლების პროცესს არ უნდა ჩამოვრჩეთ“, — აღნიშნა ჩვენთან საუბარში დავით ორჯონიკიძემ.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, სასკოლო ოლიმპიადაები ყოველწლიურად ტარდება სხვადასხვა სასკოლო საგნებში. 2010 წლის ეროვნულ ოლიმპიადაში მონაწილეობდა საქართველოს სკოლების 95%, დასკვნით ტურში გამარჯვებული 10 მოსწავლე ეროვნული ნაკრების წევრობის კანდიდატი გახდება.

ოლიმპიადის ძირითადი მიზანია ნიჭიერი მოსწავლეების გამოვლენა; სასკოლო რეზორმების ხელშეწყობა; სასკოლო ცხოვრების სტიმულირება; მოსწავლეების, პედა-



გოგების, სასწავლო პროცესის ნახალისება და საქართველოს ნაკრების კანდიდატთა გამოვლენა საერთაშორისო ოლიმპიადისათვის, ვის რიგებშიც, იმედია, თსუ-ის ნორჩ ქიმიკოსთა სკოლის მსმენელს დავით ორჯონიკიძესაც ვიხილავთ.

## თსუ-ის რეკორდსმენები ათლეტიზმში

ტრადიციულად, ყოველწლიურად, მაისში საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია ატარებს უნივერსიადებს სპორტის სხვადასხვა სახეობებში აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის.

30 აპრილს თსუ-ის II კორპუსის სპორტულ დარბაზში, უნივერსიტეტის ათლეტიზმის ნაკრები გუნდის დაკომპლექტების მიზნით, ჩატარდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჩემპიონატი ათლეტიზმის სახეობა ნოლჭიმში, სადაც შესანიშნავად იასპარეზეს სტუდენტმა ათლეტებმა.

შეჯიბრების მსვლელობაში 17-ჯერ გაუმ-



ჯობესა რეკორდები სხვადასხვა წონით კატეგორიებში. საბოლოოდ წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი გოგა ზურაბაშვილი, რომელმაც აჭიმა 70 კგ, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი გიორგი დიდუბაშვილი — 90კგ; იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი თორნიკე მარსაგიშვილი — 120კგ; იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გელა კანდელაკი — 125 კგ; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი ლევან ციციშვილი — 160,5კგ; იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი სტეფანე ნიკლაური — 160 კგ; იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი გიორგი ზარნაძე — 135,5 კგ.

უნდა აღინიშნოს, რომ მძიმე წონაში გიორგი ზარნაძის რეკორდი მეოთხე დამატებით სარეკორდო ცდაში 140 კგ-მდე გაზარდა იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა მიხეილ ორაგველიძემ.

პირად შეჯიბრში განსაკუთრებული წარმატება მოიპოვა 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონმა ლევან ციციშვილმა. მისი შედეგი 160,5 კგ. — 10,5 კგ-ით აღემატება მისსავე მსოფლიო რეკორდს.

აღსანიშნავია, რომ 24 მაისს თსუ-ში გაიმართა საქართველოს უნივერსიადის, რომელშიც 7 უმაღლესი სასწავლებლის სპორტსმენები მონაწილეობდნენ. თსუ-ის ათლეტებმა ლევან ციციშვილმა და სტეფანე ნიკლაურმა პირველი ადგილი მოიპოვეს შესაბამისად 90 და 100 კგ-მდე წონით კატეგორიებში.



# EMSA TSU



## თსუ-ში ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის წევრი სტუდენტური ორგანიზაცია ჩამოყალიბდა

თსუ-ის მედიკოსთა ასოციაციის წევრი სტუდენტური ორგანიზაციის ჩამოყალიბების EMSA TSU-ს სახით. სტუდენტების ამ ინიციატივას მიესალმა ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია და მხარში ამოუდგა უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანატი, ფაკულტეტზე არსებული სამედიცინო კვლევებისა და განვითარების სამსახური და

უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. ახლად ჩამოყალიბებული EMSA TSU-ს ერთი წლის ვადით არჩეული გამგეობა ორგანიზაციის დამფუძნებლებმა დააკომპლექტეს. გამგეობის შემადგენლობა ასეთია: პრეზიდენტი — ნ. ცინცაძე, გენერალური მდივანი — გ. ტაბაღაძე, აღმასრულებელი დირექტორი — ა. კვერნაძე, ფინანსური მენეჯერი — გ. მარგანი, ვიცე-პრეზიდენტი საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში — ნ. მაღრაძე, ვიცე-პრეზიდენტი აკადემიური საქმიანობის სფეროში — გ. ტატიშვილი, ვიცე-პრეზიდენტი

სემინარებისა და კონფერენციების დარგში — გ. ქურიძე, ვიცე-პრეზიდენტი სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების დარგში — ლ. დუდუჩავა, ვიცე-პრეზიდენტი კლინიკური პრაქტიკის დარგში — ა. ხუციშვილი. „ჩვენ, როგორც „ემსა თსუ“-ის დამფუძნებლები, ვამაყობთ, რომ ვართ კავკასიის რეგიონში დაარსებული პირველი უნივერსიტეტის სტუდენტები და სწორედ აქ ვეუფლებით ჩვენს პროფესიას. ახლა გვაქვს საფუძველი ვიამაყოთ იმითაც, რომ სწორედ ჩვენი სტუდენტობის პერიოდში ვახდენ

ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის წევრი. ვფიქრობთ, ეს ფაქტი მნიშვნელოვანია, რადგან მედიცინის დარგში, რომლის განვითარებისთვის აუცილებელია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული ცოდნის საერთაშორისო დონეზე გაზიარება. „ემსა თსუ“-ს ჩამოყალიბება მხოლოდ პირველი ნაბიჯია და იმედია, გაგამართლებთ ჩვენს მიზნებს“, - აღნიშნულია EMSA TSU-ის გამგეობის წევრთა მიერ შედგენილ წერილში.

## რას წარმოადგენს EMSA?

ევროპის მედიკოს სტუდენტთა წარმომადგენელი ორგანიზაციის ჩამოყალიბების იდეა გაჩნდა 1990 წელს ქ. ლოვენში (ბელგია) გამართულ სიმპოზიუმზე, რომელსაც ევროპის თითქმის ყველა ქვეყნიდან წარმომადგენელი სტუდენტები ესწრებოდნენ. 1991 წელს ქ. ბრიუსელში ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია ჩამოყალიბდა, რომელიც დაფუძნდა ბელგიის მეფე ბონდუინ-ის პატრონაჟით, ფინანსური მხარდაჭერა კი „ემსა“-ს გაუწია ევროპული გაერთიანების პროგრამამ — ერასმუსი. მას შემდეგ „ემსა“ გაფართოვდა და დღესდღეობით 24 ქვეყნის საფაკულტეტო ორგანიზაციის აერთიანებს. „ემსა“ აქტიურად თანამშრომლობს ევროპის გარეთ არსებულ მსგავსი ტიპის ორგანიზაციებთან. ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია, როგორც ხიდი მთელი ევროპის მედიკოს სტუდენტთა შორის, ცდილობს სამედიცინო განათლების მიმართულებაში, სამედიცინო ეთიკის სფეროში, მედიცინის სამეცნიერო სამყაროში და ევროპის ინტეგრაციის მიმართულებაში არსებული ცოდნა გაავრცელოს ევროპის მასშტაბით და ამით თავისი წვლილი შეიტანოს ევროპის ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებაში. „ემსა“-ს არსებობა ემსახურება შემდეგ მიზნებს:

- ევროპის მედიკოს სტუდენტთა გარე-

თიანება, და მედიცინის სფეროში ევროპული ერთობის შეგრძნების დანერგვა;

- მთელი ევროპის მედიკოს სტუდენტების შეხვედრების გახმობა;
- შესარულოს ევროპის მთელი მასშტაბით ფორუმის ფუნქცია სტუდენტებისთვის, რათა მოხდეს ერთობლივი განხილვა იმ საკითხებისა, რომელიც ეხება სამედიცინო ეთიკას, სამედიცინო მეცნიერებას, სამედიცინო განათლებასა და ევროპაში ინტეგრაციას;
- გაავრცელოს უმაღლესი სამედიცინო განათლების სტანდარტები მთელი ევროპის მასშტაბით და იზრუნოს ჯანდაცვის სფეროს განვითარებაზე ევროპაში;
- ევროპის მედიკოს სტუდენტებისა და გარეშე მყოფი საზოგადოების ჩართვით მოაწყოს სხვადასხვა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ღონისძიება, განხორციელოს ამ პროფილის პროექტები და აქციები;
- უზრუნველყოს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კულტურის გაცნობა ასოციაციის წევრებისთვის და ამის შესაბამისად მოაწყოს საერთო შეხვედრები და სხვადასხვა ღონისძიება;
- ითანამშრომლოს სხვა სტუდენტურ ორგანიზაციასთან და სხვა ევროპის სამედიცინო პროფილის ორგანიზაციებთან და იყოს ევროპის მედიკოს სტუდენტთა წარმომადგენელი მათთან.

## EMSA TSU-ს მიზნები და საქმიანობა

**EMSA TSU ისახავს შემდეგ მიზნებს:**

- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობის (სამკურნალო საქმე, სტომატოლოგია, ოკუპაციური თერაპია) სტუდენტების გაერთიანება და მათი უფლებების დაცვა;
- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტების შეხვედრების გახმობა და ამ წინადადებათა წარდგენა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობისთვის (ფაკულტეტის დეკანატისთვის);
- ფაკულტეტზე სხვადასხვა სამეცნიერო ხასიათის საქმიანობა (კონფერენციები, სემინარები, სამედიცინო ლიტერატურის პრეზენტაცია, დისკუსიები სხვადასხვა თემებზე);
- ქვეყნის მასშტაბით და ქვეყნის გარეთ არსებულ მედიცინის სხვა ფაკულტეტის სტუდენტთა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- მსოფლიო მასშტაბით გაცვლითი პროგრამების განხორციელება;
- ქვეყნის მასშტაბით და მის გარეთ არსებულ სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებასთან, გაერთიანებასთან, არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობა და მათთან ერთად სხვადასხვა პროექტის განხორციელება;
- მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის აუცილებელი სხვა პროექტების დაგეგმვა და განხორციელება მათთვის თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნის გაღრმავების მიზნით;
- ქვეყნის საგანმანათლებლო და ჯანდაცვის რეფორმაში აქტიური მონაწილეობის მიღება.

## „სტუდენტის სიტყვას ზოგჯერ მეტი ფასი აქვს, ვიდრე რომელიმე აუდიტორიაში წაკითხულ ლექციას“



ნინო ცინცაძე

გვესაუბრება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი ბიორბი ხუბუა.

— ბატონო რექტორო, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა ევროპული გაერთიანების წევრი ორგანიზაცია, კერძოდ კი ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის წევრი ორგანიზაცია — EMSA TSU (ემსა თსუ). რა

ზარის ხართ მსგავსი ტიპის ორგანიზაციის ჩამოყალიბებაზე ჩვენს უნივერსიტეტში?

— პირველ რიგში გილოცავთ და მინდა, მაღლობა ვუთხრა ყველა იმ სტუდენტს, ვინც ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული. ვიცი, რამდენად რთულია განვერიანება ამ ასოციაციაში. ეს არის, პირველ რიგში, აღიარება ჩვენი სტუდენტური ორგანიზაციისა და, ამავე დროს, დიდი გამოწვევა, იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ აუცილებლად უნდა ვიყოთ ღირსეული პარტნიორები ამ ძალიან მნიშვნელოვან ორგანიზაციაში. რა თქმა უნდა, მივესალმები ჩვენი სტუდენტების მისწრაფებას — იყვენ მედიკოსთა ევროპული ოჯახის სრულყოფილებიანი წევრი. მსგავსი ტიპის გაერთიანებებში წევრობა არის უმოკლესი გზა იმისა, რომ ჩვენთანაც ამაღლდეს სწავლების დონე, დამკვიდრდეს სტუდენტური ცხოვრების ევროპული კულტურა. ეს არ ეხება, რა თქმა უნდა, მხოლოდ სწავლას, რადგან სტუდენტური ცხოვრება მოიცავს ბევრ სხვა აქტიურობასაც და, ამ მხრივ, ეს ნაბიჯი ჩვენს ქართველ სტუდენტ მედიკოსებს მისცემს უნიკალურ შესაძლებლობას — გაააქტიურონ კონტაქტები თავიანთ ევროპულ კოლეგებთან, მაქსიმალურად შეუწყონ ხელი საქართველოში სტუდენტური ცხოვრების ევროპული სტილის დამკვიდრებას, უფრო საინტერესო გახადონ საქართველო ჩვენი ევროპული კოლეგებისათვის. სასიამოვნოა იმის აღნიშვნა, რომ იურისტების შემდეგ, ეს არის პირველი პროფესიული გაერთიანება, რომ-

ლის წევრობაც მედიკოსებმა მოიპოვეთ. ეს კარგი მაგალითია სხვა პროფესიის სტუდენტებისთვისაც. თქვენ შეძელით ევროპელი კოლეგების წინაშე დაგემტკიცებინათ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტები მზად არიან ამ გაერთიანებაში განვერიანებისთვის. სწორედ სტუდენტური აქტიურობა არის ნებისმიერი წარმატების აუცილებელი წინაპირობა. ვისურვებდი, რომ უახლოეს მომავალში, თქვენი ხელშეწყობით, თსუ-ში გაიმართოს ევროპული დონის შეკრება, რომელსაც თქვენი კოლეგები ტრადიციულად სხვადასხვა ქვეყნებში ატარებენ.

— ჩვენს უნივერსიტეტში „ემსა-თსუ“-ის ეგიდით დაგეგმილია ღონისძიებები, კერძოდ: 31 მაისს ტარდება აქცია ლოზუნგით - „ქალები თამბაქოს გარეშე“, ასევე, ვმართავთ ღონისძიებას 1 ივნისს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით. რას ფიქრობთ, რა მნიშვნელობას იძენს ასეთი ტიპის ღონისძიებების გამართვა უნივერსიტეტში?

— მნიშვნელოვანია ასეთი სოციალური აქტიურობა და სასიამოვნოა, რომ ამის ორგანიზატორები სტუდენტები ბრძანდებიან. ქართულ საზოგადოებაში სტუდენტების სიტყვას სხვა წონა აქვს, მას შეუძლია სრულიად განსხვავებული აქცენტები შემოიტანოს და მეტი დამაჯერებლობა მისცეს ამ სიტყვას. იმედი მაქვს, რომ თქვენი თანატოლები, სადაც განსაკუთრებით მწვავედ და აქტუალუ-

რად დგას ეს საკითხი, უფრო ყურადღებით მოისმენენ სწორედ სტუდენტებისგან წამოსულ რჩევებს, რეკომენდაციებს და ამას არ აღიქვამენ, როგორც დიდაქტიკური ხასიათის ღონისძიებას. იმედი, რომ პრობლემა განხილვება კეთილმეგობრული რჩევის სახით, რომელიც ბევრად უფრო ეფექტურად მოქმედებს, ვიდრე რომელიმე აუდიტორიაში წაკითხული ლექცია თამბაქოს მავნებლობის შესახებ. სწორედ თქვენ — ახალგაზრდობამ უნდა დაამკვიდროთ ცხოვრების ჯანსაღი წესი. ეს ინიციატივა კარგი სტარტი და სერიოზული განაცხადია დღევანდელი და მომავალი თაობების წინაშე, ვინაიდან თაობის სიჯანსაღე სწორედ ახალგაზრდა გოგონებზეა დამოკიდებული. სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას ამ აქციაში, როგორც ამ აქციის ერთ-ერთი რიგითი მონაწილე.

— რას უსურვებდით ახლად ჩამოყალიბებულ სტუდენტურ ორგანიზაციას „ემსა-თსუ“-ს?

— ისეთივე დიდ წარმატებას, როგორი წარმატებულიც იყო თქვენი სტარტი. იყავით ღირსეული პარტნიორები იმ დიდ ოჯახში, რასაც ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია ჰქვია. მინდა, რომ პასუხისმგებლობის დიდი გრძნობით მოვეკიდოთ ამ ორგანიზაციის ფარგლებში განხორციელებულ ნებისმიერ ღონისძიებას და გახსოვდეთ, რომ ჩვენ წარმოვადგენთ არა მარტო ჩვენს ფაკულტეტს და უნივერსიტეტს, არამედ მთელ ქვეყანას. გისურვებთ წარმატებებს...



# „ვისურვებდი, რომ ხშირად გამართოთ მსგავსი ღონისძიებები“

ვესაუბრეთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერს, ბ-ნ რომან ხარბაძეს.

გვანცა ტაბაღაძე

— ბატონო რომან, პირველ რიგში მინდა მადლობა გადაგიხადოთ EMSA TSU-ს სახელით იმ მხარდაჭერისა და განუხლები დახმარებისთვის, რაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ აღმოუჩინეთ ჩვენს ახალჩამოყალიბებულ ორგანიზაციას. მოგესხნებათ EMSA TSU-ს ეგიდით 31 მაისს და 1 ივნისს იგეგმება სიმბოლური ღონისძიებები. გვინტერესებს თქვენი აზრი ამ ტიპის ღონისძიებების გამართვასთან დაკავშირებით უნივერსიტეტში.

— თქვენს მიერ დაგეგმილი ღონისძიებები იმდენად კეთილშობილური და სასარგებლოა, რომ არ შეიძლება — საღად მოაზროვნე ადამიანი ამ ყველაფრის წინააღმდეგი იყოს და მით უფრო მაშინ, როცა ჩვენი უნივერსიტეტი ყოველთვის მხარს უჭერს სტუდენტურ აქტივობებს.

— როგორია თქვენი მოლოდინი 31 მაისსა და 1 ივნისს დაგეგმილ ღონისძიებებთან დაკავშირებით?

— მხოლოდ და მხოლოდ პოზიტიური. ვფიქრობ, რომ აქციები დიდი აქტიურობით

ჩაივლის არა მხოლოდ მედიცინის ფაკულტეტისთვის, არამედ, ზოგადად, უნივერსიტეტის მასშტაბით.

— რას ურჩევთ და რას უსურვებთ მედიცინის ფაკულტეტზე ჩამოყალიბებულ ახალგაზრდა ორგანიზაცია EMSA TSU-ს?

— ეს სულ ახალბედა ორგანიზაციაა, რომელიც თავის პირველ ნაბიჯებს დგამს. ვისურვებდი, რომ ხშირად გამართოთ მსგავსი ღონისძიებები და უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში ხშირად წარმოადგინოთ მსგავსი პროექტები. ჩვენ კი ვეცდებით, მაქსიმალურად დაეჭიროთ მხარი მათ წარმატებით განხორციელებაში.



# „იყავით ნოვატორები“



ინტერვიუ თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანთან ალექსანდრე ცინცაძეს.

გვანცა ტაბაღაძე

— თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტზე დაარსდა ევროპული გაერთიანების წევრი ორგანიზაცია, კერძოდ, ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის წევრი ორგანიზაცია — „ემსა-თსუ“. რა აზრის ხართ მის ჩამოყალიბებაზე და გვესაუბრეთ მსგავსი ტიპის ორგანიზაციის მნიშვნელობაზე.

— მინდა, პირველ რიგში, მოგილოცოთ თქვენ, სტუდენტებს ამ ორგანიზაციის ჩამოყალიბება, რადგან ეს ინტეგრაციის ძალიან დიდ შესაძლებლობებს იძლევა ერთიან ევროპულ სტუდენტურ სივრცეში. ეს მნიშვნელოვანია, რადგან, ზოგადად, ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული მიზანია ერთიან ევროპულ სივრცეში ინტეგრაცია, რაც, ალბათ, მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის სხვადასხვა დონეებზე მოხდება ერთიან ევროპულ სივრცეში ინტეგრაცია და, მათ შორის, სტუდენტ მედიკოსთა ევროპულ ორგანიზაციაში ინტეგრაცია. მნიშვნელოვანია ისიც, რომ იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა. როგორც ვიცი, ამ ორგანიზაციას საინტერესო მიზნები და ამოცანები აქვს — ეს

არის როგორც გაცვლითი პროგრამები, ისე, სხვადასხვა სახის ღონისძიებები, კერძოდ: სამეცნიერო კონფერენციების გამართვა, კულტურული და სოციალური ღონისძიებების ჩატარება.

— ბატონო ალექსანდრე, ჩვენი ორგანიზაციის ეგიდით 31 მაისს და 1 ივნისს უკვე დაგეგმილი გვაქვს გარკვეული საუნივერსიტეტო მასშტაბის ღონისძიებები. თქვენი აზრით, რა მნიშვნელობას იძენს მსგავსი ტიპის ღონისძიებების გამართვა „ემსა-თსუ“-ის ეგიდით?

— ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც თსუ-ში გამართულ ღონისძიებებში „ემსა-თსუ“ მიიღებს მონაწილეობას. ორივე ღონისძიება მისასალმებელია და ხელს უწყობს სამედიცინო საქმიანობის პოპულარიზაციას. გარდა ამისა, ამ ღონისძიების მიზანი არის ინფორმაციის, ცოდნის გავრცელება მოსახლეობაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში სამედიცინო სფეროს სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე. თქვენს მიერ დაგეგმილი პროექტების საშუალებით, განსაკუთრებით 1 ივნისის ღონისძიებით, სტუდენტს საშუალება ეძლევა — შეიძინოს ის უნარ-ჩვევები, რაც, შემდგომ, მას, როგორც მომავალ მედიკოსს, დასჭირდება. გარდა ამისა, ეს აუცილებელი და მნიშვნელოვანი პროექტია ბავშვთა სახლის აღსაზრდელებისთვის.

— როგორია თქვენი მოლოდინი „ემსა-თსუ“-ის მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებით?

— მოლოდინი დიდაა, ამიტომ გთხოვთ, იყავით მობილიზებულები, რადგანაც, როგორც თავიდან აღვნიშნე — EMSA არის ორგანიზაცია, რომელსაც დიდი აქტივობები აქვს. რაც შეეხება მედიცინის ფაკულტეტს, ჩათვალეთ, რომ ჩემი სახით თქვენ გყავთ დიდი გულშემატკივარი და მოკავშირე და ნებისმიერ თქვენ წამოწყებას ყველანაირად მხარს დავუჭერ.

— თქვენი რჩევები და სურვილები „ემსა-თსუ“-ის მომავალი საქმიანობის მიმართ.

— იყავით ნოვატორები, ინიციატივიანი. ნუ დაელოდებით შემოთავაზებას ან რაიმე რჩევას თქვენი უფროსი კოლეგებიდან. თქვენ უნდა იყოთ იდეების გენერატორი და, დარწმუნებული ვარ, ეს იდეები ყოველთვის პროგრესული და საინტერესო იქნება.

# „ამ ორგანიზაციის საშუალებით თქვენ გახვალთ ფართო ასპარეზზე ევროპის არეალში“

გვესაუბრება თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სამეცნიერო და კვლევითი სამსახურის უფროსი ბი-ნ ლომჯანიძე.

ნინო ცინცაძე

— თქვენ ყველაზე კარგად მოგეხსენებათ, რომ თსუ-ში ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის წევრი ორგანიზაცია ჩამოყალიბდა, რადგან ამ ინიციატივის განხორციელებაში სწორედ თქვენ მიგიძღვით დიდი წვლილი. მადლობას გიხდით მხარში დგომისთვის. როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია ეს თსუ-სთვის და გაამართლებს თუ არა EMSA TSU თავის მიზნებს?

— დავიწყებ იმით, რომ EMSA საკმაოდ

ეკიმთა ასოციაციის პრეზიდენტი, ჩამოყალიბებულ ახალგაზრდა ეკიმთა და სტუდენტთა კომიტეტი. მას შემდეგ ამ კომიტეტთან მჭიდრო ურთიერთობა მაქვს. ამ კომიტეტის გავლით გაიზარდა ბევრი მნიშვნელოვანი ფიგურა, რომლებიც დღესაც წარმატებულ კარიერას აგრძელებენ როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

EMSA TSU-მ უნდა იტვირთოს, რომ თსუ-ის ფაკულტეტებს შორის მედიცინის ფაკულტეტი რეალურად მონაწილე პოზიციებზე გადავიდეს. ამ ორგანიზაციამ თავისი ყოველდღიური ცხოვრებით, შედეგსა და ხარისხზე ორიენტირებული სწავლითა და სამეცნიერო კვლევებით უნდა დაამტკიცოს, რომ ღირებული ფაკულტეტი არა მარტო უნივერსიტეტის, არამედ ქვეყნის შიგნით. სწორედ ამ ორგანიზაციის საშუალებით თქვენ გახვალთ ფართო ასპარეზზე ევროპის არეალში. დარწმუნებული ვარ, რომ ის საერთაშორისო კონფერენციები, რომელიც მომავალში გაიმართება, თქვენი ერთ-ერთი წარმატებული ნაბიჯი იქნება. ჩვენი ორთვიანი ურთიერთობით EMSA TSU-მ უკვე დაამტკიცა, რომ რეალურად მონაწილე ორგანიზაცია არა მარტო სამედიცინო პროექტებით, არამედ სამეცნიერო კვლევებითაც.

— თქვენ, როგორც საქართველოს ეკიმთა ასოციაციის თავმჯდომარე, რას უსურვებთ ახალგაზრდა ორგანიზაციას?

— გირჩევდით, რომ ნებისმიერი საქმე, რასაც მოკიდებთ ხელს ან მიზნად დაისახავთ, ბოლომდე მიიყვანოთ. თქვენს ენთუზიაზმსა და მონდომებაზე მეტყველებს 31 მაისის და 1 ივნისის ღონისძიებების მომზადებაც. დარწმუნებული ვარ, ამ ორგანიზაციას კარგი ხელმძღვანელები ჰყავს და ნამდვილად კარგად გაართმევენ თავს. სანაყის ეტაპზე ყოველთვის გექნებათ სირთულეები. ნუ იფიქრებთ, რომ უნივერსიტეტში თავიდანვე ადვილად მოიკიდებთ ფეხს. ეცადეთ, გვერდზე დაიყენოთ ისეთი კადრები, რომლებიც პასუხისმგებლობით მოეკიდებიან თავიანთ ფუნქციებს. მე, როგორც საქართველოს ეკიმთა ასოციაციის თავმჯდომარე და მედიცინის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ყოველთვის თქვენს გვერდში მიგულეთ. ვეცდები, ჩაერთოთ იმ ძირითად პროგრამებში, რომელსაც ეკიმთა ასოციაცია გააკეთებს, იქნება ეს ჟურნალის გამოცემა, გასვლითი სხდომები, ერთობლივი კონფერენციები და ა.შ. ასე რომ, გისურვებთ წარმატებებს.

# EMSA TSU-ს შეუძლია წვლილის შეტანა საზოგადოების ცხოვრების ჭანსალი წესის დამკვიდრებაში

ვესაუბრეთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ყბა-სახისა და სტომატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელს, ბატონ პლატონ მარტოვიძეს.

ნინო ცინცაძე

— ჩვენს უნივერსიტეტში ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის წევრი ორგანიზაცია ჩამოყალიბდა. თქვენ, როგორც საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის ერთ-ერთ დამფუძნებელსა და გენერალურ მდივანს და მსოფლიო სტომატოლოგთა ფედერაციის კომუნიკაციებისა და წევრთა მხარდაჭერი კომიტეტის ხელმძღვანელს, რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ ეს ფაქტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის?

— მოხარული ვარ, რომ ჩვენი უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ახალი სტუდენტური ორგანიზაცია შეიქმნა. ვფიქრობ, ეს ხელს შეუწყობს მედიცინის ფაკულტეტის ინტეგრაციას ევროპის წამყვან უნივერსიტეტებთან, რაც ჩვენს სტუდენტებს დაეხმარება — მიიღონ უახლესი ინფორმაცია მედიცინის დარგში, რაც, თავის მხრივ, გააღრმავებს მათ ცოდნას. ამასთან EMSA TSU-ს შეუძლია გარკვეული წვლილი შეიტანოს ჩვენი საზოგადოების ცხოვრების ჭანსალი წესის დამკვიდრებაში, რამაც სტუდენტები აქტი-

ურად ჩართული იქნებიან. თქვენ შეძლებთ ისეთ ღონისძიებებში მონაწილეობას, როგორცაა მაგალითად 12 სექტემბერი — პირის ღრუს ჯანმრთელობის მსოფლიო დღე. ამ დღეს მთელი მსოფლიო აღნიშნავს.

— რას უსურვებთ ახლად ჩამოყალიბებულ ორგანიზაციას?

— იმედი მაქვს, ის გუნდი, რომელმაც დააფუძნა ეს ორგანიზაცია, საფუძველს ჩაუყარს კარგ ტრადიციებს, რომელსაც მომავალი თაობები ღირსეულად გააგრძელებენ. ჩემი გამოცდილებით და საერთაშორისო სტატუსით გვერდში დავუდგები სტუდენტებს და ხელს შეუწყობ მათ ინიციატივებს. გისურვებთ წარმატებებს, ახალგაზრდულ ენთუზიაზმსა და შემართებას.





# ეს დიდი შესაძლებლობაა მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის

გვესაუბრება საქართველოში „ემსა“-ს წევრი ორგანიზაციის პირველი დამფუძნებელი, ასევე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის სპეციალისტი ზაზა ხაჩიშვილი.

გრამებში და, ზოგადად, იმისთვის, რათა ევროპაში თავისი კოლეგები გაიცნონ. საქართველოში პირველი EMSA ჩამოყალიბდა 1999 წელს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ბაზაზე. მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი გახლავთ ლევან

ლაბაური. EMSA-ს ეგიდით საქართველოში განხორციელდა მნიშვნელოვანი პროექტები, მაგალითად, 2000 წელს EMSA-ს მეათე გენერალური ასამბლეა. მესამე კონგრესი უშუალოდ ქართული „ემსა“-ს თაოსნობით გაიმართა საქართველოში. ასევე, წარმატებული იყო პროექტი Teddy Bear Hospital. ამაჟამად ეს პროექტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტშიც განხორციელდება უკვე EMSA TSU-ს ეგიდით. EMSA-ს ეგიდით კიდევ ძალიან ბერი მნიშვნელოვანი პროექტები ხორციელდება, თუმცა მათი ჩამოთვლა ძალიან შორს წავიყვანს. მოხარული ვიქნები, თუ EMSA TSU ჩვენს ტრადიციებს გააგრძელებს და ერთ-ერთი მსოფლიო მასშტაბის კონგრესი უახლოეს მომავალში საქართველოშიც გაიმართება.

სტომატოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტები ჩაბმული იყვნენ EDSA-ს (European Dental Student Association) ორგანიზაციაშიც და, ნამდვილად სასიხარულოა, რომ მთლიანად მედიცინის ფაკულტეტის ეგიდით თსუ განვივრინა EMSA-ს ევროპის სკოლაში. ეს თვით უნივერსიტეტისთვისაც დიდი პრესტიჟია, რადგან საერთაშორისო ასპარეზზე გაჰყავს თავისი სტუდენტები. მოხარული ვარ, რომ მედიცინის ფაკულტეტი და, ზოგადად, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია მხარს უჭერს ამ ახალგაზრდა ორგანიზაციას.

## გვანცა ტაბალუა

— თქვენ, როგორც საქართველოში პირველად ჩამოყალიბებული „ემსა-საქართველოს“ ერთ-ერთი დამფუძნებელი — რა აზრის ხართ საქართველოში ამ ასოციაციის წევრი საფაკულტეტო ორგანიზაციის ჩამოყალიბებაზე? თუ შეგიძლიათ მოკლედ გვიამბოთ — როგორ ჩამოყალიბდა იგი პირველად საქართველოში.



— მოხარული ვარ, რომ ეს ტრადიცია ისევ გრძელდება საქართველოში. ორგანიზაცია თავის აქტიულობას უკვე თავის სახელშივე გამოხატავს. იგი აძლევს სტუდენტებს შანსს, რომ ჩაერთონ ევროპაში მიმდინარე სამედიცინო პროცესებში. ეს დიდი შესაძლებლობაა მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ ევროპის დონეზე გამართულ კონფერენციებში, გაცვლით პრო-

— რა მნიშვნელობას იძენს თქვენი აზრით EMSA TSU-ს ჩამოყალიბება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ამავე უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის?

— პირველ რიგში, აღვნიშნავ, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობდა ევროპასთან მსგავსი ურთიერთობის გამოცდილება, კერძოდ იურიდიულ ფაკულტეტზე არსებული ორგანიზაციის „ელსა საქართველოს“ მეშვეობით. ასევე,

— როგორია თქვენი მოლოდინი EMSA TSU-ს მომავალ საქმიანობასთან დაკავშირებით?

— უკვე შევხვდი და გავეცანი EMSA TSU-ს წარმომადგენლებს. მოლოდინი ძალიან დიდია, რადგან ისინი სულ რამოდენიმე კვირაა, რაც ჩამოყალიბდნენ და უკვე აქტიურად ჩაერთვნენ EMSA-ს საქმიანობაში. დარწმუნებული ვარ, მათი მონაწილეობა დაფასდება და ისინი თსუ-ის სახელით აქტიურად მიიღებენ მონაწილეობას ევროპაში გამართულ სხვადასხვა კონფერენციებში, კონგრესებში და სასწავლო-მეცნიერებით პროგრამებში.

# ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის საფუძველზე ახალგაზრდები ერთობლივ პროექტებს განახორციელებენ

## „EMSA TSU-ს ძირითადი გზავნილი ამ დღეს იქნება თამბაქოს რეკლამირების სრული აკრძალვა“

31 მაისს EMSA TSU უერთდება საქართველოს ექიმთა ასოციაციას და თსუ-ის ადმინისტრაციას და ერთდება თამბაქოს საწინააღმდეგო მსოფლიო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში, რომელიც გაიმართება უნივერსიტეტის მეორე კორპუსში. ამის შესახებ გვესაუბრებ ღონისძიების ერთ-ერთ ორგანიზატორს, „თამბაქოს კონტროლის ალიანსის“ ხელმძღვანელს, ბატონ ბიორბი ბახტურიძეს.

მდებლობაში, რომელიც 2008 წლის დეკემბერში განხორციელდა, თუმცა არსებობს პრობლემა ამ კანონის აღსრულებასთან დაკავშირებით. აღსრულების მექანიზმი რთულია და, ზოგიერთ შემთხვევაში, გადავადებული. ეს ეხება სასწავლო-სამედიცინო დაწესებულებებს, კვების ობიექტებს, საზოგადოებრივი თავშესაფრის ადგილებს, ტრანსპორტს. ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ ამ საკითხებზე პოლიტიკოსებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ჯანდაცვის ომბუცმენტთან, რათა რაც შეიძლება მეტი საზოგადოებრივი მხარდაჭერა გვექონდეს.

თადად მწველებზე მოდის. თამბაქოს ინდუსტრია არის დამაზარალებელი ინდუსტრია, რომელსაც ბიუჯეტში არ შემოაქვს იმის ნახევარიც კი, რაც წესით გადასახადის სახით უნდა იკრიბებოდეს, ხოლო სახელმწიფოს ორჯერ მეტი დანახარჯი აქვს თამბაქოგან გამოწვეული დაავადებების მკურნალობისთვის. ყველაზე მნიშვნელოვანი და მტკივნეულია ის, რომ ვერანაირად შეაფასებს ვერც ეკონომისტი ან იურისტი იმ ერთი ადამიანის სიცოცხლეს, რომელსაც თამბაქოს

გვეკონდა მცდელობა, რომ რეკლამის კანონშიც შესულიყო ცვლილება — აგვეკრძალა თამბაქოს ყველა სახის რეკლამირება, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი, მაგრამ თამბაქოს ინდუსტრიიდან და რეკლამის გამავრცელებლების მხრიდან დიდი ლობირების გამო მოხდა ამ საკითხის დაბლოკვა. დღეს მინდა, რომ ახალგაზრდებმა, განსაკუთრებით კი სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტებმა, კარგად გაითავისონ ეს პრობლემა, ერთიანი ძალისხმევით ვიზრძოლოთ ამ პრობლემის წინააღმდეგ და მთავრობას მოვთხოვოთ თამბაქოს ნაწარმის რეკლამირების სრული აკრძალვა.

## ანა კვიციანი ინტო მაღრაძე

— პირველად ვინ დააწესა 31 მაისი ჯანდაცვის მსოფლიო დღედ?

— 31 მაისი ჯანდაცვის მსოფლიო დღედ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერაა დაწესებული. ყოველ წელს სხვადასხვა დევიზია — წელს ამ დღის დევიზია: „დავიცვათ ქალები თამბაქოს მარკეტინგის ზეგავლენისგან!“. საქართველოში აკრძალულია მასმედიის საშუალებით თამბაქოს რეკლამირება, მაგრამ დარჩენილია გარე რეკლამა, ანუ არაპირდაპირი რეკლამა — ბილბორდებზე და ლაითბოქსებზე. ამ ბილბორდებზე ძირითადად ახალგაზრდა გოგონებია გამოსახული და ინტენსიურად ხდება მათი ჩათრევა თამბაქოს მოხმარების კუთხით. ბოლო 5 თვის განმავლობაში 3-ჯერ გაიზარდა თამბაქოს მოხმარების სიხშირე ახალგაზრდა გოგონებში, ამდენჯერვე გაიზარდა ორსულთა პათოლოგიები, მკვდრადშობილობა და სიმპხინჯების შობადობის რიცხვი. თამბაქოს განსაკუთრებული გავლენა აქვს ბავშვთა ჩამოყალიბების პროცესზე. ეს არის ჩვენი დემოგრაფიული პრობლემის კიდევ ერთი გამოხატულება, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დიდი პრობლემა, რომელიც საფრთხეს უქმნის ჩვენი მომავალი თაობების ჯანმრთელობას.

— საქართველო როდის შეუერთდა 31 მაისის აღნიშვნას?

— 31 მაისი 1998 წლიდან ყოველწლიურად აღინიშნება საქართველოში.

— რა ტიპის დაწესებულებებში დაიწყო პირველად მონევის შეზღუდვა?

— 2003 წელს შეზღუდვები დაწესდა სახელმწიფო ტიპის დაწესებულებებში, აკრძალვები კი სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საზოგადოებრივ ტრანსპორტში. ასევე, აკრძალა თამბაქოს ღერების რეალიზაცია. კვების ობიექტებში ცალკე მოსაწვევი ადგილები დაწესდა. თუმცა, ეს ნორმები დღეს არ მუშაობს, რადგან აღსრულებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ არ ხდება ადმინისტრირება. 2008 წლიდან თამბაქოს მონევის შეზღუდვა ვრცელდება ყველა ტიპის დაწესებულებაში, ხოლო აკრძალვის რეჟიმი - სამედიცინო, საგანმანათლებლო, კულტურულ, გამაჯანსაღებელ დაწესებულებებსა და თავშესაფრის ადგილებში. რაც შეეხება კვების ობიექტებს, რესტორნებსა და ბარებს, ფართის მინიმუმ 50% არამწვევლებისთვის უნდა იყოს გამოყოფილი. პრეზიდენტს ჰქონდა შეხვედრა ნიუ ორკის მერთან მაიკლ ბლუმბერგთან, რომელიც ანტინიკოტინური მოძრაობის დიდი მხარდამჭერია მსოფლიოში. პრეზიდენტმა ბრძანა, რომ ეს რეალურად უნდა განხორციელდეს. აღსანიშნავია, რომ თამბაქოს მოხმარებით საქართველოში ყოველწლიურად დაახლოებით 11 ათასი ადამიანი იღუპება, ასევე, 220 ათასი ადამიანი დაავადებულია სხვადასხვა ტიპის ნოზოლოგიური დაავადებით. ფილტვის ობსტრუქციული დაავადებები, ტუბერკულოზის მძიმე ფორმები, ლეტალური შემთხვევები ძირითადად მწველებზე მოდის.



ინდუსტრია იწირავს. ე.წ. ლეტალური პროდუქტის გავრცელებას — თამბაქოს ინდუსტრიას არანაირი სახელმწიფო მხარდაჭერა არ უნდა ჰქონდეს!

— რა სახის სანქციებია დაწესებული თამბაქოს მოხმარებასთან დაკავშირებით?

— ფიზიკურ პირებზე 5-დან 10 ლარამდეა სანქციები, ხოლო ორგანიზაციებზე 50-დან 200 ლარამდე. ჩვენი აზრით, ორგანიზაციებზე სანქცია მეტი უნდა იყოს, რათა თავად ეზრუნათ ადმინისტრირებაზე.

— კერძოდ, რა სახის აქცია იგეგმება 31 მაისზე?

— ჩვენი ორგანიზაციისა და EMSA TSU-ს ძირითადი გზავნილი ამ დღეს იქნება თამბაქოს რეკლამირების სრული აკრძალვა. 2008 წელს, როცა კანონში ცვლილებები შედიოდა,

— პირველად ტარდება 31 მაისის აქცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში?

— პირველი შემთხვევაა, როცა ეს დღე აღინიშნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ჩვენ მომზადებული გვაქვს პიქტოგრამების გამოფენა, თამბაქოს მოხმარებით გამოწვეული დაავადებების ფოტოები. ასევე, სხვადასხვა ქვეყნის პიქტოგრამები, საკმაოდ დიდი ორმხრივი ბანერებია, რომლებიც დაიდგმება უნივერსიტეტის მე-2 კორპუსის ფოიეში. ეს გამოფენა 31 მაისს გაიხსნება და 2 კვირის განმავლობაში გაგრძელდება. ასევე, დაჯილდოვდება თამბაქოგან თავისუფალი სკოლები და სამედიცინო დაწესებულებები, რაც მათთვის ნამაზალისებელი აქცია-ღონისძიება იქნება.

— რას უსურვებდით ახლანდელი ორგანიზაცია EMSA TSU-ს, რომელიც ექიმთა ასოციაციასთან ერთად 31 მაისის ერთ-ერთი ინიციატორია?

— გქონოდათ აქტიური სამოქალაქო პოზიცია და არაფრის შეგუწინდეთ. მართალია, ინდუსტრია მძლავრია თავისი ფინანსებით, შესაძლებლობებითა და ლობირებით, მაგრამ თქვენი ამოცანა უნდა იყოს, რომ ახალგაზრდებმა და განსაკუთრებით ბავშვებმა არ დაიწყონ მოწევა. გვერდო ისე უნდა შეიცვალოს, რომ თამბაქოს მოხმარება არაპრესტიჟული გახდეს. დასავლეთის ქვეყნებში მოწევა მას შემდეგ გახდა არაპრესტიჟული, როცა თამბაქოს მოხმარება შეიზღუდა. გირჩევთ, იმუშაოთ თანატოლებთან თქვენი ორგანიზაციის ფარგლებში, საგანმანათლებლო პროგრამები ჩამოაყალიბოთ და დაიწყოთ ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა.



# ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე თსუ-ში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის, საქართველოს ექიმთა ასოციაციის და თსუ-ის ადმინისტრაციის მხარდაჭერითა და EMSA TSU-ს ეგიდით 1 ივნისს – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს გაიმართება ღონისძიება თსუ-ის პირველი კორპუსის ეზოში. ღონისძიებაში ჩართვება 5 სხვადასხვა ბავშვთა სახლის 5-9 წლის ასაკის (სულ 34) ბავშვი. ისინი მონაწილეობას მიიღებენ EMSA-ს ერთ-ერთ ნარმატიულ პროექტში - Teddy Bear Hospital („დაათუნია დრუნჩას კლინიკა“). აღნიშნული პროექტი საკმაოდ პოპულარულია ევროპის ქვეყნებში. მისი მიზანია სკოლის დაწყებითი კლასების ბავშვების ფსიქოლოგიურად მოამზადოს „თეთრი ხალათის“ შიშის დასაძლევად. უნდა აღინიშნოს, რომ პროექტის განხორციელებაში EMSA-TSU-ს მხარში ამოუდგას სათამაშოების მალაზია „ჭიტა“, რომელიც ღონისძიებაში მონაწილე ბავშვებს სათამაშოებს დაურიგებს. ამ პროექტის პარალელურად, პედიატრთა სპეციალურად მოწვეული ჯგუფი ბავშვების ჯანმრთელობას შეამოწმებს. „ემსა თსუ“-ს ეხმარება, ასევე, კომპანია Colgate Palmolive. იგი ბავშვებისთვის სხვადასხვა საჩუქრებს (კბილის პასტებს, ჯა-

გრისები, კბილის მოვლის ნესების შესასწავლი სპეციალური გასართობი პლაკატები და სხვ.) ამზადებს და, ასევე, პატარებისთვის საყვარელ, ჩოლგატე-ის ცნობილ სტომატოლოგ კურდღლებს გამოგზავნის. პარალელურად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი-სტომატოლოგები ბავშვებს სპეციალურ გაკვეთილებს ჩატარებენ პირის ღრუს მოვლის შესახებ. ღონისძიებაში ჩართვება, დაახლოებით, 20 სტუდენტი და 3 ექიმი.

1 ივნისის ამ საკვლამოქმედო ღონისძიების მხარდაჭერის სურვილი გამოთქვა კომპანია „თოლიამაც“, რომელიც ბავშვებს ნაყინს შესთავაზებს. ღონისძიების დაწყებამდე კი პატარებს გასართობი ცენტრი „მადაგასკარი“ უმასპინძლებს. გაიმართება ხატვის კონკურსი თემაზე — „ჯანმრთელი მსოფლიო“, რომელშიც უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს სამხატვრო აკადემიიდან მოწვეული სტუდენტები დაეხმარებიან. ისინი შეაფასებენ ბავშვების ნახატებს. საუკეთესო ნახატის ავტორი სპეციალური საჩუქრით დაჯილდოვდება.

# „გართობით, თამაშ-თამაშით ჯანმრთელობის დაცვა“

1 ივნისის ღონისძიებასთან დაკავშირებით გავესაუბრეთ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედიატრიის კათედრის გამგეს, პროფესორს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს რუსუდნ ქარსი-ლბაძეს



ინოცინცაძე

— რას ფიქრობთ უნივერსიტეტში ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის წევრი ორგანიზაციის ჩამოყალიბებაზე თსუ-ში?

— ეს ფაქტი განსაკუთრებით

სასიამოვნო და მნიშვნელოვანია ჩვენი ინტეგრაციისთვის. ვიცნობ ამ ორგანიზაციის მუშაობას მსოფლიოს სხვადასხვა უნივერსიტეტებში და სამედიცინო კლინიკებში. მინდა ვთქვა, რომ ისინი ძალიან დიდ საქმეს აკეთებენ და „თეთრ შურზე“ მეტად შემშურებია მათი. მიფიქრია, რატომ არ შეიძლება ამდენი უფლება ჰქონდეთ ჩვენს სტუდენტებს. ასე რომ, მართლაც ძალიან კმაყოფილი ვარ თქვენი ასეთი აქტიურობით და „ემსა“-ში განხორციელებით.

— როგორც იცით, ბავშვთა დაცვის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით „ემსა თსუ“-ს ეგიდით თსუ ატარებს ღონისძიებას, რა დატვირთვაა აქვს 1 ივნისის მსოფლიოში და რამდენად მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ მისი გამართვა ჩვენს უნივერსიტეტში?

— ინიციატივა ნამდვილად არის მისასალმებელი. მთელ მსოფლიოში ცნობილია, რომ 1 ივნისი არის ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე. მეტად მნიშვნელოვანია ბავშვების დაცვა ყოველ დღე, რამეთუ ბავშვები ჩვენი მომავალია და ბავშვობიდან იწყება ყველაფერი — ეს განსაკუთრებით პედიატრებს გვაქვს გაცნობიერებული და არ შედგება არც ქვეყანა და არც გენოფონდი, თუ ბავშვთა დაცვა ადრეული ასაკიდანვე არ დაიწყოს. ამდენად ძალიან მისასალმებელია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ამაში

ჩართულია აქტიურად და ასეთი ღონისძიება ფორმით. ამ დღეს სახელმწიფო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტი საკუთარ თავზე აიღებს თქვენს მიერ შერჩეულ ბავშვთა კონტინგენტის ჯანმრთელობის საკითხებზე კურირებას. გართობით, თამაშ-თამაშით ჯანმრთელობის დაცვა — ეს არის ისეთი მოდელი, რომელიც აბსოლუტურად მისაღებია და ვფიქრობ, რომ ძალიან კარგ საქმეს აკეთებთ.

— თქვენ ბრძანდებით არა მხოლოდ ჩვენი უნივერსიტეტის პედიატრიის კათედრის ხელმძღვანელი, არამედ ასევე „Lions Club“-ის პრეზიდენტი, რას უსურვებდით და რა რჩევებს მიცემდით ახალგაზრდა ორგანიზაციას?

— მართლაც პედიატრებმა მხარე უნდა იქონიონ, რომ ბოლო პერიოდში ამირჩიეს „Lions Club“-ის პრეზიდენტად, რომელიც, მოგეხსენებათ, რომ აერთიანებს სხვადასხვა პროფესიის ხალხს. თუ გადავხედავთ ამ კლუბის მოღვაწეობას, დავინახავთ, რომ საკმაოდ ჭარბობს ნარმატივით განხორციელებული სამედიცინო პროექტები. სასიამოვნოა, რომ თქვენ ამ კლუბის ერთ-ერთი აქტიური წევრები ბრძანდებით. თქვენი პროექტები შეუწყობს ხელს როგორც მომავალი თაობის ჯანმრთელობას, ისე საერთაშორისო პროექტებში უნივერსიტეტის ჩართულობას.

# „ბავშვების ჯანმრთელობაზე ზრუნვა თითოეული ჩვენგანის ვალია“

ვესაუბრეთ სტომატოლოგიისა და ყბა-სახის დეპარტამენტში ბავშვთა ასაკის სტომატოლოგიის კურსის ხელმძღვანელს, ასოცირებულ პროფესორს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს მანანა კალანდაძეს

ლელა დუდუჩავაძე

— ახლად ჩამოყალიბებული სტუდენტური ორგანიზაცია „ემსა თსუ“-ს ეგიდით 1 ივნისის აღსანიშნავი ღონისძიება გაიმართება უნივერსიტეტის მთავარ კორპუსში. ღონისძიების ფარგლებში ჩვენი სტუდენტი-სტომატოლოგები ბავშვებს პირის ღრუს მოვლის შესახებ გაკვეთილებს ჩატარებენ და კომპანია „Colgate - Palmolive“-ისგან სპეციალურად გამოყოფილ საბავშვო, პირის ღრუს ჰიგიენის საშუალებებს დაურიგებენ. რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი აქციის ჩატარება ბავშვების ჯანმრთელი მომავლისთვის, რომლის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი ჯანმრთელი ღიმილია?

ერთ-ერთი სანინდარი ჯანსაღი ღიმილია. თქვენი აქციით 1 ივნისს დაგეგმილ ღონისძიებაზე, რომლის განხორციელებაში კომპანია ქოლგეითი გეხმარებათ, მონაწილეობას იღებთ ისეთ დაავადებებთან ბრძოლაში, როგორცაა გავრცელებული დაავადება — კბილის კარიესი. მოგეხსენებათ, ამ დაავადების პროფილაქტიკისთვის უმნიშვნელოვანესი პირობაა პირის ღრუს კარგი ჰიგიენა, რომელიც ბავშვობის ასაკიდან არის გასათვალისწინებელი. იმედი მაქვს, თქვენი ძალისხმევით ბავშვებს პირის ღრუს სწორ ჰიგიენას ასწავლით.

— რას უსურვებდით ახალგაზრდა სტუდენტურ ორგანიზაციას?

— თქვენი მისია საკმაოდ საბავშვოა, თუმცა ორგანიზაცია საკმაოდ პროგრესული და მოაზროვნე ადამიანებითაა დაკომპლექტებული. გისურვებთ წარმატებებს თქვენი მიზნების განხორციელებაში.



— მივესალმები ახალგაზრდა მედიკოს-სტუდენტთა ორგანიზაციის ჩამოყალიბებას, რომელსაც საფუძვლად უდევს კეთილი მიზნების განხორციელება, რაშიც იგულისხმება განათლების გაღრმავება, ურთიერთობის, ინფორმაციის გაცვლა, სპოგადობის ჯანსაღ მომავალზე ზრუნვა და სწორედ ისეთი ღონისძიებების გამართვა, როგორცაა თქვენ გეგმავთ 1 ივნისს. მივესალმები იმასაც, რომ ასეთი კომპლექსური ღონისძიება ტარდება თქვენი ორგანიზაციის ეგიდით ჩვენს უნივერსიტეტში. ბავშვები ჩვენი მომავალია, მათ ჯანმრთელობაზე ზრუნვა თითოეული ჩვენგანის ვალია. ჯანსაღი ცხოვრების

# კომპანია "Colgate-Palmolive" – სტუდენტთა სამსახურში

ვესაუბრეთ კომპანია "Colgate-Palmolive"-ის წარმომადგენელს ქ-ნ ქეთი ჩხეიძეს.

ინოცინცაძე

— თსუ-ის სტუდენტ-სტომატოლოგებთან თქვენ უკვე რამდენიმე წლის თანამშრომლობა გაკავშირებთ, რამდენად წარმატებულად ხორციელდებოდა თქვენი პროექტი ჩვენი სტუდენტების დახმარებით?

— პროექტი „ნათელი ღიმილი, ნათელი მომავალი“ ითვალისწინებს სკოლებში საგანმანათლებლო გაკვეთილების ჩატარებას, რომელშიც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი-სტომატოლოგები იღებენ მონაწილეობას. ვფიქრობ, ახალგაზრდები კარგად უმკლავდებოდნენ მნიშვნელოვან მისიას, რასაც ბავშვებთან ურთიერთობა ჰქვია. ისინი სხვადასხვა მეთოდების დახმარებით, როგორც არის თამაშები, ხატვა და ა.შ. გადასცემდნენ

მათთვის სასარგებლო ინფორმაციას პირის ღრუს მოვლის შესახებ. მაღლობას უხდის ქოლგეით-პალმოლივის საქართველოს წარმომადგენლობა ყველა სტუდენტს, რომელიც სერიოზულად მოეკიდა საქმიანობას პროექტის მიმდინარეობისას.

— ახლად ჩამოყალიბებული „ემსა თსუ“-სთვის 1 ივნისის დაგეგმილი ღონისძიება პირველი იქნება, რომელიც თქვენი აქტიური მხარდაჭერითაც ხორციელდება. ამისთვის დიდ მადლობას გიხდით. ითანამშრომლებთ თუ არა მომავალშიც ჩვენს ორგანიზაციასთან?

— კომპანია „ქოლგეით-პალმოლივი“ ყოველთვის მზად არის მონაწილეობა მიიღოს მსგავს ღონისძიებებში. მოხარული ვარ, რომ სწორედ სტუდენტები არიან ინიციატორები ასეთი ორგანიზაციების შექმნისას. მათ ესმით, რომ პირის ღრუს ჯანმრთელობა ზოგადად ჯანმრთელობის გაუმყრელი ნაწილია და სწორედ ასეთი ღონისძიებებით უნდა მოხდეს პირის ღრუს დაავადებების პრევენცია, განსაკუთრებით ბავშვებში. გარნმუნებთ, კომპანია „ქოლგეით-პალმოლივი“ მომავალშიც სიამოვნებით განაგრძობს „ემსა თსუ“-ს ორგანიზაციასთან თანამშრომლობას და სპონსორობას გაუწყვეს მსგავს ინიციატივებს.



ჩანართი "EMSA TSU" მოამზადეს თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებმა, ორგანიზაცია "EMSA TSU"-ის დამფუძნებლებმა: ნინო ცინცაძემ, გვანცა ტაბალუამ, ანა კვერნაძემ, ნინო მადრაძემ და ლელა დუდუჩავამ. ორგანიზაცია "EMSA TSU" მადლობას უხდის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციას ჩანართის გამოცემის ხელშეწყობისთვის.



# ქართული ფიზიოლოგიის „სამოციანელი“

...შეხვედრის თემა არაა, თვალში მოგხვდება უამრავი ნივინი, ნაშრომი, ფოტო, კლასიკური საწერი მაგიდა და უხილავი ხელით შექმნილი კომფორტი, რომელიც მეცნიერს ყოველგვარი ზედმეტი ფიქრისგან იცავს...

აქ აკადემიკოსი ვაჟა ოკუჯავა მუშაობს... აქ იქმნება სამეცნიერო ნაშრომები, ინერება რეცენზიები და დასკვნები, აქ იღებს იგი პირად სტუმრებს...

ჩვენ პირველად არ მოვხვედრილვართ ბატონ ვაჟასთან და ერთი, რაც ამ სახლში სტუმრობისას მუდმივად გავიცნობ, სიჩუმეა... თითქოს კედლებიც ცდილობენ, მუდროება არ დაურღვიონ თანამედროვეობის მართლაც უდიდეს მეცნიერს, რომელსაც მისი კოლეგები „ქართული ფიზიოლოგიის „სამოციანელი“ უწოდებენ.

მანია ტორაძე

## ილბალი

ვაჟა ფშაველას უთქვამს, „ადამიანის ფიქრის ერთი საქებური თვისება – მოვლენათა მიზეზების ძიებაა...“ აკადემიკოსი ვაჟა ოკუჯავასთან სტუმრობისას სწორედ ეს ფრაზა ამეკვივება, რადგან ბატონი ვაჟა წარმატებების მიზეზს მხოლოდ პიროვნულ თვისებებს არ უკავშირებს და ხშირად ახსენებს „ილბალს“... „ილბალი იყო, რომ ოცდაჩვიდმეტი წლის მოვლენებს გადავურჩი... ილბალი იყო, რომ საოცრად მაღალი ინტელექტის მქონე დეიდამ გამზარდა... ილბალი იყო, რომ მეცნიერებაში კორიფების გვერდით მოვხვდი... ილბალი იყო, რომ ბრწყინვალე მუღღლე შემხვდა“... — იმეორებს იგი და უკვე საუბრის ბოლოს ხვდება, რომ ეს მხოლოდ გამორჩეული თავმდაბლობის ნიშანია, რადგან წარმოუდგენელია მხოლოდ ილბალი ყოფილიყო იმ წარმატებების საფუძველი, რასაც მან მეცნიერებაში მიაღწია.

„დაიხ, ასე იყო...“ — ჯიუტად გვიმეორებს იგი — „საიუბილეო სხდომაზე, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მომინწყო, კიდევ ერთხელ გადავავლე თვალი ჩემს ცხოვრებას და დავრწმუნდი, რომ ყველაფერი არ არის ადამიანის პირად ღირსებაზე დამოკიდებული. მე ილბალიანი ადამიანი გამოვდექი, რადგან იმ სინამდვილეში, რომელშიც ვიცხოვრე, საკმაოდ რთული გარემოებების დაძლევა მომიხდა“ — ამბობს ჩვენთან საუბარში ბატონი ვაჟა ოკუჯავა.

## გალაკტიონისთვის დაბრუნებული მედალი

ბავშვობა ურთულეს დროს დაემთხვა. გასული საუკუნის 30-იანი წლების თელმა სიმბოლო ოკუპაციების დიდ ოჯახზე გადაიარა. ბატონი ვაჟას მამა, მიხეილ ოკუჯავა იმ ადამიანთა რიცხვში იყო, ვისი სახელის სხენებაც კი უსიამოვნო შეგრძობებს უღვიძებდა საბჭოთა ხელისუფლებას.

ბატონი ვაჟა ძალიან მძიმედ იხსენებს იმ წლებს:

„შემთხვევითობა იყო, რომ მე და ჩემი დამა გადავრჩით, რადგან ოკუპაციების დიდი ოჯახიდან თითქმის ყველა რეპრესიების მსხვერპლი გახდა. მაშინ დაიჭირეს და დახვრიტეს დედაჩემი, მამიდაჩემი – ოლა ოკუჯავა, ბიძაჩემები (მათ შორის ბულატი ოკუჯავას მამა). ჩემი უფროსი ძმა კი, რომელიც მხოლოდ 17 წლისა იყო, შემთხვევით გადაურჩა დახვრეტას... მე თავად იმდენი არც მახსოვს, რამდენსაც მერე მიყვებოდნენ ჩემი ოჯახის თავგადასავლიდან.

მამა ნაციონალ-უკლონისტი გახლდათ. ეს ის მიმართულება იყო, რომელიც მაშინდელ ხელისუფლებას ყელში ეჩხირებოდა. მათ ნაციონალ-უკლონისტების სხენებაც არ უნდოდათ. ამიტომ ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ მამაჩემი არა მხოლოდ უნდა დაეხვრიტათ, არამედ მისი სახელიც კი არ უნდა სცოდნოდა მომავალ თაობას. როდესაც პარტისტორიის მოკლე კურსის სახელმძღვანელოებში საუბარი იყო ნაციონალ-უკლონისტებზე, ახსენებდნენ მხოლოდ მათ მეტაურს – ბუდუ მდივანს, ხოლო მამაჩემი და მისი თანამოაზრეები „და სხვები“ მოიხსენებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ ოკუჯავა იმ ხელისუფლებისთვის ყველაზე საძულველი სახელი იყო.

ასეთივე ბედი ეწია დედასაც... მამას დაჭერის წინ დაუბარებია მისთვის – ნინო, იცოდე, მე ყველაფერში მართალი ვარ, მაგრამ სასიკეთო არაფერი მელის. შენ ეცადე, რომ ბავშვები გადაარჩინო, სოფელში წაიყვანე, მაგრამ დედამ ვერ მოასწრო... ისიც ანალოგიური ბრალდებით დააპატიმრეს და აღარ დაბრუნებულა... ჩვენ, ჯერ კიდევ მცირეწლოვანი ბავშვები, ქუჩაში დავრჩით და რომ არა ბებია და დეიდა, ქალბატონი ლუდმილა მოდებოდა, რომელსაც მე დედას ვეძახდი, რომელიმე ბავშვთა სახლში გავავარდნობდით ცხოვრებას.

მამიდა, ოლა ოკუჯავაც ანალოგიური



ბრალდებით გადაასახლეს. მასთან დედას კი ჰქონდა კონტაქტი, მაგრამ მე არ მახსოვს, მცირეწლოვანი ვიყავი. სამაგიეროდ, მახსოვს გალაკტიონი, რომელიც მამის დაპატიმრებამდეც მოდიოდა და მას შემდეგაც – დედასთან სტუმრობდა... მათ თავისი სალაპარაკო ჰქონდათ.

ერთი სტუმრობა განსაკუთრებით შემორჩა ჩემს მეხსიერებას: ცნობილია, რომ გალაკტიონი ლენინის ორდენისანი იყო და ამ ორდენს ხშირად კარგავდა ხოლმე, იმდენად არაფრად მიაჩნდა იგი. ერთხელაც ჩვენთან მოვიდა, მაშინ ოლა უკვე დაჭერილი იყო, მომეფერა, კალთაში ჩამისვა და სათამაშოდ ეს ორდენი მომახალისა – გულზე დამიბნია... ცოტა ხნის შემდეგ იგი ადგა და ისე წავიდა, ორდენი არც გახსენებია. მახსოვს, როგორ დამაინა დეიდა – სასწრაფოდ დაუბრუნეო. მეც გავიქციე და კიბეებზე მივუსწარი“...

## ივანე ბერიტაშვილის ასპირანტი

„სკოლაში ძალიან ადრე შემეყვანეს. ჩემი პირველი მასწავლებელი იყო დავით ჩენილიყვი, ადრე შემეყვანეს ვაჟთა მეორე სკოლის პირველ კლასში და, ჩემდა საბედნიეროდ, შემხვდნენ მასწავლებლები, რომლებიც ჩემსად, სხვებს რომ არ დაეახათ, მეფერებოდნენ და ჩემთვის კეთილ სიტყვას არ იშურებდნენ...“

ყველაზე რთული მაინც სპეციალობის შერჩევა გამოდგა, რადგან სკოლაში მრავალმხრივი ინტერესები მქონდა. თავიდან ისე ვყოყმანობდი, რომ სულ სხვა მიმართულებით დავიწყე სწავლა – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთ-მცოდნეობის ფაკულტეტის სემიოლოგიის განყოფილებაზე ჩავაბარე და აი, ილბალი რომ ვახსენე, აქაც გამიმართლა... ჯერ კიდევ ყმაწვილს ლექციებს მიკითხავდნენ დიდი პედაგოგები: აკაკი შანიძე, არნოლდ ჩიქობავა, გიორგი ახვლედიანი და ჩემი უშუალო მასწავლებელი — აკადემიკოსი გიორგი წერეთელი, რომელმაც ჯერ კიდევ პირველ კურსზე სწავლის დროს მოითხოვა, რომ ჩემთვის სახელობითი სტიპენდია დაენიშნათ. მაშინ ლეგენდარული ნიკო კეცხოველი იყო რექტორი და მისი მხარდაჭერით ასეთი პატივი მერგო... მერე უკვე, როცა მეცნიერებათა აკადემიაში ამირჩიეს, ბატონ გიორგის მადლობა გადაუხადე ამ სიკეთისთვის და იმისთვის, რომ მქონდა ბედნიერება, მისი მონაფე ყოფილიყავი. უნივერსიტეტში სწავლის მესამე წელს

ინტერესები შემეცვალა და სამედიცინო ინსტიტუტში ბიოსამედიცინო მეცნიერების მიმართულებით განვაგრძე სწავლა, თუმცა აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ექსტერნად მაინც ვაბარებდი საკურსო გამოცდებს. როცა მივხვდი, რომ მედიცინა ჩემთვის მორალურად და პროფესიულად სწორი არჩევანი იყო, სახელმწიფო უნივერსიტეტს თავი დავანებე.

ისიც ილბალი იყო, რომ სამედიცინო ინსტიტუტშიც შესანიშნავი პედაგოგები მყავდ-

ნილად მეთანამშრომლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პირველ პრეზიდენტთან — ნიკო მუსხელიშვილთან. განსაკუთრებით დიდი სიახლოვე და მეგობრობა მაკავშირებდა უდიდეს ქართველ მეცნიერთან ილია ვეკუასთან, რომელმაც ჩემზე, როგორც მეცნიერზე და პიროვნებაზე, დიდი გავლენა მოახდინა“.

## ბლიც-ინტერვიუ უნივერსიტეტის ყოფილ რექტორთან

— უნივერსიტეტში პედაგოგიური მუშაობის დიდი სტაჟი მაქვს — ბატონი ივანე ბერიტაშვილის მოწვევით აქ 1967 წლიდან ვმუშაობდი და ლექციებს ვკითხულობდი. შემდეგ ჩამოვყალიბე ერთ-ერთი ლაბორატორია და აქვე აღვზარდე ზოგიერთი ჩემი მოსწავლეც.

— როგორი ლექტორი იყავით?

— მართალი გითხრათ, საფრთხობელა არასოდეს ვყოფილვარ. ვცდილობდი, სტუდენტისთვის იმაზე მეტი ცოდნა მიმეცა, ვიდრე ეს პროგრამით იყო განსაზღვრული. მინდოდა მათთვის გამეცნო უახლესი მონაცემები იმ დარგში, რომელსაც ვასწავლიდი. მიმაჩნდა, რომ შეფასებას იმხელა მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენიც დიდი ლექციისა და სემინარის დროს. შეფასებისას კი ცოტა მეტი ეკუთვნოდა თუ ნაკლები, არ ჰქონდა მნიშვნელობა... —

— თქვენ ახსენებთ ლეგენდარული ნიკო კეცხოველი... ოდესმე გიფიქრიათ, რომ მისი საკარტელში უნივერსიტეტის რექტორის რანგში აღმოჩნდებოდით?

— ეს ჩემთვის მოულოდნელი შემთავაზება იყო. ძალზე სასიამოვნოდ მახსენდება ის შეხვედრა და დამოკიდებულება, რაც მაშინ ჩემმა ყოფილმა მასწავლებლებმა და კოლეგებმა გამოხატეს.

ცოტა რამ მეც შევძინე უნივერსიტეტს, ყველაზე მათგანი კი ჩემთვის ის იყო, რომ სტუდენტებთან ხშირად ვსაუბრობდი და ეს ცხოვრებისეული, და საზოგადოებრივი მოღვაწეობის თვალსაზრისითაც, დიდი სტიმული იყო.

უნივერსიტეტი უნივერსიტეტი. დროთა განმავლობაში შეიძლება შეიცვალოს სწავლების სტილი, მაგრამ მთავარი მისი ისტორია და ადგილია. ალბათ ვერ გამოვხატავ, მაგრამ მე თავიანთ ვცემ უნივერსიტეტს და, ზოგადად, უნივერსიტეტის იდეას.

## მონაფეები

დღეს საქართველო სამართლიანად ამაყობს ბატონ ვაჟა ოკუჯავას აღზრდილი მეცნიერებით. მისი მონაფეები კი ბატონ ვაჟასთან თანამშრომლობის წლებს მაღლიერებით იხსენებენ და აღნიშნავენ, რომ მასთან მუშაობა ადვილიც იყო და რთულიც, რადგან, რამდენადაც უშუალო და კოლეგიალური იყო მონაფეებთან ურთიერთობაში, იმდენად მკაცრი და პირუთვნელი იყო მათი ნაშრომე-



ვაჟა ოკუჯავა ივანე ბერიტაშვილთან ერთად

ფესორი ლი, პროფესორი ჰანსლერი გერმანიიდან. ჩემი ბიბლიოთეკის დიდი ნაწილი მათ მიერ ნაჩუქარ და გამოგზავნილ საავტორო ნივთებს უჭირავს.

იმითაც ბედნიერი ვახლავართ, რომ მქონდა საშუალება, მოვხსნებოდი და გარკვეულ-

ბის შეფასებისას. ჩვენ ორ მათგანს, შევდეტში მოღვაწე ქართველ მეცნიერებს — ზაალ და მერაბ კოკაიებს დავუკავშირდით.

მე-12 გვირგვინი



# ქართული ფიზიოლოგიის „სამოციანელი“

მე-11 გვირგვინი

მათ სიამოვნებით გაიხსენეს 25 წლის წინანდელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და 8 კვადრატული მეტრი ფართობის ლაბორატორია, სადაც ბატონ ვაჟასთან ერთად მუშაობდნენ სამეცნიერო ექსპერიმენტებზე. **ზაპალ კოპაია**, შვედეთის ლუნდის უნივერსიტეტის პროფესორი: „ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლის პერიოდში ბატონი ვაჟა ოკუჯავა ჩემი საკანდიდატო ნაშრომის სამეცნიერო ხელმძღვანელი იყო. მაშინ იგი უნივერსიტეტის რექტორი გახლდათ და, ცხადია, დროც ცოტა ჰქონდა, თუმცა მე არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, როცა ჩემს სამეცნიერო პროექტთან დაკავშირებით მასთან შეხვედრა მოვიხდომე და უარი მითხრა. დაკავებული გრაფიკის მიუხედავად, იგი ახერხებდა თანამედროვე უცხოური სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობას, რაც 80-იანი წლებში, ინტერნეტის არქონის და საბჭოთა ინფორმაციული ვაკუუმის პირობებ-

აგერ უკვე 30 წლის შემდეგ, მასზე შექმნილი შთაბეჭდილება ისევ უცვლელია. ბატონ ვაჟას, გარდა იმისა, რომ უახლეს სამეცნიერო ლიტერატურას მუდმივად ეცნობოდა, ჰქონდა უნარი, განეჭვრიტა, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ამა თუ იმ კონკრეტულ ექსპერიმენტს. მართლაც, ლაბორატორიაში მიმდინარე სამეცნიერო დისკუსიების დროს (რაც თავისთავად ძალიან უყვარდა და ყოველთვის ცდილობდა, რომ ამისათვის დრო გამოეხატა) მის მიერ გამოთქმული პიპოტეზები და იდეები, ექსპერიმენტების ჩატარების შედეგად, ხშირად მართლდებოდა. მისი სამეცნიერო და ზოგადი განათლების ფართო დიაპაზონი აძლევდა იმის საშუალებას, რომ თითოეული სამეცნიერო პრობლემა და კვლევის კონკრეტული შედეგი უფრო ზოგად ბიოლოგიურ პერსპექტივაში დაენახა და განეხილა. რა თქმა უნდა, ეს ჩემთვის, როგორც ახალგაზრდა და შედარებით გამოუცდელი მეცნიერისათვის, ძალზე მომხიბვლელი თვისება გახლდათ და ყოველთვის ვცდილობდი, მიმეზარა მისი

მისი კოლეგები. უმაღლესი სამედიცინო სკოლა „აიეტის“ პროფესორი **თეიმურაზ ნათიშვილი** იხსენებს, რომ აკადემიკოს ვაჟა ოკუჯავას პირველი მონოგრაფია ქერქის აპიკალური დენდრიტების ელექტროფიზიოლოგიის ეყრდნობოდა. იგი წერს: „ამ უზადოდ დაწერილ ნიშნულში იგრძნობა ავტორის არა მარტო დახვეწილი ლინგვისტური უნარები, არამედ, პირველ რიგში, პრობლემური საკითხის ბრწყინვალე ჭვრეტა თანამედროვე ნეიროფიზიოლოგიის პოზიციებიდან... ვფიქრობ, რომ ბატონი ვაჟას ეს პირველი ნაბიჯი „დიდ მეცნიერებაში“ მისი შემდგომი წარმატებების განსაზღვრელი გახდა: მან, ამერიკულ-ბრიტანული ნეიროფიზიოლოგიური ცოდნით დატვირთულმა, ექსტრაორდინალური ნაბიჯი გადადგა – უმოკლეს პერიოდში ათვისა იმ დროისთვის ახალი, დასავლეთიდან მოსული უაღრესად რთული ელექტროფიზიოლოგიური კვლევის მეთოდიკა – უჯრედშიგნითა ელექტრულ პოტენციალთა რეგისტრაცია, რაც თავისთავად მოითხოვს არა მხოლოდ ნეიროქირურგიული ოპერაციების დეტალურ ცოდნას, არამედ ელექტრონიკაში კარგად გარკვევასაც. უნდა ითქვას, რომ უჯრედშიგნითა პოტენციალების მიკროელექტროდული რეგისტრაციის ტექნიკის ათვისება „რეგულაციური“ ნაბიჯი იყო იმდროინდელ ქართულ ელექტროფიზიოლოგიაში და ის მხოლოდ „ეგზოტიკურ სპორტულ მიღწევად“ დარჩებოდა, რომ არა ამ ტექნიკის გამოყენება ეპილეპსიის – ინტიმური ნეირონული მექანიზმების შესწავლისთვის. მან ამ საკითხშიც ფუნდამენტური წვლილი შეიტანა – შეისწავლა ქერქულ ნეირონებში თავისებური ელექტროფიზიოლოგიური ინდიკატორის – ე.წ. პაროქსიზმალური დეპოლარიზაციული ძვრის – დეტალურ ელექტროფიზიოლოგიური და ფარმაკოლოგიური მახასიათებლები, რამაც უდავოდ გაამდიდრა ეპილეპტოლოგია. ეს კვლევა საფუძვლად დაედო მის მონოგრაფიას ეპილეპსიის თაობაზე, რომელიც თანამედროვე ეპილეპტოლოგიის სამაგიდო ნიშანად იქცა. სხვათა შორის, ასეთივე სახელმძღვანელო გახდა მისი შემდგომი მონოგრაფია, რომელიც ქერქული ელექტროფიზიოლოგიის ცენტრალურ პრობლემას – ქერქულ შეკავებას მიეძღვნა და ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოიცა.“

ქციები, მოსკოვის მედიკობიოლოგიური კვლევების ინსტიტუტმა ბატონ ვაჟას და ნეიროლოგიის ინსტიტუტს მისცა შეკვეთა და ეს ურთიერთობები თითქმის 20 წელი გრძელდებოდა.

და ბოლოს, მინდა ვთქვა, რომ ბატონი ვაჟა მართლაც ქართული ფიზიოლოგიის სამოციანელი იყო, რადგან გასული საუკუნის 60-იან წლებში ქართული ფიზიოლოგიის კრიტიკულ პერიოდში, სამეცნიერო ასპარეზზე შემოაბიჯა ივანე ბერიტაშვილის მონაწილეთა ნიჭიერმა ლაშქარმა: ვაჟა ოკუჯავამ, თენგიზ ონიანმა, თეიმურაზ იოსელიანმა, კიაზო ნადარეიშვილმა, ვახტანგ მოსიძემ, არჩილ ასათიანმა, გურამ ბექაიამ, ელგუჯა მონიავამ, საურმაგ ბუთხუზმა, მიხეილ ხანანაშვილმა და სხვებმა, რომლებმაც თითქმის შეუძლებელი შეძლეს და ნეიროფიზიოლოგიის ბერიტაშვილისეული მწვერვლიდან კიდევ უფრო მაღალი მწვერვალები დაიპყრეს უჯრედშიგნითა ეპილეპტოლოგიაში, სიმონოფიზიოლოგიაში, ფუნქციურ რადიო-ბიოლოგიაში, ტვინის ასიმეტრიის მოძველებაში, ნეიროზოლოგიაში, ნათხმისა და ზურგის ტვინის ფუნქციური რეგულაციის საიდუმლოების ამოსხნაში. ამიტომ ვუნდობ მათ სამოციანელებს, — ბრძანა ბატონმა რომან შაქარიშვილმა.

## ოჯახი

ბატონი ვაჟა ოკუჯავა ყველაზე დიდ გამართლებას მაინც იმაში ხედავს, რომ ცხოვრების თანამგზავრად ქალბატონი ზეინაბ ანთაძე — საინტერესო მკვლევარი და მეცნიერი აირჩია.

„ყველაზე დიდი ილბადი ეგ იყო ჩემი, — ღიმილით გვესაუბრება ბატონი ვაჟა, — ზიზის, ასე ვეძახით სახლში, ძალიან საინტერესო სამეცნიერო მოღვაწეობა ჰქონდა და ჩემთან ერთადაც ბევრი უმოღვანოა. ერთ დანესეულელებაში ვმუშაობდით. 1964 წელს დავკორნინდით და უკვე 46 წელია ოჯახი გვაქვს. მისი მამა ცნობილი თეატრალური მოღვაწე — დოდო ანთაძე გახლდათ, დედა — ქალბატონი ფატი გოკიელი უნივერსიტეტს ახლაც კარგად ახსოვს... გვყავს სამი შვილი: ორი ქალიშვილი და ერთი ვაჟი. სამივე მედიკოსია, დოქტორი. მათგან 5 შვილიშვილი მყავს.“

ჩვენს საუბარს ქალბატონი ზიზი ეხსენებოდა და მოკრძალებული ღიმილით გვისმენდა. ცხადია, ყურნალისტურ ცნობისმოყვარეობას ვერ გავექციეთ და ჩავეძიეთ, როგორ იყო დიდი მეცნიერი ოჯახში. აღმოჩნდა, რომ ბატონი ვაჟა შესანიშნავი მეუღლე, მამა და ბაბუაა. „ყოველთვის ვცდილობდი, რომ მისთვის სათანადო პირობები შემიქმნა და ოჯახურ ნეიროლმანებზე არ შემეწუხებინა“ — გვითხრა ქალბატონმა ზეინაბმა, რომელიც ჩვენთან საუბრის პარალელურად ახმაურებულ შვილიშვილებს — პატარა მაიკო სულაბერიძეს და ანა ოკუჯავას უხმობდა — ბაბუსთან სურათი გადაიღეთო. ეშმაკუნები მაშინვე შემოცქრიანდნენ და გაგვიძილეს, რომ ანას მომავალში ცხოველებზე დაკვირვება სურს, მაიკო კი ბალერინობაზე ოცნდება.

ბოლო კითხვა, ალბათ, ალარც უნდა დავგვევა, მაგრამ როცა მეცნიერის მთელი ცხოვრება ხელის გულზე გადავალა, მაინც ვიკითხეთ — ამ გადასახედიდან როგორ აფასებს თავის ცხოვრებას, ბედნიერია თუ არა?

ბატონმა ვაჟამ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გვიპასუხა: „ვცდილობ და მინდა, რომ ცხოვრებიდან მხოლოდ კარგი დავიმახსოვრო, რაც ბედნიერების სეგმენტებს მიტოვებს...“



მაიკოსთან და ანასთან ერთად

ში, არც თუ ისე იოლი იყო. ამდენად, იგი კარგად იყო გათვითცნობიერებული და მუდამ ცდილობდა, რაღაც ინოვაციურის შემოტანას და დაწერვას ჩვენს კვლევებში. ბატონი ვაჟა ძალზე პროგრესული, დასავლეთზე ორიენტირებული მკვლევარი იყო და ყოველთვის ცდილობდა, რომ სამეცნიერო ნაშრომები საერთაშორისო სტანდარტების დონეზე შეგვესრულებინა. ასეთი მიდგომა მაშინ იშვიათობას წარმოადგენდა. ჩვენი შეხვედრების დროს იგი გულისყურით ისმენდა და ხშირ შემთხვევაში ითვალისწინებდა კიდევ ჩემ მიერ გამოთქმულ აზრებს და შეთავაზებულ წინადადებებს. ეს იმ დროისთვის უნიკალური შემთხვევა იყო და დიდ სტიმულს მძლევდა. ბატონი ვაჟასგან, როგორც მეცნიერისგან და პიროვნებისგან ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. მასთან ურთიერთობამ დიდი წვლილი შეიტანა ჩემს მეცნიერად ჩამოყალიბებაში.“

მერაბ კოპაია, შვედეთის ლუნდის უნივერსიტეტის პროფესორი: „ბატონი ვაჟა ოკუჯავა ჩემი ხელმძღვანელი იყო ასპირანტურის (ახლანდელი დოქტორანტურის) პერიოდში. შეხვედრის პირველივე დღიდან და დღესაც,

აზროვნების ასეთი ხასიათისთვის. რა თქმა უნდა, ამან ჩემს მეცნიერად ჩამოყალიბებაში დიდი როლი ითამაშა და მე ბატონ ვაჟას ჩემს სამეცნიერო მასწავლებლად მივიჩნევი.“

მოგვიანებით, შვეიცარიაში, ლუნდის უნივერსიტეტში, სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობისა (1980-იან წლებიდან დაწყებული) და სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დროს ხშირად მიამაყია, რომ პირადად შეხვედრია ბატონ ვაჟას ბევრი მსოფლიო მნიშვნელობის შედეგი თუ სხვა ქვეყნის მეცნიერი, რომლებიც მის სამეცნიერო კვლევებს კარგად იცნობდნენ. ბატონი ვაჟა დღესაც ქართული ეპილეპტოლოგიის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი, წამყვანი მეცნიერი და სპეციალისტია და მის ფუნდამენტურ კვლევებს დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოში ამ დარგის განვითარებაში.“

## კოლეგები

კიდევ უფრო მაღალ შეფასებას აძლევენ ვაჟა ოკუჯავას სამეცნიერო მოღვაწეობას

## ლონისძეობა

# თსუ-ში აკადემიკოს ვაჟა ოკუჯავას 80 წლის იუბილე აღინიშნა

შურთხია ბაროშვილი

10 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიკოს ვაჟა ოკუჯავას 80 წლისადმი მიძღვნილი იუბილე გაიმართა. საზეიმო ღონისძიებას აკადემიური წრეების წარმომადგენლები, თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, იუბილარის ოჯახის წევრები და მეგობრები ესწრებოდნენ. ღონისძიება თსუ-ის რექტორმა პროფესორმა გიორგი ხუბუამ გახსნა, რომელმაც ვრცლად ისაუბრა ვაჟა ოკუჯავას სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე. ბატონი ვაჟა ოკუჯავას ცხოვრება და მოღვაწეობა თითოეული პედაგოგისა და მეცნიერისთვის კარგი მაგალითია. დღეს უნივერსიტეტისთვის აუცილებელია თაობათა კავშირი შევიწარმოოთ, ხოლო ღვაწლმოსილ მეცნიერთან ურთიერთობა ამის დასტურია, ამჟამად ბატონი ვაჟა რექტორის

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარეა, მსურს მაღლობა გადაეუხადო იმისთვის, რომ იგი თავის ცოდნას და გამოცდილებას არ იშურებს უნივერსიტეტისთვის“, — აღნიშნა გიორგი ხუბუამ. მისი თქმით, ბატონი ვაჟა ოკუჯავა დღესაც აქტიურად ხელმძღვანელობს ექსპერიმენტული ნეიროლოგიის სამეცნიერო კვლევით ცენტრს, რომელსაც უნივერსიტეტთან ურთიერთობის გააქტიურების თვალსაზრისით საინტერესო ინიციატივები აქვს და უახლოეს მომავალში კონკრეტულად განხორციელდება.

საიუბილეო საღამოს უძღვებოდა აკადემიკოსი რომან შაქარიშვილი, რომელმაც კიდევ ერთხელ შეახსენა დამსწრე საზოგადოებას ვაჟა ოკუჯავას დამსახურება უნივერსიტეტის წინაშე და მისი მეცნიერული მიღწევები.

აღსანიშნავია, რომ აკადემიკოსი ვაჟა ოკუჯავა 1980 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტე-

ტის რექტორად დაინიშნა. იმ პერიოდს უკავშირდება სამეცნიერო კვლევითი მუშაობის მნიშვნელოვანი განვითარება ფაკულტეტებ-



სა და კათედრებზე, ახალი ლაბორატორიების შექმნა და ამოქმედება. რექტორის თანამდებობაზე ვაჟა ოკუჯავა 1985 წლამდე მუშაობდა.

საიუბილეო საღამოზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდნენ მეცნიერები: თამაზ გამყრელიძე, ნინო ჯავახიშვილი, კოტე ჯაფარიძე, თემურ ნათიშვილი, ზურაბ ვადაჭკორია, მარიამ ლორთქიფანიძე და სხვები.

შეხვედრაზე აკადემიკოსმა თამაზ გამყრელიძემ მეცნიერებაში შეტანილი წვლილისათვის ვაჟა ოკუჯავას საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სპეციალური სიგელი გადასცა. გიორგი ხუბუამ კი იუბილარს უნივერსიტეტის სახელით ძვირფასი სათი უსახსოვრა.

საიუბილეო საღამოს ბოლოს რეჟისორ გიორგი ლევანოვ-თუმანიშვილის ფილმის „რექტორი“ ჩვენება გაიმართა, რომელიც ვაჟა ოკუჯავას უნივერსიტეტში მოღვაწეობას ასახავს.



# 80 სტუდენტი საზღვარგარეთ სწავლობს

ანი ჭანკოშვილი

მრავალი ათეული წელია, რაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორ უნივერსიტეტებთან. ყოველწლიურად, თსუ-ის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ორგანიზებით, სტუდენტები გაცვლითი პროგრამის ფარგლებში საზღვარგარეთ სწავლებლად მიემგზავრებიან. გაცვლითი პროგრამებში მონაწილეობის მიღება

უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტის სტუდენტს შეუძლია. 2009-2010 აკადემიური წლისთვის გაცვლითი პროგრამით 80 სტუდენტი გაემგზავრა საზღვარგარეთ სწავლებლად. საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტის მანია მენთეშაშვილის თქმით, 2011 წლისთვის მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდება.

რა მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს სტუდენტმა, რომელიც გაცვლითი პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტის პარტ-

ნიორ უმაღლეს სასწავლებლებში გაიგზავნება? მანია მენთეშაშვილის ინფორმაციით, უპირველეს ყოვლისა, გაცვლითი პროგრამაში მონაწილე ყველა სტუდენტმა უნდა გაიაროს უცხო ენის ტესტი — მოთხოვნა არის 2 დონე. მხოლოდ ამის შემდეგ, მაღალი რეიტინგის მქონე სტუდენტები მონაწილეობას მიიღებენ ზეპირ პრეზენტაციაზე. ამ ეტაპზე სტუდენტებს უკვე საკონკურსო კომისიის წევრები აფასებენ. უცხო ენის კარგად ცოდნასთან ერთად, სასურველია, სტუდენტს მაღალი აკადემიური მაჩვენებლები ჰქონდეს.

საკონკურსო ინფორმაცია უნივერსიტეტის ელექტრონულ გვერდზე ([www.tsu.ge](http://www.tsu.ge)) და ასევე სტენდებზეა განთავსებული. ინფორმაციის გავრცელებაში შესაბამისი ფაკულტეტის ადმინისტრაციაც მონაწილეობს. ყოველწლიურად, საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი გაცვლითი პროგრამებთან დაკავშირებით პრეზენტაციას მართავს. პარტნიორი უნივერსიტეტების მიერ გამოყოფილი სტიპენდიები განკუთვნილია ბაკალავრიატის II-III წლის, მაგისტრატურის I წლის სტუდენტებისთვის, ასევე, დოქტორანტებისთვისაც.



## სტუდენტის ჩანაწერი ტარტუს

### უნივერსიტეტის კარიბჭემდე მისაცდელად

ნიკო კაპულია

19 წლის მარიამ ასანიშვილი იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტი იყო, როდესაც თსუ-ის გაცვლითი პროგრამაში მიიღო მონაწილეობა, კონკურსში გაიმარჯვა და ესტონეთში, ტარტუს უნივერსიტეტში სასწავლებლად გაემგზავრა. ტარტუსში მას ერთი სემესტრის განმავლობაში უნდა ესწავლა, თუმცა ესტონეთის მთავრობამ სწავლის გაგრძელების მსურველ სტუდენტებს მეორე სემესტრში ტარტუს უნივერსიტეტში დარჩენის საშუალება მისცა და სწავლის საფასური მთლიანად დაუფინანსა. როგორც მომავალი იურისტი, მარიამ ასანიშვილი ტარტუს უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე საერთაშორისო სამართალს ერთი წლის განმავლობაში სწავლობდა. მეგობრულ გარემოში მოხვედრილ ქართველ სტუდენტს, როგორც 2008 წლის აგვისტოში ომგადატანილი ქვეყნის მოქალაქეს, უნივერსიტეტის ლექტორებისა და სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული სტუდენტების სახით, სწავლის დაწყებისთანავე დიდი გულშემატიკობები გამოუჩნდნენ. საკუთარი ქვეყნის წარმომავალ არც დასტურებია, მის გარემო მყოფნი იმდენად კარგად იყვნენ ინფორმირებული საქართველოში დატრიალებული მოვლენების შესახებ, თუმცა ქართველი სტუდენტის პოზიციებთან და აზრის გამოხატვით ბევრი მათგანი მაინც დაინტერესებულა. რუსეთისადმი არაკეთილგანწყობილ ესტონელებს კარგად ესმოდათ მარიამის გულსიტკვირეობა — სწორედ თანაგრძობამ განაცდევინა საქართველოდან ჩასულ სტუდენტს მასპინძელი ქვეყნისადმი სიყვარულიც. მან მთელი არსებით შეიგრძნო სტუდენტური ქალაქის ხიბლი და დარჩა იმის განცდა, რომ ქალაქში ყველანი სტუდენტების სამსახურში იყვნენ, რომ ამ ქალაქს ამოძრავებდა უნივერსიტეტი, სადაც 17 ათასი სტუდენტი სწავლობდა. მათგან ბევრი სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული სტუდენტი იყო, რომელთაც საერთო საცხოვრებლის ერთ სართულზე „დაედოთ ბინა“.

როდის დაინიშნა მარიამმა გლობალურად აზროვნება? — ამ კითხვას საკუთარ თავსაც იმიტომ უსვამს, რომ მიხვდა — ამერიკისა და ევროპის ქვეყნების წარმომადგენელი სტუდენტების მოსაზრებების მოსმენა იგივე გაეროს როლსა თუ ყველა ასპექტით საერთაშორისო ურთიერთობებზე რამდენად აფართოებდა მის მსოფლმხედველობას. მარიამის ისეთი შეგრძნება გაუჩნდა, რომ თითოეული მისი თანატოლი სტუდენტი იმ ქვეყნის სახეს წარმოადგენდა, რომელი ქვეყნის შვილიც იყო — ასე „გაიცნო“ მარიამმა მთელი ევროპა და უკვე საქართველოში დაბრუნებულს სულ სხვა მენტალიტეტი და კულტურა ჩამოუყალიბდა. სწორედ ამ გადასახედიდან საუბრობს დღეს იგი ტარტუს უნივერსიტეტში შექმნილ იმ უნარჩვევებსა და აზროვნების სტილზე, რამაც მას საკუთარ პიროვნულ ღირებულებებში ჩადრამატიკისა და მათი გადაფასების სურვილი გაუჩინა. ერთ წელზე მეტ ხანს მაინც ვერ გაჩერდა იმ ქალაქში, რომელზე მოგონებებიც მისი სტუდენტური ცხოვრების საუკეთესო წლად მიიჩნია. ტარტუსი სწავლამ პროფესიული ორიენტაციის ძიების პრობლემაც მოუხსნა, რადგან თუკი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის დროს ჟურნალისტიკური საქმიანობაც იტაცებდა, ესტონეთში გატარებული წელიწადმა იურისპრუდენციით ბევრად უფრო დაინტერესა. იგი უკვე თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე მაგისტრატურაში ჩაბარებაზეც ფიქრობს და სწავლის გაგრძელებას კვლავ საზღვარგარეთ გეგმავს. თსუ მისი ოჯახის არჩევანია — მისმა მშობლებმაც სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამთავრეს და მისი ძმაც თსუ-ში გეგმავს ჩაბარებას.

ტარტუდან დაბრუნებულ მარიამს მიუხედავად იმისა, რომ ესტონეთში სწავლის პერიოდი გადაუალბებელი აქვს (როგორც იქ ჩასულ ყველა მის თანატოლს), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლების ხარისხით მეტად კმაყოფილია და როგორც თავად ამბობს, ყველა

ლექციას დიდი სიამოვნებით ისმენს. თუმცა მას შეუძლია თქვას, რომ ტარტუსი სწავლის დროს გართობის მეტი საშუალება ჰქონდა, ვიდრე ამას თბილისში ახერხებს. როგორც თავად იხსენებს, ორგანიზაცია იესენი გაცვლითი პროგრამაში მონაწილე ყველა სტუდენტისთვის სპეციალურ „ფართებს“ აწყობდა — მეორე სემესტრში სწავლის დროს ტარტუსში ჩასული 14 ქართველი სტუდენტის პატივსაცემად ქართული საღამოც მოუწყვეს. ორგანიზაცია იესენმა მათ ქართული ტრადიციული კერძების დამზადებისთვის და ქართული კულტურის პოპულარიზაციისთვის შესაბამისი გარემო შეუქმნა. ქართველებს იქ ზედმეტად ხმაურიან და ხალისიან ხალხს ეძახდნენ და საქართველოზე საკუთარი შთაბეჭდილებას თურმე ასე აფიქსირებდნენ, რომ ეს არის ღვინის ქვეყანა, სადაც მზე მუდამ ანათებს. მარიამს არასდროს დაავიწყდება ესტონელების მხრიდან მისადმი გამოხატული ემოციები და განწყობილება, რაც იმდენად საგრძნობი იყო, რომ ტარტუდან დაბრუნებულმა სტუდენტმა გადაწყვიტა დღიურში თავისი შთაბეჭდილებანი აესახა. ამჟამად თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტმა მარიამმა გახეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციის ამ შთაბეჭდილებების გაზიარების მიზნით მოაკითხა, რადგან ჩათვალა, რომ მის დღიურში ჩანაწერების გამოქვეყნებით უნივერსიტეტის სტუდენტებს ერთგვარ სტიმულს მისცემს — უფრო აქტიურად ჩაერთონ გაცვლითი პროგრამებში და გაიზიარონ ის გამოცდილება, რაც თავად მიიღო. მარიამ ასანიშვილის ჩანაწერებსაც სწორედ ამ მიზნით თავაზობთ, რაც ერთგვარი გზამკვლევაა საოცნებო ტარტუს უნივერსიტეტის კარიბჭემდე მისაცდელად.

### ტარტუსი პატარა მსოფლიოა

რამდენიმე წლის წინ ტარტუს შესახებ გაგონილიც არ მქონდა. ვერ გეტყვოდით, რას შეიძლება ნიშნავდეს ტარტუ — მცენარის სახელს, მკვლევარის გვარს თუ რაიმე გეოგრაფიული პუნქტის დასახელებას. რა თქმა უნდა, მაგ დროს ვერც კი წარმოვიდგენდი, თუ რამხელა ადგილის დაკავებას შეიძლება ჩემს გულსა და გონებაში ერთ პატარა სტუდენტური ქალაქი თოვლიან ესტონეტი.

როცა მეკითხებიან — რომელია ჩემი საყვარელი ქალაქი, დაუფიქრებლად ვპასუხობ: ტარტუ... რაც გაკვირვებას, ზოგჯერ კი ცინიზმს იწვევს: ალბათ სხვაგან არც ყოფილა და მაგისთვის. თუმცა ეს ჩემთვის მეთაბრისხვანია. გულში ხომ ვიცი, იშვიათად შეიძლება ადამიანის ისეთი ბედნიერი სტუდენტობა ჰქონოდა, როგორც მე.

ტარტუსი ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ზღაპარში... ან უფრო რეალურად თუ გნებავთ, ფილმში... ავერსტოში თბილისიდან ტარტუსში ჩასულმა ალმოვანინმა, რომ ტემპერატურა მინიმუმ 20 გრადუსით მაინც ნაკლები იყო, რამაც ძალზე შემაშფოთა. თუმცა მალე მივხვდი, რომ მთავარი ის კი არ არის — გარეთ რა ამინდია, მთავარია, რომ გარს მხიარული ადამიანები გეხვიოს და კარგი განწყობა გქონდეს.

ქალაქი ძალიან მეგობრულია სტუდენტებისათვის და ისეთი შთაბეჭდილება გრჩება, თითქოს ყველა შენს სამსახურშია. ტარტუსი ყველაფერია, რაც შეიძლება სტუდენტმა ინაბტროს: ლექტორები ევროპის წამყვანი უნივერსიტეტებიდან, საინტერესო სალექციო კურსი, კომფორტული საერთო საცხოვრებელი, სადაც ერთ სართულზე 100-მდე გაცვლითი პროგრამის სტუდენტი ცხოვრობს.

გამიმართლა და ტარტუსი წელიწადის ოთხივე სეზონი გამოვცადე. შემოდგომა — ულამაზესი ფერებით და გრილი ამიღებით, ზამთარი — დღეში 6 საათი დღის სინათლით და წელს ზემოთ თოვლით, გაზაფხული — ულამაზესი სიმწვანით და ზაფხული — თეთრი ღამეებით (მაისის ბოლოს და ივნისში მხოლოდ

2 საათი ღამის სიბნელე). გავიცანი უამრავი საინტერესო ადამიანი და ვისწავლე უამრავი საერთაშორისო ორგანიზაციის სამართალი.

### ერთი ჩვეულებრივი დღე ტარტუსში

იღვიძებ დილით, იხედები ფანჯრიდან და აღმოაჩენ, რომ გარეთ ცოტათი უფრო მეტი თოვლია, ვიდრე გუშინ...

ბარდნის... გადისარ სამზარეულოში და წინა დღის შემორჩენილი პროდუქტებით ცდილობ საუზმე მოამზადო, რაც კარგად გამოგდის. საუზმოდ ფრანგ ირისთან, გერმანულ ლინდასთან, ამერიკულ კეისისთან ერთად. ნაჩქარევად იცვამ ტანსაცმელს და ლექციაზე მიდიხარ. ყავას სვამ, მაგრამ მაინც გეძინება. თუმცა გარეთ გასვლისთანავე ძალიან ცივი პაერის მასა განწყევდა. აი, ეს კი ნამდვილად გაფხიზლებს.

მიაბიჯებ თოვლში. ამ დროს უკვე მთელ ქალაქს ღვიძავს და ყველა ლექციაზე მირბის... უნივერსიტეტისკენ მიმავალ გზაზე, როგორც წესი, უამრავი ნაცნობი გხვდება, რომელიც ღიმილით გესალმება და წარბატივდებს გისურვებს... მერე კი, რომ გააცდებდა, მოგახსებებს: საღამოთი ფართი არ გამოტოვო, მაგარი იქნება!

ქალაქის მთავარ მოედანს ჩაივლი: უკვე კარგი განწყობა გაქვს, უამრავი ნაცნობია გარშემო. ამ დროს ქალაქის მერიის თავზე განთავსებული საათი იწყებს რეკვას. მიდიხარ ლექციაზე, რომლის მოსმენა მართლაც ძალიან საინტერესოა. საღამოს კი საერთაშორისო „ფართი“ გელოდება. აქ სტუდენტებს მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან შეხვდები. მთავარია დრო კარგად გადაანაწილო და მეცადინეობა წარმართო შეუსაბამო გართობას და ახალი ადამიანების გაცნობას.

### ხვდები ძალიან ბევრ საინტერესო ადამიანს:

იტალიელი ელიზა ვერ იტანს ბერლუსკონის და მის გამო მილანში აღარ უნდა უქან ჩასვლა;





# „ამერიკა და ამერიკული ფასეულობები“

თამარ მარუაშვილი

13 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ინსტიტუტისა და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის ინიციატივით, ამერიკის შესწავლის საკითხებისადმი მიძღვნილ XI ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციას თემაზე: „ამერიკა და ამერიკული ფასეულობები“ უმასპინძლა.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ თსუ-ის, რატგერსის უნივერსიტეტის, ვაშინგტონის უნივერსიტეტის (აშშ), ჰუმბოლტის უნივერსიტეტის, ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის, ევროპის კვლევების ინსტიტუტის, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის, შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტისა და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, მეცნიერები და სტუდენტები.

საერთაშორისო კონფერენციის მიზანი იყო ამერიკის ქვეყნების ისტორიის, პოლიტიკის, ეკონომიკის, სამართლის, მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და რელიგიის საკითხების განხილვა პროფესიულ დონეზე და მიღებული ინფორმაციის პოპულარიზაცია საქართველოს საზოგადოების ფართო ფენებში. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 170-მდე მოხსენება, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების შესწავლის ყველა სფეროს მოიცავს. კონფერენციაზე ასევე განიხილეს ლათინური ამერიკისა და კანადის საკითხები.

„გიყვარდეს ღმერთი, გიყვარდეს ოჯახი და გიყვარდეს ქვეყანა“ საერთაშორისო კონფერენციის ძირითადი სლოგანია, რადგანაც აშშ-ში, სადაც მრავალი ერის წარმომადგენელი ერთ ახალ ერად გაერთიანდა, ხალხს საერთო მემკვიდრეობა, რელიგია და ადათი კი არ აკავშირებს, არამედ იმ ღირებულებებისადმი ერთგულება, რომელიც ამერიკულ პატრიოტიზმს კვებავს. ინდივიდუალიზმი, დამოუკიდებლობა, თავისუფლება, ტოლერანტობა მრავალეროვნების მიმართ, მობილურობა და ცვლილებების სიყვარული, დემოკრატია, რელიგიური რწმენა, მატერიული კეთილდღეობა — სწორედ ამ ღირებულებების საფუძველზე ჩამოყალიბდა ამერიკელი ერი.

ამერიკის ძირეული პოლიტიკური ღირებულებები პირველად ბრიტანეთისგან დამოუკიდებლობისთვის ომის დასაწყისში, 1776 წელს, დამოუკიდებლობის დეკლარაციაში გაჟღერდა. დეკლარაციის სიტყვები, რომელიც თითოეულმა ამერიკელმა ზეპირად იცის, შემდგენილია ჟღერს: „უცილობელ ჭჭმარობაზე უნდა დავიწყდეთ, რომ ყველა ადამიანი თანასწორია, რომ დამბადებელმა თითოეულ მათგანს მიანიჭა ხელშეუვალი უფლებები, ესენია: სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისკენ სწრაფვა.“

კონფერენციაზე მონაწილე იყო ნიუ-ჯერსის შტატის რატგერსის უნივერსიტეტის პროფესორი მაიკლ როკლენდი. ამერიკისმცოდნეობის დეპარტამენტის დამფუძნებელი საქართველოს უკვე მეორეჯერ სტუმრობს. მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრებისა და დოქტორანტებისთვის ამერიკის საგარეო პოლიტიკაზე ლექციების სერია: „ჯორჯ ვაშინგტონიდან — ჯორჯ ბუშამდე“ და „XX საუკუნის დიპლომატია“ წაიკითხა.

„ამერიკული ღირებულებების მსახურება ამერიკის ნაციონალური თავისებურებაა, ასეთი განსაკუთრებული იდეოლოგიის არსებობამ ამერიკელს გამოიჩინა ადგილი დაუმკვიდრა იმ ხალხებს შორის, რომელთა ეროვნული თვითშეგნება ხშირ შემთხვევაში, საერთო კულტურული მემკვიდრეობიდან გამომდინარეობს და არა განყენებული პოლიტიკური პრინციპებიდან“, — აღნიშნა მაიკლ როკლენდმა. პროფესორმა ქართველ სტუდენტებთან ურთიერთობის შესახებაც ისაუბრა: „საოკრატია, როგორც ცოდნა აქვთ ქართველ სტუდენტებს. მათ გაცილებით მეტი ივიან ჩემს ქვეყანაზე, ვიდრე მე. გაცემული დავრჩი მათი კითხვებით, რომლებიც ლექციებზე დაისვა, ზოგ მათგანზე პასუხი მეც კი არ მქონდა. ეს თსუ-ის ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა დიდი შრომისა და პროფესიონალიზმის შედეგია“, — აღნიშნა მაიკლ როკლენდმა.

კონფერენციას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ხუბუა, საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერი რუსუდან კერვალიშვილი, საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს, განათლებისა და მეცნიერების და საგარეო საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლები დაესწრნენ.

„ამერიკისტიკისადმი ინტერესი სულ უფრო იზრდება. გვინდა მეტი ვიცოდეთ ამერიკის შესახებ. ჩვენ მოვიწვიეთ მსოფლიოს წამყვანი პროფესორი ამერიკისმცოდნეობის დარგში, რათა საფუძვლიანად გავეცნოთ ამერიკულ ფასეულობებს. ორი-

ენტრეპრული ვართ გავხდეთ თავისუფალი სამყაროს ნაწილი, რომელშიც ამერიკას ღირსეული ადგილი უკავია“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა გიორგი ხუბუამ.

ამერიკელი საკუთარ თავს, პირველ რიგში, ინდივიდუალურ პიროვნებად აღიქვამს და შემდეგ უკვე ჯგუფის წევრად — იქნება ის ეთნიკური ჯგუფი, სოციალური კლასი, ადგილობრივი თემი თუ ოჯახი. კონკურენციისა და თავისუფალი ეკონომიკის პირობებში ინდივიდუალიზმისადმი მისწრაფება უმოავრესი მრწამსი ხდება.

„რწმენა იმისა, რომ ადამიანი თავისი ცხოვრების სრული ბატონ-პატრონია, აქ უმთავრეს ღირებულებას წარმოადგენს. თანასწორობის იდეა შესაძლებლობების თანასწორობას გულისხმობს: ყველას უნდა გააჩნდეს წარმატების ერთიანი შანსი! თუ ადამიანი წარმატებულია, ეს ნიშნავს, რომ იგი ბევრსაც შრომობს და ამავე დროს სისტემაც სამართლიანია“, — განაცხადა ვაშინგტონის უნივერსიტეტის პროფესორმა ალან ლამბერტმა.

90-იანი წლების მეორე ნახევარში აშშ-მა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებმა უფრო აქტიური და პირდაპირი ურთიერთობები დაიწყეს საქართველოსთან, რადგან ნათლად დაინახეს, რომ საქართველო მტკიცედ დაადაგა დამოუკიდებლობისა და დემოკრატის გზას, რომლის საბოლოო მიზანიც ერთიან ევროპულ ოჯახში გაერთიანებაა.

„ამერიკა საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორია. ასეთი უმნიშვნელოვანესი კონფერენციები ხელს უწყობს ინფორმაციის გაცვლას და ახლის შექმნას, რომელიც ჩვენთვის სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ. საზოგადოების ინტერესი ძალიან დიდია ამერიკული ცხოვრების წესის, ფასეულობებისა და კულტურის მიმართ. ყველა საკითხი, რომელიც კონფერენციაზე განიხილება, ქართული საზოგადოების ცოდნის გაღრმავებას უზრუნველყოფს“, — აღნიშნა კონფერენციაზე მონაწილემ პარლამენტის ვიცე-სპიკერმა რუსუდან კერვალიშვილმა.

„მიუხედავად სირთულეებისა, საქართველომ შეძლო მსოფლიოსთვის ეჩვენებინა, რომ იგი ყურადღებას და თანადგომას იმსახურებს. ამერიკული ფასეულობები და ღირებულებები ქართველთა მხარისთვისაც მნიშვნელოვანია და მისი სიღრმისეული ცოდნა ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყნებს შორის ეფექტურ და ნაყოფიერ თანამშრომლობას“, — განაცხადა საქართველოში აშშ-ის საელჩოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა სინტია უისტილიმ.

„დღევანდელი კონფერენციის თემა აქტუალურია. ამერიკული ფასეულობების მიმართ საზოგადოებაში სხვადასხვა აზრი მუხრება. ქართველებს ამერიკაზე წარმოდგენა ძირითადად მედიისა და ამერიკული მხატვრული ფილმების მეშვეობით ექმნება. მსგავსმა ფილმებმა ამერიკისადმი მრავალ-



გვარი დამოკიდებულება ჩამოაყალიბა: დანაშაულები ალტაცებიდან, დამთავრებული აგრესიით. ჩვენთვის ამერიკული ტრადიციები და ღირებულებები ისევე მისაღები, როგორც ევროპული. როგორც ჩვენთვის, ისევე ამერიკელებისთვის მნიშვნელოვანია ღმერთის, ოჯახისა და სამშობლოს სიყვარული“, — განაცხადა ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის დირექტორმა, ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის პრეზიდენტმა ვასილ კაჭარავამ.

„ზერელე დასკვნების გაკეთება და განზოგადება მართებული არ არის, ამერიკა ვრცელი და ეთნიკურად ჭრელი ქვეყანაა და ქართველი ბოლომდე ვერ ფლობს მიუკერძოებელ ინფორმაციას ამერიკელი ხალხის ცხოვრების, მისი კულტურისა და ხელოვნების, მისი ადათების შესახებ, რომლებიც პიროვნებაზე, ამერიკულ ოჯახზე, მათ მიღწევებზე, სიძნელეებსა თუ სიხარულზეა ფოკუსირებული. ამიტომაც მნიშვნელოვანია, საზოგადოების თითოეულმა წევრმა უფრო მეტი ცოდნა მიიღოს ამ მიმართულებით“, — აღნიშნა თსუ-ის პროფესორმა, ამერიკულ-ქართული ურთიერთობების კულტურისა და ფილოსოფიის მთავარმა რედაქტორმა მამუკა დოლიძემ.

საერთაშორისო კონფერენცია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამერიკის შესწავლის ინსტიტუტისა და ამერიკის შესწავლის საქართველოს ასოციაციის ორგანიზებით გაიმართა, რომელშიც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით ამერიკის შესწავლის ინსტიტუტის დირექტორს ვასილ კაჭარავასა და ამერიკისმცოდნეობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელს ელენე მემარიაშვილს. თსუ-ის ამერიკის შესწავლის ინსტიტუტი ზრუნავს საქართველოში ამერიკის შესწავლის საკითხებით დაინტერესებული ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდასა და კონტაქტების გაღრმავებაზე.

საერთაშორისო კონფერენციის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსის ფოიეში ამერიკის ხელოვნების ნიმუშების გამოფენაც მოეწყო. ამერიკული კულტურის გაცნობა ნებისმიერ მნახველს რამდენიმე დღის განმავლობაში შეეძლო.

## თსუ-ში ამერიკული სამართლის სკოლის ჩამოყალიბება იგეგმება

ნატო მოვლასი

14 მაისს ფლორიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი დ'ალემბერტე აშშ-ის პენსილვანიის შტატის მთავრობის რამდენიმე წარმომადგენელთან ერთად თსუ-ს ეწვია. ამერიკელი იურისტი თსუ-ის რექტორს გიორგი ხუბუას და იურდიული ფაკულტეტის დეკანს ირაკლი ბურდულს შეხვდა. ვიზიტის ფარგლებში პროფესორმა დ'ალემბერტემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე - „ამერიკელი იურისტი“.



ლექციის დაწყებამდე პროფესორმა დ'ალემბერტემ თსუ-ის ადმინისტრაციის წარ-

მომადგენლებთან ერთად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამერიკული სამართლის სკოლის ჩამოყალიბების საკითხი განიხილა. უცხოელ სტუმრებს გიორგი ხუბუა თსუ-ში ამერიკული სამართლის სკოლის ამოქმედების აუცილებლობაზე ესაუბრა. მისი განცხადებით, აღნიშნული პროექტის განხორციელება არა მარტო სამეცნიერო, არამედ პოლიტიკური კუთხითაც ძალიან მნიშვნელოვანია.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამერიკული სამართლის სკოლის გახსნა ყველაზე დიდი დახმარება იქნებოდა ამერიკელების მხრიდან. ჩვენ სურვილი გვაქვს, რომ ფლორიდის უნივერსიტეტთან ერთად ავაშორებოთ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები. ერთ სემესტრში 4 პროფესორის ჩამოყვანაც სრულიად საკმარისი იქნებოდა ინტენსიური კურსების ნასაყვანად. საქართველოში იყო პერიოდი, როდესაც ამერიკული სამართლის ცოდნის კუთხით დიდი დეფიციტი არსებობდა. ახლა ვითარება გაუმჯობესდა. ამერიკული მხარის დაფინანსებით არა ერთი ქართველი იურისტი მიდის აშშ-ში კვლი-ფიკაციის ასამაღლებლად, მაგრამ ჩვენ გვინდა სქემა შევცვალოთ და ამერიკელი პროფესორები ლექციების ნასაკითხად თბილისში ჩამოვიყვანოთ“, — განაცხადა გიორგი ხუბუამ.

პროფესორი დ'ალემბერტე თსუ-ის რექტორს ფლორიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შუამდგომლობის განცხადება დაპირდა. მას უკვე ხელთ აქვს



პროექტი, რომელიც თსუ-ის და ფლორიდის უნივერსიტეტის ერთობლივი სამართლის სკოლის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს.

„შეხვედრა ამერიკულ დელეგაციასთან კარგი დასაწყისია იმისათვის, რომ სამომავლოდ ამერიკის ერთ-ერთ სერიოზულ უნივერსიტეტთან ერთად სამართლის სკოლა შექმნათ. ფლორიდის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობას რამდენიმე მიმართულებით ვგეგმავთ: ამერიკელი იურისტების ჩამოყვანა და მათ მიერ სალექციო კურსების წაკითხვა, ერთობლივი სამეცნიერო კვლევების ჩატარება და ერთობლივი დიპლომების გაცემა — ეს ყოველივე ჩვენი მუშაობის საუკეთესო შედეგი იქნება“, — გვითხრა იუ-

რიდიული ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა.

პროფესორი დ'ალემბერტე თსუ-ის რექტორს შუამდგომლობის განცხადება დაპირდა იმ ამერიკულ ინსტიტუტებთან, საიდანაც ამერიკული სამართლის სკოლის ჩამოყალიბებად აუცილებელი ფინანსების მოზიდვა შესაძლებელია. ამერიკული მხარე ამ პროექტის განსახორციელებლად მზად არის, ახლა მთავარია დაფინანსება, ამიტომ თსუ-სა და ფლორიდის უნივერსიტეტის ერთობლივი სამართლის სკოლის ამოქმედების ზუსტ ვადაზე საუბარი წინასწარ ძნელია, თუმცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ამ მიმართულებით აქტიურად მუშაობს.



# სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია

ნინო კალანდია

24 მაისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღისადმი მიძღვნილი ერთობლივი სამეცნიერო კონფერენცია „საქართველოს პირველი რესპუბლიკა და დამფუძნებელი კრების მოღვაწეობა“ გაიმართა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად კონფერენციის ორგანიზატორი გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოება იყო. კონფერენციაზე მოხსენებით თსუ-ს პროფესორები ბონდო კუპატაძე და დიმიტრი შველიძე წარსდგნენ.

სამეცნიერო კონფერენცია პირველი დემოკრატიული მთავრობის წევრის გრიგოლ ლორთქიფანიძის მოღვაწეობას, პირველი რესპუბლიკის შექმნას და დამფუძნებელი კრების მოღვაწეობას მიეძღვნა.

„საქართველოსთვის 26 მაისი განსაკუთრებული ნიშანსმეტია, ამ დღეს ქართველმა ხალხმა აისრულა თავისი ოცნება. ქართველები ოდითგანვე ხმლით და კალმით იბრძოდნენ დამოუკიდებლობისათვის და 1918 წლის 26 მაისს ეს დამოუკიდებლობა მოვიდა. ვფიქრობ, დღევანდელმა თაობამ უფრო მეტი უნდა იცოდეს ამ ბრძოლის და გამარჯვების შესახებ“, – აღნიშნა გრიგოლ ლორთქიფანიძის საზოგადოების პრეზიდენტმა პაატა სურგულაძემ.

გრიგოლ ლორთქიფანიძე იყო პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. 1918-1921 წლებში, სხვადასხვა დროს,

საქართველოს სამხედრო და განათლების მინისტრისა და მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობები ეკავა. გრიგოლ ლორთქიფანიძე იყო დროებითი მთავრობის წევრი, რომელიც ემიგრაციაში არ გაყვა იმპერინდელ ხელისუფლებას.



კონფერენციაზე საქართველოს ეროვნული არქივის ფოტოებიც იქნა ნაჩვენები. ასევე გაჟღერდა ახალი იდეის შესახებაც – უახლოეს მომავალში პირველი რესპუბლიკის შემსწავლელი სპეციალური სამეცნიერო ცენტრი შეიქმნება.

# ბარემოს დასვის კოდექსის პრეზენტაცია

შურთხია ბაროშვილი

ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია „საქართველო“ და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი კვლავ განაგრძობენ ერთობლივ პროექტს „ELSA“-მწვანე მომავლისთვის, რომლის ფარგლებში 7 მაისს თსუ-ში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ერთობლივი პროექტის – „გარემოს დაცვის კოდექსის“ პრეზენტაცია გაიმართა. პროექტი სტუდენტებს გაეროს განვითარების პროგრამის ექსპერტმა, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს თანამშრომელმა სერგო ფარეიშვილმა წარმოადგინა.

პროგრამების მართვის ოფისის დირექტორის ქეთევან ვარდოსანიძის ინფორმაციით, აღნიშნული პროექტი ემსახურება გარემოს დაცვის საზოგადოების დონის ამაღლებას, გარემოთი სარგებლობის შესაძლებლობების წარმოჩენასა და უსაფრთხო გარემოს შექმნას საქართველოში.



სერგო ფარეიშვილმა შეხვედრაზე პროექტის მნიშვნელობაზე ვრცლად ისაუბრა და აღნიშნა, რომ „გარემოს დაცვის კოდექსი“ მიზნად ისახავს გარემოს დაცვის სფეროს კანონმდებლობის დახვეწასა და ეფექტიანობის ზრდას. კოდექსში, ასევე, განხილულია ბუნებრივი რესურსების სარგებლობის, ლიცენზირების, კონტროლის, ნორმების დაცვისა და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, ასევე, სხვა მნიშვნელოვანი პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. სერგო ფარეიშვილის ინფორმაციით, ამ სფეროში „გარემოს დაცვის კოდექსი“ იქნება ძირითადი დოკუმენტი, რომელიც საკანონმდებლო აქტის სახით იარსებებს. როგორც მან აღნიშნა, პროექტი ძირითადად ემსახურება გარემოს დაცვის სფეროში საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.

„გარემოს დაცვის კოდექსის“ პრეზენტაციის შემდეგ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა თავიანთი აზრი და შენიშვნები გაუზიარეს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენელს, რომელმაც ამომწურავად უპასუხა მათ კითხვებს და აღნიშნა, რომ პროექტის დახვეწის კუთხით ახალგაზრდების აზრი და შეხედულებები ძალიან მნიშვნელოვანია.

# თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალი

თამაშა მარუაშვილი

20 მაისს თბილისის წიგნის XII საერთაშორისო ფესტივალზე თსუ-ის გამომცემლობის წიგნების პრეზენტაცია გაიმართა. გამომცემლობამ 50-მდე ახალი გამოცემა წარმოადგინა. საერთაშორისო ფესტივალზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა უკვე მეორე წელია მონაწილეობს და გამოცემათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. აქ მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოიცემა ქართული და ნათარგმნი მხატვრული ლიტერატურა, სამეცნიერო ტექსტები, საუნივერსიტეტო და სასკოლო სახელმძღვანელოები, სხვადასხვა ტიპის ლექსიკონები, მონოგრაფიები.

„გამომცემლობა უნივერსიტეტის შემადგენელი ნაწილია და მისი მიზანია – ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის სამეცნიერო, სასწავლო და საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. წელს მრავალფეროვანი გამოცემებით წარვსდგით. ჩვენს სტენდზე წარმოდგენილია ყველა ის ლიტერატურა, რომელიც ნებისმიერი გემოვნებისა და ინტერესის მომხმარებელს დააკმაყოფილებს“, – აღნიშნა თსუ-ის გამომცემლობის ხელმძღვანელმა თამარ ბერალოძემ.

პირველი წიგნი უნივერსიტეტის გრიფით 1919 წელს გამოიცა. ეს იყო ლევან ჯანაშვილის დამხმარე სახელმძღვანელო ბოტანიკაში. 1920 წლიდან გამომცემლობამ თბილისის უნივერსიტეტის „მომხმარებელს“ ბეჭდვა დაიწყო.

1923 წელს დაარსდა უნივერსიტეტის სტამბა, ხოლო 1933 წელს შეიქმნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, რომელმაც სწრაფად დაიწყო მეცნიერებისა და საგანმანათლებლო საქმის განვითარებისთვის არსებითად აუცილებელი წიგნების გამოცემა. გამომცემლობა დღეს ახალი შემადგენლობით მუშაობს და მნიშვნელოვან საგამომცემლო პროექტებს ახორციელებს.

„უნივერსიტეტის გამომცემლობა ზრუნავს, რომ მკითხველმა მაღალი ხარისხის და პროფესიულ დონეზე შესრულებული გამოცემები იხილოს. წიგნის ფესტივალი კი ამის წარმოსაჩვენად საუკეთესო საშუალებაა“, – განაცხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ.

წიგნის ფესტივალზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსმაც“ წარმოადგინა, რომელიც 1996 წელს თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტის ბაზაზე დაარსდა. პროგრამა „ლოგოსის“ ეგიდით სხვადასხვა თემატიკის მნიშვნელოვანი გამოცემები გამოიცა.

„ეს პროგრამა უნივერსალურია. იგი პრაქტიკულად მოიცავს ბერძნულ-რომაული ფილოლოგიის სფეროში არსებულ ლიტერატურას. ამ გამომცემლობის მიერ წარმოდგენილია ახალი თარგმანები, ანტიკური ლიტერატურის ქრესტომათიები. ანონსირებულია და ამჟამად გამოსაცემად მზადდება ენციკლოპედია „ანტიკური კავკასია“, რომლის პრეზენტაციაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უახლოეს მომავალში გაიმართება.

დღეს, წიგნის საერთაშორისო ფესტივალზე, ამ საგამომცემლო პროგრამამ დაახლოებით 100-მდე წიგნი წარმოადგინა. დამეთანხმებით, ერთი საგნისთვის და დისციპლინისთვის ეს რაოდენობა საკმაოდ შთაბეჭდავია“, – განაცხადა თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეციისტიკის ინსტიტუტის ხელმძღვანელმა რისმაგ გორდენიანმა.

მკითხველები დიდ ინტერესს იჩენდნენ თსუ-ის გამომცემლობისა და „ლოგოსის“ მიერ წარმოდგენილი ლიტერატურის მიმართ და აღნიშნავდნენ აქ წარმოდგენილი ლიტერატურის მაღალ მხატვრულ და სამეცნიერო ღირებულებას, მაღალ პოლიგრაფიულ დონესა და თემატიკის მრავალფეროვნებას.



# „გააზონე სამყაროს შინი ხმა“

შურთხია ბაროშვილი

თბილისის მერიისა და კომპანია „Red Bull Sound Attack“-ის ერთობლივ სტუდენტურ პროექტს – „გააზონე სამყაროს შინი ხმა“, 19 მაისს თბილისის თითქმის ყველა უმაღლესი სასწავლებლის მუსიკალური ჯგუფი გამოეხმაურა, რომელიც მონაწილეობით ტექნიკური უნივერსიტეტის წინ გრანდიოზული კონცერტი გაიმართა. ღია სცენაზე ცხრა უმაღლესი სასწავლებლის 13 მუსიკალური ჯგუფი წარსდგა, რომლებმაც სხვადასხვა ჟანრში შესრულებული მუსიკალური კომპოზიციები წარმოადგინეს.

აღსანიშნავია, რომ სტუდენტურ კონცერტში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამი მუსიკალური ბენდი მონაწილეობდა: „Drum line“, „Overture“ და ყველასათვის უკვე კარგად ცნობილი, პროექტ „ნიჭიერის“ ერთ-ერთი ფინალისტი ჯგუფი „მუშა“, რომელსაც კონცერტის გახსნის პატივი ხვდა ნილად.

„Red Bull“-ის წარმომადგენლის ბეჟა გოლეთიანის თქმით, ამ დღეს სტუდენტები იმისთვის შეიკრიბნენ, რომ ერთად მოუსმინონ მუსიკას, რომლებსაც მათი თანატოლები უკრავდნენ და „Red Bull“-თან ერთად მხიარუ-

ლად გაატარონ თავისუფალი დრო.

„მერიის და კომპანია „Red Bull“-ის ერთობლივი პროექტის იდეა ახალგაზრდა ნიჭიერი მუსიკოსების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად. გარდა ამისა, მათ საშუალება ეძლევათ, უკეთ გაიცნონ ერთმანეთი. ახალგაზრდობას უნდა მიეცეთ საშუალება, თავიანთი შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოავლინონ“, – აღნიშნა ბეჟა გოლეთიანმა, რომელმაც მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას.

კონცერტს უამრავი სტუდენტი დაესწრო. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ თეატრალური უნივერსიტეტის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, კავკასიის ბიზნეს სკოლის, შავი ზღვის უნივერსიტეტის, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის, აგრარული უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების მუსიკალური ბენდები.

როგორც კონცერტის წამყვანმა დათო გელაძემ (ჩელე) აღნიშნა, ასეთი კონცერტები საუკეთესო საშუალებაა ნიჭიერი მუსიკოსების გამოსავლენად და ამდენად, ამ ჯგუფებისათვის თბილისის მერიის და „Red Bull“-ის კონცერტი კარგი საჩუქარი აღმოჩნდა.



# ყვავილების

# დედოფალი – 2010



კონკურსზე „ყვავილების დედოფალი — 2010“ თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა ნინო მახარაძემ გაიმარჯვა. კონკურსში დასახელებული იყო ორი ნომინაცია — „საუკეთესო ყვავილების დედოფალი“ და „საუკეთესო კომპოზიცია“. ნომინაციაში — „საუკეთესო ყვავილების დედოფალი“ თსუ-ის სტუდენტმა პირველი ადგილი მოიპოვა.

### ნათმოგობა

კონკურსი „ყვავილების დედოფალი — 2010“ 20 მაისს კლუბ „ტრიუმფში“ გაიმართა და მასში მონაწილეობა თბილისის 18 უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლებმა მიიღეს. ორგანიზატორი და პროექტის ავტორი თამუნა ქაშუშაძე გახლდათ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარდგენილმა კონკურსანტმა ნინო მახარაძემ როგორც ყურის, ასევე მაყურებლის დიდი მონონება დაიმსახურა. ნინო მახარაძემ ფესტივალზე „ყვავილების დედოფალი — 2010“ ყვავილი ენძელა განასახიერა და პირველი ადგილი დაიკავა. მას მოდელირების სამსლიანი გამოცდილება უკვე აქვს და თანამშრომლობს სამოდელო სააგენტო „იმიჯ-ცენტრთან“.

„ბედნიერი ვარ, რომ ჩემი უნივერსიტეტის სახელით გამოვედი და წარმატებას მივაღწიე. თსუ-ში იურიდიული ფაკულტეტის პირველ კურსზე ვსწავლობ. ვფიქრობ, რომ იურისტობას სამოდელო კარიერა ხელს არ შეუშლის და ორივე საქმის ერთდროულად კეთებას შევძლებ. სააგენტო „იმიჯ-ცენტრთან“ სამსლიანი კონტრაქტი მაქვს გაფორმებული და ჩვენებებზეც გამოვდივარ“, — გვითხრა ნინო მახარაძემ.

გარდა იმისა, რომ ყვავილების საუკეთესო დედოფალი იურისტის პროფესიას ეუფლება და ჩვენებებშიც იღებს მონაწილეობას, ასევე, ფლობს კარგ მუსიკალურ განათლებასაც. იგი 11 წელია უკრავს პიანინოზე. გადამწყვეტილი ჰქონდა სწავლა კონსერვატორიაში გაეგრძელებინა, თუმცა საბოლოოდ არჩევანი მაინც იურისტობაზე შეაჩერა.

ნინო მახარაძემ სილამაზის კონკურსში — „ყვავილების დედოფალი — 2010“ გამარჯვების შემდეგ, როგორც „იმიჯ-ცენტრის“ მოდელმა, კონკურსს „ელიტ-მოდელ ლუქს-შიც“ მიიღო მონაწილეობა და საუკეთესო ხუთეულშიც მოხვდა.

სილამაზის ფესტივალი „ყვავილების დედოფალი — 2010“ „ბიზნეს სითი სერვისის“, „დიდუბე პლაზასა“ და კლუბ „ტრიუმფის“ სპონსორობით გაიმართა. ყოფილი საზოგადოებისთვის ცნობილი სახეებით დაკომპლექტდა. გამარჯვებული მამუკა არეშიძემ, ნუცა ჯანელიძემ, ზურა ცინცქალაძემ, ეკატერინე სოფიამ, ლილიკო ნემსაძემ და თამარ ნადირაძემ გამოავლინეს.

მამუკა არეშიძემ, ნუცა ჯანელიძემ, ზურა ცინცქალაძემ, ეკატერინე სოფიამ, ლილიკო ნემსაძემ და თამარ ნადირაძემ გამოავლინეს.



## თსუ ყველგან ლიდერია!

ინტარვიუ თსუ-ის სპორტისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელთან ირაკლი ხარჯიანიძესთან

### ნათმოგობა

— 20 მაისს დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატის ბოლო, მე-5 ტური კალათბურთში, რომელშიც უნივერსიტეტის გოგონათა ნაკრებმა გაიმარჯვა. რამდენად მნიშვნელოვანია ეს წარმატება?

— ჩვენი ნაკრები საქართველოს ჩემპიონატში მონაწილეობდა 6 გუნდთან ერთად. ჩემპიონთა თასი მან ქუთაისის, გორის და ზესტაფონის ნაკრებ გუნდებთან გამარჯვებების შედეგად დაიმსახურა და საქართველოს თასის ფინალში თამაშის უფლებაც მოიპოვა. ეს შედეგია გუნდის ინტენსიური ვარჯიშის და მწვრთნელის ელდარ კაპანაძის დიდი მონ-

დომეობისა. უნივერსიტეტის მთელი პერსონალი ცდილობს მათთვის კომფორტული პირობების შექმნას. მალე უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის და სპორტისა და კულტურის ცენტრის ძალისხმევით მალევე კორპუსში გაიხსნება ახალი სპორტული დარბაზი, რომელიც აბსოლუტურად დააკმაყოფილებს მოთამაშეთა მოთხოვნებს.

— რა იქნება ეროვნული თასის გათამაშების ფინალური შეხვედრის შემდეგ? რას ცვლის ეს წარმატება ნაკრების პროფესიული განვითარების მხრივ და თუ ელით მათ უფრო ფართო ასპარეზი?

— სპორტისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით მოეწყობა

სალამო, სადაც უნივერსიტეტის რექტორი და ადმინისტრაცია ოფიციალურად მიულოცავენ გამარჯვებულს როგორც ჩემპიონ ქალ-კალათბურთელს გუნდს, ასევე ვაჟ-კალათბურთელთა ნაკრებსაც, რომელიც „სუპერლიგა 2009-2010“-ის ფინალურ შეხვედრაში ვერცხლის მედალოსანი გახდა, რაც უნივერსიტეტის სპორტული ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევაა. ეს წარმატება გუნდს საშუალებას აძლევს, უფასო ჩემპიონატში მიიღოს მონაწილეობა, მაგრამ ეს დიდძალ თანხებთან არის დაკავშირებული. ვფიქრობ, სწორი შეწყვეტილი რომ განხორციელდეს, ვფიქრობ, ეს თანხები შიდაკლუბური სისტემის განვითარებისთვის მოვიხმაროთ.

— რა წარმატებები აქვს უნივერსიტეტის ნაკრებ-გუნდს მინი-ფეხბურთში და თუ შეესაბამება ადგილობრივი რესურსები მათ მოთხოვნილებებს?

— მინი-ფეხბურთის გუნდი სულ 3 წელია, რაც ჩამოყალიბდა უნივერსიტეტში და საკმაოდ წარმატებულ-

იც არის: მეორე ადგილზე ვართ საქართველოს ჩემპიონატში, გავყვით თასის ფინალში, 7 კაცი საქართველოს ეროვნულ ნაკრებში, 3 კი — ახალგაზრდულ ნაკრებში გვყავს, რაც ძალიან დიდი მიღწევაა. რესურსები კი, რაც კალათბურთელებს აქვთ, იგივე აქვთ ფეხბურთელებს. შეძლებისდაგვარად მაქსიმალურ ყურადღებას ვაქცევთ. არიან ფინანსურად ძლიერი კლუბები („ენერჯის“ აქვს ნახევარი მილიონიდან ერთ მილიონამდე ბიუჯეტი, „იბერიასაც“ ასეთივე ბიუჯეტი აქვს და პროფესიონალი ბრაზილიელი მოთამაშეებით არის დაკომპლექტებული), რომელთაც, მოთამაშეების მხრივ, ნამდვილად არ ჩამოვრჩებით. მინი-ფეხბურთსა და ვაჟთა კალათბურთში მეორე ადგილი, ქალთა კალათბურთში კი პირველი ადგილი, მერნმუნეთ, კარგი შედეგებია და შეიძლება, ამ მხრივ, ეს წელი ძალიან წარმატებულად ჩაითვალოს. სექტემბრიდან რაგბის გუნდსაც დავამატებთ და, როგორც ვვარაუდობთ, მომავალ

წელს სპორტის 8 კატეგორიაში გვეყოლება საკუთარი გუნდი.

კულტურის სფეროში კი ბოლო წარმატებად შეიძლება ყვავილების დედოფლის ნოდების მოპოვება მივიჩნიოთ. ეს ღონისძიება გაიმართა კლუბ „ტრიუმფის“ ეზოში, 18 უნივერსიტეტს შორის და ჩვენი გამარჯვებით დასრულდა. საქართველოს ჩემპიონები გავხდით „მან-სან-კან“-შიც. მოკლედ, თითქმის ყველა შეჯიბრებაში უნივერსიტეტი ლიდერობს.

— სასწავლო წლის დასრულებაზე კიდევ რას გეგმათ?

— ახლა გადართული ვართ მთლიანად უნივერსიტეტში, რომელიც ტარდება თბილისში და, ვაპირებთ, საერთო გუნდურ გამარჯვებაში პირველი ადგილი მოვიპოვოთ და ეს წარმატებული სასწავლო წელი ასე დავასრულოთ. აღსანიშნავია სტუდენტთა დიდი აქტიურობა. ჩვენი მიზანმიმართულ სწორედ ისაა, რომ სტუდენტს არ დავუტოვოთ უქმედრო და, კარგი განათლების პარალელურად, ჯანსაღი ცხოვრების პირობებშიც შევუქმნათ.



მთავარი რედაქტორი ნინო კაკულია	რედაქციის წევრები:	მისამართი:
მთავარი სამცხალისტი მაია ტორაძე	რისმაგ გორდენიანი, ნოდარ ბელქანია, იაგო კაჭკაჭიშვილი, ლადო მინაშვილი, დიანა ძიძიგური, ნოდარ ხადური, მარინე ჩიტაშვილი, ბესარიონ ზოიძე, ნინო ჩიხლაძე, თემურ ნადარეიშვილი, ნანა ჭილაძე, თეა ჯუღელი	ილია ჭავჭავაძის გამზ. 11* (თსუ-ის მე-3 კორპუსი)
ტექნიკური რედაქტორი მანანა ჯურხაძე		
ფოტოკორესპონდენტი სალომე მახარაძე		
კომპიუტ. უზრუნველყოფა თამარ ქავეჩარაძე		22 36 62